

**მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები**  
**ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN**

 **ტომი VI**   
**BAND VI**

**თბილისი**  
**2009**

# იმეფე ვანეპეპერი

## სიტყვა, მუღამ რომ იმეორებენ

სიტყვავ, შენდარი ერთგულება ქვეყნად სად არი –  
“პირველად იყავ”, ღვთაებრივად ლოგოსი ჟღერდა...  
თვით **იყავ** ღმერთი და ხორციც შვი შენივ სადარი,  
თითქოსდა, მართლაც ყოფილიყავ ჩვენი ბადალი,  
ცხოვრობდი ჩვენთან, იმედად და სირცხვილად ჩვენდა.

სული მარადი დაბრუნების არ დაბუნდება  
და სიტყვით, ღმერთი თავის შექმნილს რომ შეიწყნარებს,  
ისევ ზღვისა და ღელამიწის შექმნა უნდება –  
ბრძანებს: “იქმენინ!” და კვლავ და კვლავ უკან ბრუნდება,  
მარადისობის წიაღების ერთვის სიწყნარეს.

შემდეგ კვლავ ტანჯვა-წამებისთვის სწირავენ მწუხარს,  
თან უკან სწევენ, თან თავს თვლიან იმის მონებად,  
სწორედ ისინი, მას რომ თავზე ძალიან უყვარს,  
ისეც ფერწასულს, არგუნებენ შავ მიწას, მუხთალს,  
ისიც – თავს დახრის, ღმერთს მორჩილად ჩაეკონება.

პირველყოფილი კრთოდა უფლის ცხელი ღადარი,  
ღვთით დაფარული, სასოებას იყოფდა ღმერთთან,  
თვით **იყო** ღმერთი და ხორციც შვა თავის სადარი –  
ჩვენივე მსგავსმა, გაითენა მაინც სხვა დარი,  
ცხოვრობდა ჩვენთან, იმედად და სირცხვილად ჩვენდა.

## ჰიმნი გერმანულ ენას

ო, როგორ სუნთქავს,  
შენში ღმერთი როგორ ხმაურობს,  
შენს სიღრმეებში მისი სული დამოგზაურობს.  
შენ, უფლის ხატო  
და ოცნების მწყაზარო თვალო,  
საუკუნეთა გამკვეთელო  
ბრინჯაოს ხმალო!

პირქუშო სატროფოვ, სხივოსანო ტკბილო დედაო!  
ტკბილხმოვანებას და სიმტკიცეს ვერ შეგედაონ,  
შენთვის სიკვდილი უფალსაც არ ესირცხვილება,  
ხან რომ ხელმწიფობს, ხან მონასებრ გემორჩილება.  
მწუხრს აჩვევ ნათელს,  
დილას – ღვთისას ამსგავსებ სახეს,  
მიწას და ზეცას გერმანულად დაარქმევ სახელს!

შენი ხალხივით ულევო და დაუშრეტელო,  
შენი ხალხივით უძიროვ და დაუწრეტელო,  
შენი ხალხივით გულდინჯო და თავდაჭერილო,  
შენი ხალხივით უნაპირო ზღვად დაშთენილო!

შორ მხარეებში მიმოფანტულ უსასო შვილებს,  
ბედი თუ აკრთობს სუსხიანი ქარის მობერვით,  
ვერც თავზე ჭერი  
და ვერც მიწა ვერ მისცემს იმედს,  
მხოლოდ **შენა** ხარ მათი დედა,  
მათი მშობელი.

გზააბნეულებს მაგ გულის ხმით უნდა უშველო,  
სული მაგ ბეჭდით დაუტვიფრო  
საფლავეზე მავალთ...  
მარადი ტანჯვის ძვირფასო და სავსე ჭურჭელო,  
მარტოსულობას მუდმივად რომ უქარვებ მავანთ.  
ჩვენ, შიშველთ, ვინძლო, რბილ სამოსელს გამოგვიწვდიდე,  
შენ, სისხლის ჟინო  
და უღრმესო შიშის სიმშვიდე!

მოდი, ჩვენსავით იმეტყველე, ჩვენებრ დადუმდი,  
წყალობასა და მოწიწებას არ შეგკედაო,  
ჩვენო პირქუშო საყვარელო, წმინდა დედაო!

## ოლა ანბანისადმი

“უ” – კუნაპეტო, საფლავივით შავო ხმოვანო,  
ივნისის თბილი ღამესავით ხავერდოვანო,  
ზარივით მჟღერო და მბზინავო, ბრინჯაოს დარად,  
გარდასულ სულებს ეცხადები სამარის კარად.

ექსტრავაგანტურ “ი”-ს ვამსგავსებ ტოროლის მღერას,  
მზე შეადლისას გულივით რომ უმატებს ძგერას,  
ცეცხლის ალებად რომ გამოკრთის ძვირფასო, შენგან –  
სიყვარულია, მაგ ბგერებით სიყვარულს ნერგავ.

“ე” – დანასავით უეცარი, მკვეთრი და ბასრი,  
შეგაკრთობს, მაგრამ გიბრუნდება მაშინვე აზრი,  
როცა მალამოდ უსასობით მფეთქავ უბეში  
“ა” გეფინება, როგორც რწმენა, როგორც ნუგეში.

არხის ხის სურათს “ბ” მოავლებს ელვარე ჩარჩოს.  
ფუშფუშა ბაგით ფაფუკ ჰაერს ფლეიტა ახშობს –  
ფშვინავს და ფშვინავს, გაზაფხულზე მომტანი ხვატის,  
მოუსმინე და ასო “ფ”-ში ფიქრს ჰპოვებ ნატიფს.

“გ” – თან გრუტუნებს, თან ბურთივით დაიწყებს ბრუნვას,  
სიხარბისაგან ჩამრგვალებულს ჩამოჰგავს გურმანს.  
მაგრამ იღბალი, მუხანათი, უსხლტება ცოლ-ქმარს,  
მთვრალი ხმაურის სანაცვლოდაც სირცხვილი ოხრავს.

“ჰაე”-ს მაღალ ღმერთს და უწმინდეს ზენაარსს ვადრი,  
გახლეჩილ გულებს გაამთელებს იმისი მაღლი.  
თუმც, უბრალოა, ყველა სულდგმულს მაინც სჭირდება,

რადგან სიცოცხლე მხოლოდ ჰაერს უკავშირდება.

“კ”-ს თქმისას სუნთქვა და გულმკერდი ცვლიან ერთმანეთს – აკანკალება ველურ რისხვას გააფერმკრთალებს. უფლებას მოგვცემს გულმოწყალე უფლის სახება და საყვარელ “ლ”-ს – “კ” უჩუმრად კულში გაჰყვება.

“შ”-მ მიწყევ ლხენის მონიჭება, დიახაც, იცის, მე მასში მესმის ამოოხვრა მშობელი მიწის. მენს მეზობელს კი, სამოყვროდ რომ გაულე კარი, ცხვირისმიერი “ნწუ”-ს სათქმელად სჭირდება “ნარი”.

“ვ” მიაჭენებს ჯაგნარებში თავის იაბოს, “რ” ბავეს წყდება, მეფის კვერთხზე რომ იკიაფოს – ის ბედის ბორბალს კვლავ უკულმა დაატრიალებს, ძველის მეხოტბე ახლის სწრაფვას გაატიალებს.

შავი ჰაერი “შ”-ს ჩაჰბერავს სიშმაგეს თვისას, შეუპოვარი, დასაპყრობად შეუტევს მიზანს, შიშინა ზღვაზე ქარბორბალას უჭირავს თვალი, დამხრჩვალის თავზე შეიკვრება წრეებად წყალი.

ბუბუნებს ტუბა, ყველა ბგერა ზარივით უძგერს, როს ამონთხევს არარსობის დაწყევლილ ფუძეს, შიგ გულში გზვდება ეს სიტყვები: “სიკვდილი”, “მკვდარი”... შეგიპყრობს ძრწოლა და ნუგეშსაც წარხოცავს ქარი.

ღმერთი არ გვწირავს – ასეთია მისი ბუნება, მგლოვიარეთაც ნიავივით გველაშუნება. “ც”-საც ის გვაძლევს, ვერ დაუთმობს გზას ბგერას ვერც ერთს, ცერად უზვდება ცხელ გულმუცელს და ცეკვას ცერცეტს.

## ხელოვანი და ხალხი

ცხოვრობს სხეული სულის გარეშე?  
სულდგმულობ განა ხელოვნების გარეშე, ხალხო?  
ნუთუ ხელებს არ ამოსდებ ლაგამს,  
როცა ოცნებას დაიურვებ კანონის სალტიო? შეხე შემოქმედო!

რაო? ტანჯვისგან ვერ ახერხებ მიყურადებას,  
საიდუმლოს რომ მიაკვლიო?  
იცოდე, ტანჯვას თან მოჰყვება თაყვანისცემა – მისი სადარი  
და გულს ღიდება დაისაკუთრებს.

შენ ითმენ, ხალხო,  
მაგრამ უფრო სასტიკად ითმენს შენი გენია.  
იცოდე, ნაკლი ხორციელი სხეულითვე წარიხოცება,  
მაგრამ მსხვერპლი კი, ხელოვნებას რომ გაუღია,

დარჩება მუდამ. ამო იყო ის მსხვერპლი, რადგან  
შთამომავლობას შეუნახავს დაცემას ჩვენსას.  
მასთან რას მოვა დამშეულის ოხვრა და კვნესა?  
ყველა მოკვდავი ხელოვანზე ბედნიერია, რამეთუ მალე იპოვნის  
საშველს.

ო, წასულია იმ ხალხის საქმე,  
ყრუს და უჩინოს, ვისაც გულიც გაჰქვა ვებია –  
ყველას ლოცვა ხომ შეუმცდარად მიუვა უფალს!  
მკრეხელობაა მყრალ სარდაფში საკმევლის კმევა. აი, ამაზე  
დაფიქრდი, ხალხო!



## ხელოვანი

ჩვენ, ხელოვანნი, თქვენ გაგიმხელთ ყოფას საოცარს,  
ბგერა ფერს ელტვის, სიტყვა ქვაში ცოცხლდება როცა.  
ვართ მარტოსული, შეუმჩნევი, დაუფასები,  
გამოგვაძევეს სამშობლოდან და ოცნებიდან  
და ახლა ყველას ვუწილადებთ უშურველ გრძნობას,  
უფლის მიღმიერ სამყოფელს რომ მიეახლება.  
ქარხნების ხმაურს გამოვცდებით ღამისას ბედად  
და გასამრჯელოდ უკვდავების გვრჩება იმედი.

და ველით მთვარეს წამოცდენილ ზღვისფერ სიჩუმეს,  
გვძულს მღვიძარე ღღე, დაზვის ტრფობას ვერ დავიჩემებთ.  
ყოველცისმარე ვარსობთ მდიდრულ სიღარიბეში  
და მოურჩენი სიყმაწვილის გვაოსებს თქეში.  
გული გვენახა, გვესურვოდა, ცალად მარები  
და სულთა ჩვენთა გადაგველო იღუმალება,  
და ის აქ არის და სიამის ცრემლი გვერევა,  
სიკვდილთან ახლოს ჩამოდგება ბედნიერება...  
დასაბამიდან იყო ვნება და ვნების კვალად,  
ღმერთო, ულევი აღმაფრენის მოგვეცი ძალა.

## ოსტატი ანტონ პილგრამი

ავტობიოგრაფიული ვენის წმ. სტეფანეს ტაძრის კათედრის ძირში

ღვთის სადიდებლად მე პატივი მერგო ამგვარი:  
ნიშაში ვიდგე და ხელთ მეპყრას ჯერაც ფარგალი,  
რომლითაც შევხსენ ქვის კარიბჭე გადარაზული,  
შევქმენ ეს კიბე, ეს კათედრა შევქმენ კაზმული.  
გულმოდგინებას როს იღბალიც დაეთრთვილება,  
მყის ჭეშმარიტი ხელოვნების იშვის ქმნილება.  
ნუ განსჯი მკაცრად, მომარჯვება ხამს სულქველობის,  
ხელოვნებამდე გზაწერილია რადგან ხელობის.  
სულს რაგინდ კდელა ამშვენებდეს და სისადავე,  
ძალაც სჭირდება, რომ მხნე ხელით მართოს სადავე,  
რათა ქვას მიწვდეს, რომ გვაწვალებს ბალღივით ხოლმე,  
დაეუფლოს და მიანიჭოს ნათელი ფორმა.  
ის დაძლევეს ბრაზს და სულსწრაფობას, ურვას და სულთქმას,  
მარადისობის ის მოგვმადლებს წამიერ სუნთქვას.  
რაა სიტყვები! დაფასდება ოსტატი მაშინ,  
თუ საკუთარ თავს აღუბეჭდავს თაობებს ქვაში,  
თუ ქმნილებაში თავის დროის აელვებს დროშას,  
შთამომავალმა საკუთარს რომ ადაროს დროჟამს,  
რომ გადმოხედოს წარსულს, ქვით რომ მარად იცნობა,  
რომ მის შექმნილსაც დააკვირდეს მარადისობა.  
პატივად ჩემდა, აქ ღვთის შობის მარადი თვეა —  
ეს მართალია, ისევე, ვით პილგრამი მქვია.

## ფესვიბთა

ბედისწერაა, რომ უმიზნო ქვეყნად არც რაა,  
რაც კი სათავეს დედისგან იღებს.  
ამაოება მხოლოდ მასშია, რასაც ეს მყარი საძირკველი არ გააჩნია.  
ადამიანთა ხანგრძლიობას და გადარჩენას დედები მუცლით  
დაატარებენ.

განა დაფნას არ მისწვდენია სისხლის შხეფები?  
დიდების ხანძარს განა მიწა არ მოუშთვია?  
დედაა მხოლოდ ამ ცოდვათა მადლად მქცველი  
და მისი საშო, არასდროს რომ არ შეირყვნება.

სხვაგვარად, დედა ვით იცოცხლებს იმაზე მეტ ხანს,  
ვიდრე ცოცხლობს მისი ნაყოფი?  
მარადი რწმენა, დანაკარგს რომ არ ეპუება,  
ბალღივით ჰკვებავს ქმედითობის გიჟმაჟ საუფლოს.

არა მკერდი და არა მხოლოდ მზადმყოფი ბაგე –  
დედა ჰგავს სასწორს; მიმორხეულ არსსა ჰგავს დედა,  
კიდევ – პურს და ღოქს,  
ღუმის, სიზმარს და სამარესაც.

დედები თესენ ჩვენს შიშველ გულში,  
რათა გულები გაიტანჯონ და განისწავლონ,  
დედაჩემივით უღრტვინველად მოაბიჯებენ  
დედამიწად სახელდებულ ფხვიერ ხნულებში.

თუკი ღმერთებმა რომელიმე გაწირეს ხალხი,  
შეშლილი მოდგმა თვის დასაბამს გადაივიწყებს  
ანუ – დედათა გვირგვინს და ტანჯვას.  
წყვდიადი მოვა. და ეს მოდგმა დაიღუპება.

## იმპერატორის აკლამა

ჩუ! დაუფიქრდი! შეაბიჯე ღამეში ფრთხილად –  
დასახული აქვს ამ გზას მიზანი.  
ვინც მბრძანებლობდა, დამდაბლებულა,  
აქ განისვენებს, ვინც ოდესღაც ზეკაცი იყო.

გვირგვინოსანი თავი და მკლავი,  
რომლებიც სჭედდნენ დიად საქმეებს,  
გამარჯვებას და შმაგ ბრძოლებში ალმების ფრიალს,  
გერბებითა და არწივებით მოკაზმულ ფარებს...

პირქუში კუბო კუბოთა შორის:  
გაქვავებულო თავის ქალავ, ნუთუ აქაც გვირგვინი გხურავს?  
ღიას, მტვერი მტვრადვე იქცევა, მაგრამ მეფე მეფეა მაინც.  
მხოლოდ გლახაკნი კვდებიან სრულად,

მათი ნეშტისგან ნაშთი რაა, ნაშთიც არ რჩება.  
ამიტომ მართებთ დიდებულთ გაცლა –  
ღარიბებს ხელი თვის ხორცზე თუ მიუწვდებოდათ  
და მრავლდებოდნენ ორ წყვილადს შუა.

ვინ იტყვის იმას, რომ სიკვდილი სამართლის ტყვეა  
ან სიცოცხლისგან სულ მისხლით თუ განიყოფება?  
არაფერს ნიშნავს წარმოშობა, მოვალეობა  
და განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის?

არა, სიკვდილი ამ სხვაობას ვერ ათანაბრებს.  
როგორც აქ იყვნენ, იქაც ისე განისვენებენ.  
სამარადისოდ უნდა დარჩეს ყველა ნიშანი.  
და საზომიც უღმობელია: მოწიწების და დავიწყებისა.

## დიდია ღამე

დიდია ღამე. ნატაძრალში მუხლმოყრით ვდგავარ  
და სიბნელეში თრთის ფსალმუნთა სველი ტაეპი.  
დიდია ღამე. სულს მიმდურავს ხილვათა ლავა  
და მე აღვავლენ სადიდებელს ბნელი ღვთაების.

დიდია ღამე. ღვთის სამართლით მსჯავრდებულებმა  
გადააქციეს ყვავილები უგვან ცხედრებად.  
დიდია ღამე. მე საშველი აქ მეგულება,  
ცარიელ ტაძრის კედლებს ესმით ჩემი ვედრება.

ვერ შევაჩერებ. მაგრამ ვხედავ სხვებზე მკაფიოდ,  
შურისმგებლებით იბოლქვება ზეცის კარები.  
დიდია ღამე. ეფინება ზღვისფერ დაფიონს

შლეგი ტალღების რიდები და სუდარები.  
უტკივილობა, ურწმუნობა – თან მდევდა წყვილად,  
მრისხანე ღმერთთა კალთაც მიტომ მხვდომია წილად.

## მე-6 ოლა

თვალს გვაღვენებენ ფრთაფარფატა ანგელოსები,  
ტკბილ ბაგეთაგან ამოთქმული გვღვევენ ლოცვები.  
ჩვენზე მზრუნველნი, გარდაქმნილან ჩვენივ მცველებად,  
ცდილობენ, სულს რომ დაუბრუნონ ძველი მშვენება.

სამაგიერო ჩვენ როგორღა გადავუხადეთ?  
როცა არ ძალგვიძს, რომ ჩვენივ მსგავსთ ისე ვუყვარდეთ,  
ჩვენკენ მომართონ სიყვარულის ნეტარი ნავი...  
მაგრამ ბედოვლათთ, არ გვებრაღვის ჩვენივე თავი.

ვცილდებით ღმერთებს და ვნებათა აღმურით ვღვივით,  
თვალს ვეფარებით და მაშინვე ცოდვაში ვცვივით.  
რა მოხდა მერე, მახეში რომ სულიც გაებას?  
ვგრძნობთ დანაშაულს, მაგრამ ვწყევლით ტანჯვა-ვაებას.

ანგელოსებს კი, ძველებურზე ვუყვარვართ მეტად,  
ზევით მივყავართ, არ გვტოვებენ არასდროს კენტად...  
მერე ერთ ჩვენგანს აზომებენ ღვთიურ ნაბიჯებს –  
ზესკნელის მკვიდრი წუთისოფლის მკვიდრთ რომ წარგვიძღვეს.

## მე-8 ოლა

აღამიანი ნაკუწების ჯამია მხოლოდ.  
და ის, თვითონაც, უსასრულო არის ნამსხვრევი,  
ვერც დასრულდება და ვერც სრულქმნას ვერ ეღირსება.

წინ გაჭრილი და მსწარფლ უკანვე მობრუნებული,  
საკუთარ არსის უიშედლოდ დაიწყებს ძებნას,  
რომ კვლავ შინ დარჩეს, სვედავსილი და გზამოჭრილი.

**ვით** გაუძლებდა თუნდაც **ერთ** დღეს თავის დიდ ხილვებს?  
ბიწიერება მყის წყვდიადში გადაისვრიდა  
და სიგიჟესაც ის სიკეთედ ჩათვლიდა მაშინ,

ჭეშმარიტებად მიიჩნევდა თვითონ სიკვდილსაც.  
ხოლო სიკვდილი, ვაგლახ, თანვე წაიყოლებდა  
ყოველივეს და თვით ამ ბედკრულ გზააბნეულსაც.

## 35-ე ოლა

მინც რას ნიშნავს, ქვეყანაზე იყო უსრული –  
მარადი საფრთხით დაისრული და დაღურსმული.  
შიში გვზაფრავს და არ ვთაკილობთ ნაღვლიან მოთქმას –  
სხვა თურმე არც რა ევალება ადამის მოდგმას.

ყვავილო, თითქოს, შენ გამშვენებს არსი ყოველი!  
პეპელავ, მინც ღარიბი ხარ და უქონელი.  
თითქოს, ჯიუტად ვილევეთ და ვპატარავდებით –  
მინც ვიზრდებით, მინც ვხარობთ, მინც ვმრავლდებით.

ელავს ვარსკვლავი, მთას ეხვევა მუქი ნისლები –  
მინც როგორი მყარები ვართ, სულ არ ვიცვლებით...  
გზა ძალას გვმატებს და სავალზე ვფიქრობთ ნაკლებად,  
ჩვენი ხვედრია **მარადი** ქმნა და განახლება.

ხან ვარსკვლავი ვართ, ხან – პეპელა, ხანაც ყვავილი...  
დროს გააჩნია, ცის კიბეზე როდის ჩავივლით,  
ერთმანეთს ვხვდებით, გულვზვიადობთ და ხანაც ვმორცხვობთ,  
უფსკრულთან მდგარნი, ერთმანეთის იმედით ვცოცხლობთ.



## 38-ე ოდა

მარტოდენ პურით როდი ცოცხლობს ძე ხორციელი –  
როცა ოცნებობს, ის არც მაშინ რჩება მშვიერი.  
რა არის ნატვრა, თუ იგულე ცხოვრების მძევლად –  
ჩვენი ქონება საქმეებზე მაღლა დგას ბევრად.

ვით ყოველივეს,  
ბრძოლით უნდა დაცვა ოცნებას –  
მამაცო ხალხო,  
გაუფრთხილდი ამ საოცრებას!

არც არასოდეს დაიღალო ლოცვა-გალობით,  
რომ კვლავ გვიპოვნონ ფრთაშესხმულნი უფლის წყალობით,  
მარადიულად სვავრიელნი და დალოცვილნი,  
შთამომავალთა სიყვარულით გარემოსილნი.

ო, ხელოვნებაჲ! მარად სუფთავ და მარად მუქო!  
ო, ტურფა სულო, ჩაუქრობო მამულის შუქო!  
შენს არსებობას ყოველ დილით აღვუვლენ მესას –  
მისაღმებისას შენ თავს უხრი მომღერალს შენსას.

## ნახევარი ხმით

ადამიანის სუყველაზე შავბნელ ნაწილში  
მარადისობა იმალება. მტკივან მკერდიდან ამოკრიბე, რაც  
დაგკარგვია.

მერე შთაბერე სირცხვილის და ნატვრის უნარი,

ჩუმაღ შესტირე ღამის სიმშვიდეს  
ან ძილისწინა პირუთვნელ ფიქრებს  
შემოდგომის ღამის სიტყვები, ყველა გზა, მარტოგასავლელი,  
კაემანი და დასასრული სიყვარულისა.

კაცის ვაება ქარიშხალსა ჰგავს  
ანდა არფების შორეულ ჰანგებს.  
ო, თუმცა არის ერთი დინება,  
რომლის სათავე აქ კი არა, მიწაში კრთება.

აიღე ტანჯვა და აქციე სიმღერად იგი.  
ზოგი სიმღერა სიტკბოს აფრქვევს, ხოლო ზოგი – ღირსეულ  
ღუმდის,

როგორც – მიჯნურის მტკივანი ბაგე,  
ან – მომაკვდავის ძუნწი ღიმღილი.

ათმაგდებიან შეგრძნებები ყოველთვის ზღვარზე.  
კურთხეულია და უცილო ეს გადასვლა ერთიდან სხვაში,  
აქ ჩნდება სწორედ სასიკვდილო ძალა მსხვერპლისა.

ო, მწარე თასო, კურთხეულ იყავ!  
ვაგლახ, ვინ არის ტანჯული და ვინ – სულდაცლილი,  
ის, ვისაც სიმი, დაჭიმული, აუკანკალდა?

## ჭაბუკებისადმი

თქვენ, ვისაც თავებს ყვავილების გვირგვინი გიმკობთ,  
თქვენ, ვისი შუბლის სიმაღლესაც ვერავინ აღწერს,  
თქვენ, ვისი თვალის ყველაფერს ჭვრეტს და არც რა აკრთობს,  
თქვენ, ვისი ბაგეც ოცნებებით შემორკალულა,

თქვენ, ვისი ფეხიც მბრძანებლურად გადადგამს ნაბიჯს  
და უმოწყალოდ ამათრახებს მიწას, დაღარულს,  
თქვენ, ვისი ვიწრო თეძოებიც  
დედაკაცების სადარდებელს დაატარებენ,

თქვენ, ვისი გზებიც სავსეა ღამით,  
ვინაც იქეცით დროთა შორის გზაჯვარედინად,  
ვისაც მიზანი უშორესი გარგუნათ ბელმა,  
თქვენ, ჩანასახო და იმედო ადამიანთა!

თქვენ, რომლებიც კი აგრერიგად უყვარხართ ღმერთებს  
და ღმერთებივით ნეტარებთ ჯერაც,  
თქვენ, ვისთვისაც კი “სიკვდილია” მხოლოდლა სიტყვა,  
სიკვდილის შიშზე ვინც ჯერ კიდევ არარა იცით,

ნუ შეიყვარებთ საკუთარ ხორცს ზომაზე მეტად,  
ნურც სისათუთით გაახელებთ  
და ნურც – სწრაფვით ძალადობისკენ,  
გაავარჯიშეთ თქვენი ძალა და სათნოება,  
რადგან მამაკაცს აყალიბებს მხოლოდ თამაში.  
მაგრამ არასდროს დაივიწყოთ: თქვენი სხეული  
სააქაოს კუთვნილებაა,  
თქვენ კი მორევა განგიზრახავთ დედამიწისა.

ყოველთვის მკაცრად მოეპყარით საკუთარ თავს და  
უმწიკვლო დარჩით, როგორც ძალის ელვარებისას,  
ისევე – სქესის ქარიშხალში.  
სულ სხვა რამ არის თქვენთვის ვნება და სიყვარული –  
დე, ასეც იყოს!  
სულ სხვა რამ არის სიკვდილი და კაცად გახდომა –  
დე, ასეც იყოს!  
მაგრამ სუნთქვა და პატიოსნება,  
დე, **ერთ** რამეს ნიშნავდეს თქვენთვის!

მამაკაცობა

არ გეგონოთ უმოწყალობა

თქვენივე თავის

ანდა მთელი სამყაროსადმი.

ჭადარა მოხუცთ კვლავაც ფეხზე წამოუდექით,

**იქ**, სადაც დიდი მსახურება აღესრულება

და **აქაც**, სადაც კი შეხვდებით ჭადარითმოსილთ.

დე, ეს ჭადარა იყოს თქვენთვის მყარი საბუთი,

და იმ ვაების დამმოწმებელი,

რაც აყალიბებს **ადამიანს** ადამიანად.

ერთმანეთს მწვავედ ეპაექრეთ,

ებრძოლეთ კიდევ!

მაგრამ სიბრძნეს კი მიაგებეთ ჩუმად პატივი.

გულზვიადები დარჩით მხოლოდ საკუთარ თავთან!

ძუნწებად დარჩით საკუთარი თავისვე მიმართ!

მაგრამ შორეულ უცხოეთში გადახვეწილებს,

მშობლიური რომ მოგესმებათ უეცრად სიტყვა,

თქვენი ოთახი ან დედა რომ მოგენატრებათ,

ჩემო ბავშვებო, უფლება გაქვთ, იტიროთ მაშინ!

რატომ გადიდებთ ასე  
მგოსანი?  
თქვენს სხეულებში  
კრთება ლექსის სრულყოფილება:  
თქვენ ხართ საზომი, კანონი, ბგერა,  
ხორცი შეასხა რასაც ენის წმინდა კავშირმა.  
თქვენი სახება, უფლის მსგავსად, მშვენიერია,  
მაგრამ თქვენ მხოლოდ გარეგანი ოქრო გაბრწყინებთ,  
მოოქროვილი თქვენ ხართ ღმერთები.  
მგოსანი კეთილშობილებას თქვენ არ გისურვებთ:  
ის **წყალობაა,**  
**სიყვარული** კი,  
დაე, იყოს თქვენი საზრისი!

საგნებს შიშვლად და ხელალებით თქვენ ნუ მიიღებთ: სული  
შთაბერეთ, ამაღლეთ ყველა მათგანი,  
გიყვარდეთ ისე, დედაძინა ვით გეყვარებათ: განიერებას  
ეტრფოდეთ მასში!  
ერთად მყოფებმა სიდიადეს უძღვენით ფიქრი,  
ხოლო როცა მარტო იქნებით, მე სიღრმეში ჩაძირვას გირჩევთ!

ველური სისხლი, რომ მჩქეფარებს მაგ თქვენს ძარღვებში,  
ბინდთან, თრობასთან ნაჩქარევად შეუღლებულა.  
დიდია ღამე. და ვინც ხელში ჩაუვარდება,

მას **ენწევა** სწორედ სიკვდილი. მაგრამ მებრძოლს, ჩაუქსა და  
შეურიგებელს,  
ღამე აუხსნის თავის მტკივან იღუმალებას.  
ნუ გააღმერთებთ — თრობა ღამის ვაჟიშვილია!  
ღვთაებრივ ტვიფარს ღამე, ალბათ, მართლაც ატარებს,  
თუმცა, ეს ღმერთი უნდოა და ძრწოლისმომგვრელი!

ამაოებას თვალი თვალში რომ გაუყაროს,

**ცოცხალი** დარჩეს

თვით სიკვდილის **შეცნობის** მერეც –

აი, ეს არის მამაკაცის საჯილდაო ქვა.

ეს გაიხსენეთ,

შეუდრეკი როდესაც სისხლი

თავეს სულ მალა,

ვარსკვლავთაქენ აღგაპყრობინებთ.

ეს გაიხსენეთ, როცა სიტყვა,

ფერადი, მძლავრი,

თქვენზე არსიდან გადმოინდება,

როდესაც დიადს შეჭლადადებთ საკუთარ თავში,

კაცობრიობის სიღიადეს უმღერით როცა.

და მაინც, დაე, მიუწვდომი დარჩეთ გვირგვინი

თქვენს ასწრაფებულ და ძლიერ ხელებს.

დედამიწაზე თქვენ იქნებით სავანე კაცთა

და ცინე-კომპი – მალა მყოფი ღმერთებისათვის,

ანდა – ნაგავი უსარგებლო და ეკალ-ბარდი.

გააჩნია, თქვენ რა გწადიათ:

დრო და ბაზარი,

ხმაური და ქება-დიდება

თუ –

სიშორე უსპეტაკესი.

თქვენ, ვისაც თავეს ყვავილების გვირგვინი გიმკობთ,

თქვენ, ვისი შუბლის სიმაღლესაც ვერავინ აღწერს,

თქვენ, ვისი თვალიც ყველაფერს ჭვრეტს და არც რა აკრთობს,

თქვენ, ვისი ბაგეც ოცნებებით შემორკალულა,

თქვენ, ვისი ფეხიც მბრძანებლურად გადადგამს ნაბიჯს

და უმოწყალოდ ამათრახებს მიწას, დაღარულს,  
თქვენ, ვისი ვიწრო თეძოებიც  
დედაკაცების სადარდეულს დაატარებენ,  
თქვენ, ვისი გზებიც სავსეა ღამით,  
ვინაც იქეცით ღროთა შორის გზაჯვარედინად,  
ვისაც მიზანი უშორესი გარგუნათ ბედმა,  
თქვენ, ჩანასახო და იმელო ადამიანთა!  
თქვენ, რომლებიც კი აგრერიგად უყვარხართ ღმერთებს  
და ღმერთებივით ნეტარებთ ჯერაც,  
თქვენ, ვისთვისაც კი “სიკვდილია” მხოლოდღა სიტყვა,  
სიკვდილის შიშზე ვინც ჯერ კიდევ არარა იცით.

## წმინდა ლექსი

უფალო, სიზმრად მომივლინე თოთო სტრიქონი –  
ცხადში ბგერები ლექსის ღეროს ესხა ეკლებად,  
თუმცა ამ ხილვის ყველა ნაკვთს და ხვეულს ვიპოვნი,  
მე მხოლოდ ნატვრა და სიტყვების ძალმიძს შეკრება.

რად არ მომესმა ამ მარცვლების გამუსიკება?  
რად ვერ მოხერხდა ამ სტროფების ქცევა ჰანგებად?  
სიტყვები მაცთურ ზედაპირზე რჩება სიტყვებად,  
სიმღერა სიზმრის ყრუ ღუმელში ჩაიკარგება.

ახლავა მივხვდი: ჩანს, ზმანება დიდხანს მიცდიდა...  
არადა, ცხადში თუ მიხვდები რა ხარ, ვინა ხარ.  
თვალს დავხუჭავ და გამიტაცებს რაღაც სივრციდან.  
ზმანება თვალებს გაახელს და... შენ დაგინახავ.



## აკველას

უფლის ოცნებამ თუ დაგბადა მსუბუქი ასე,  
შემოექეცი მოციქულად უცხო ზეცათა,  
შენ შეიფარე სიყვარული და მიიმსგავსე,  
ფრთა მოუჩრდილე მას, რომელიც შენად გეწადა.

შემოგხარიან ყვავილების შორი გუნდები,  
მე კი შენებრი ლალი ფრენის მღევენ დარდები,  
როცა ნათელი ტევრებიდან დამიბრუნდები  
და დედამიწის ოდინდელ ტვირთს დაუზავდები.

შენს მქრქალ მინანქარს ეშინია ჩემი სიმძიმის,  
მზისკენ მიიწევ, მღლის სიმაღლის უცხო ნაწილი,  
ტატნობს უტოლე უცნაური ფრთების ციმციმი,  
და ღრუბლებისკენ უსალბუნო სევდა გაცილებს.

## აღამიანური ლანდშაფტები

### ქალიშვილი

მჩატე მიწა, აღერილი ტიტებად.  
გაზაფხულის ლალი გამონათება.  
მოლოდინი,  
ფიქრთა ჯერ არ განცდილთა.  
ონავარი, ფოთლები რომ არია  
და კოკრები დააფეთა, ქარია.  
ზმანებაში ჟამი დაიწრიტება.  
ნება-ნება ზედ რომ მოემართება,  
ეს ქორთა წყვედიადუელ აჩრდილთა.  
ო, ამ ტბაზე მშვიდი არც რა იქნება,  
ღრმა არ არის, თუმც, ძალიან გრილია.  
წყლის ათასგვარ ფერად ალიცლიცება  
ზედაპირზე სარკის ელვად ინთება  
და როდესაც ზეცას შეენივთება,  
ღმერთი მშობელ მამად გარდაიქმნება  
და სიცოცხლეც აღარ გაიცრიცება.

### ჭაბუკი

მომწარო ქარი. ყავისფერი ბორცვების გვემა.  
ბრმა გაზაფხული – მოცახცახე, მლეგი, მერყევი,  
რომლის ქვითინი ბალახს კორდზე ამოსვლას უშლის.  
შმაგი, სადავემიშვებული ღრუბლების რემა  
მიქრის უმტვერო ტრამალებზე ცისფერი შუშის.  
არყის ჭალიდან, ტბორებიდან მაღლა და მაღლა  
დილის ჰაერის სინატიფეს შეერთვის ყანჩა,

მთლად სიფრიფანა საფრთხეების სუსტი შერხევით.  
მიუჩვეველი, თოთო ფრთების უღონო ცემა  
ცეცხლს ანთებს მაინც. ნალვერდლების მღელვარებს ფარჩა.  
ვისაც სხივების საცეცებით მიაგნო მზემა,  
ის ნორჩი დღეა, არ ეტყობა რომელსაც დალლა.

## **ქალი**

რანის პირას ზიზილების ჩურჩული ისმის.  
დგას ქალის სუნი. ამ სურნელში ცაცხვიც ჩამდგარა.  
პურის არომატს აფრქვევს ქარი. ჰოდა, ამგვარად,  
ფარვანებილა დარჩენილან პატრონად ნისლის.  
უხვად შერხეულ თავთავებსაც თუ მიაგენი,  
ყაყაჩოების იფეთქებენ მწიფე ბაგენი.  
ტოროლა დაქრის. მის ხმას ვნების შეჰყვრია სენი,  
მისი გალობა ეფინება ღელეთ და ნაპირთ,  
ხის ფესვებიდან ფეთქით ბლანტი იღვრება წვენი,  
რომელიც რტოებს დაარწყულებს უტკბესი ქაფით.

## **მამაკაცი**

კლდე. კუნძული, მარტოობის დამლექავი.  
ჯიბრიანი მიმოქცევის ღია თასი.  
ქარიშხალი, ღუინების წამლეკავი  
და – ფოლადი, ცის ელვარე სიათაში.  
ზღვაში ნავი – საჭე შენს ხელს ელოდება.  
ნავში – ხმალი, რომ შეგიცვლის გუნებას.  
თოლიები ამოწმებენ მეთათსედ  
თავიანთი ფრთების ღირებულებას.

## ი ა ზ ნ ა ნ ა

გადმოახტება ძია მთვარე ჭიშკართან გუბეს  
და ჩვილს წინსაფრად მოუმზადებს ქათქათა ღრუბელს,  
შინ შემოდგრება, დასკუპდება მაგიდის თავში –  
თვალებს მილულავს და მაშინვე იძინებს ბავშვი.

ენვევა მთვარე სიზმარეულ ხელის ფათურით,  
დიდ ხეს მოუვლენს, მობდღვიალეს ოქროს ნათურით,  
იქ, სადღაც, ახლოს, მოზუზუნე ფუტკრის სკეპია,  
რომლებთან ერთად ვარსკვლავებიც ამღერდებიან.

მათი გალობა ჩვეულებრივ სიმღერას არ ჰგავს,  
ხარ-კარაული მოსდგომია ზეციურ ბაგას.  
ამ მზიან ღამეს, გარდასახულს უგრძეს წამებად  
მონგოლეთიდან მოსულ მოგვთა ლოცავს სამება.

მონგოლეთიც და თურქთ ქვეყანაც შორს დარჩებიან.  
სძინავს პატარას; სძინავთ, ქვეყნად რაც ბავშვებია.  
ჩუმად რეკს ზარი. ჩვილს კი თეთრი კვართი აცვია.  
ასე არ არის?  
მიპასუხე, ჩემო პაწია!

## კმსანე (არ დამივიწყო)

ჩუმო ტკივილო, დამეების ჩემთან გამთევო,  
შენ, გრილო თოვლო, ხან – მსუბუქად ტკბილო ნამქერო,  
ცოდვით გარუჯულ შუბლს უმატებ ახალ ცთუნებას:  
ცრემლივით ელავს, ახამხამებს წამწამებს თრთოლვით,  
როდესაც ღამის მწვერვალებზე ეშვება თოვლი,  
მღუპარე ზეცის ვჭვრეტ დაბრუნებას.

რა სწრაფად ბრუნავს უღმობელი დროის მრიცხველი!  
ნეტავ, ასეთი გაოცებით რატომ მიცქერი,  
თქვი, კაეშანმა რად აგივსო ბავშვური მხერა?  
თუმცა, რას იტყვი, როცა ქვეყნად ასეა ყველა:  
შეხე, ყმაწვილმა დაიჭირა ბოლო პეპელა.  
მე კი, გავთეთრდი, ღამის, გულმაც შეწყვიტოს ძგერა.

არ დამივიწყო – ამ სახელით შეგთხოვ, კესანე...  
ღუმს ორი ღერო. ხმას არ იღებს აღარც მესამე,  
არც ერთი კვირტი არ იღვრება სანატრელ ხმებად.  
თქვენ შემომჩვიით, თუმც, შემწყდარა სიტყვის თარეში,  
მკრთალი სინათლე, დარჩენილი კითხვის გარეშე,  
კესანესავით ჩემს გულში ხმება.

თოთო ფიქრებმა ვერ მოასწრეს ჯერაც გაშრობა:  
საოცარია, გავინსენო უნდა ბავშვობა!  
(სულღო, ძაღლონე როგორ შეგრჩა, ნეტავ, ამდენი!)  
ყრმობა პირისპირ, რა ხანია, არ შემხვედრია,  
მანც ჩემშია, უფრო მეტიც, ჩემი ხვედრია,  
ბავშვობის ვარსკვლავს ძველებურად რომ მივაგენი.

ჩუმო ტკივილო, ღამეების ჩემთან გამთევო,  
შენ, გრილო თოვლო, ხან – მსუბუქად ტკბილო ნამქერო,  
ცოდვით გარუჯულ შუბლს უმატებ ახალ ცთუნებას:  
ცრემლივით ელავს, ახამხამებს წამწამებს თრთოლვით,  
როდესაც ღამის მწვერვალებზე ეშვება თოვლი,  
მდუმარე ზეცის ვჭვრეტ დაბრუნებას.

## ნარცისმბი

რუს გასწვრივ, მერეც, სადაც მდელი დაიაღმართებს,  
არყების ბადე ლანდივით რომ გაიელვებს მყინვარის ფონზე,  
უნდა უსმინო, ვით შესჩივის ფლეიტა ღუმელს  
თავის ტანჯვაზე, მარგალიტად რომ ჩამარცვლილა.

ძახილი, სწრაფად შეწყვეტილი, სიყმაწვილე, ტრფობის ბურუსი...  
ეს ახლა იყო? თუ გული მარად ძილბურანში იტანჯებოდა?  
იქნებ ღუმელში შეიცნო თავი?  
იქნებ ღუმელში დაინახა თავის ცრემლები,

წყალწყალა სისხლი ან ტკივილი, ვარსკვლავით გაქვავებული  
და ჯერ მფეთქავი მშვენეირება, სიმღერას რომ ახერხებს ისევ?  
მამ, წამოდექი, უსახელოდ მშვიდო ჭაბუკო,  
დაგბრუნებია შენ სული შენი!

კვლავ შეიგრძენი წვა უპასუხო,  
მტკივანი ჭვრეტა საკუთარი ანარეკლისა,  
მარადი მსხვერპლი, ჯერაც რომ ვერ გამოიგლოვე,  
ტლანქმა დღემ უცხოდ რომ გიქცია და დაგაშორა.

დღეს შენი ბედი იმეორებს ჩემს ბედისწერას.  
ო, რა გრილია ყვავილები! მაგრამ რადგან გავხლიჩე გული,  
ის სისხლად იქცა. და მე მზად ვარ, ტკბილო სახებავ,  
თვით სიკვდილშიაც უკან გამოგყვე.

## ლომისკბილა

არ უძერწინხარ ლარნაკისთვის, ყვავილო, უფალს,  
ვერც მემიჯნურეს ვერ დაუგებ ტრფობის მახეებს,  
თუმც, უსახლო, თესლი შენი, თეთრი და სუფთა,  
ზეციურ ნისლებს გადევნებულ ოცნებად სუფევს,  
თითქოს სამყაროს ოდინდელი ჩანასახია.

და გაიღიმე, დაანახე ქარებს წადილი,  
აიყვავილე, დაუძალე ღუმილი რტოებს...  
ბუმბულს, რძემწარეს, დაუნდობი დრო ინადირებს  
და სიძულვილიც არ მოგვკაკლებს ულევ სატირალს,  
ცას კი დათმენა სხვა სიბრძნეთა გაგვიფართოებს.

რომ შობილიყავ მწვერვალების მზისფერ კალთაზე,  
გადაგეპენტა ირგვლივეთი დილის მზესავით.  
ჰორიზონტების ზანტ აღმურში ფრთას გაანახებ,  
ჯიუტად ხარობ, დასაკარგი გზები ჩარახე,  
ხარ საკვირველი, საოცარი და საესავი.



## ნარშაკა

მარცხნივ  
თუ მარჯვნივ,  
სიავედ და სიკეთედ მყოფი,  
ცხელი თუ ცივი, სიმრუდე თუ მშვენიერება:  
შენ შეგიძლია მარტო დარჩე, სამყაროს მცნობი.

მიდი, უჩხვლიტე,  
აგრძნობინე  
ტკივილის გემო,  
რომ იმად დარჩეს, რად ყოფნისაც ერჩის სურვილი.

სახრჩობელაზე გაისტუმრეთ  
გამძვინვარებით!  
და ნაზი ხელით ჩაიდინეთ  
ეს ბნელი საქმე!  
ჯერ შეიყვარეთ იმ უმანკო ბავშვის ქოჩორი,  
იწვრთნება როგორც პირქუში და თვალავი კაცი,  
გაითავისეთ – რაღაც ღირხართ, და მიემსგავსეთ.

ჰპოვე სიმშვიდე  
და ატარე წყენის გარეშე!  
შემოგვრჩენია მეც და შენაც;  
სვეა საერთო  
და დასასრულის  
უსათუოდ სარგები წესი:  
გამოგვაცლიან სათითაოდ ბუმბულს და ფოთოლს  
და მყრალ ხახაში მოგვიგდებენ კოჭლი ვირები.

## სახლი

ქალაქის პირას, უნაპირო მინდვრების ფერებს  
დაენტქმებიან ატეხილი სადაც ქუჩები,  
სადაც ფრინველი ფრთას წამითაც არ შეასვენებს,  
მიტოვებული ძველი სახლი დგას გაყუჩებით.

მომაკვდინებელ ქარიშხალთა ავი ჩურჩული,  
გადაეველება ქვამონავლებ შიშველ ლავგარდანს.  
ბრმა მთვარე მწვანედ ებლანდება ფანჯრის ურდულებს  
და გარდაცვლილის ჩონჩხის ლანდად მოდგება კართან.

აქ სილატაკის თითისტარი ზუზუნს არ ილევს  
და ღამე არის ირგვლივეთის მკვიდრი მარადი  
და დაბადება და სიკვდილი მზარავ კივილად  
ზვინის ძნებივით დაბებკილან სახურავამდე.

## ს ე

ჩემი სარკმლის წინ ხის ტლუ ტანია,  
თუმც არც ცაცხვია, არც ურთხელია...  
სივრცეს რომ ართმევს, გალაგანია,  
ზეცა ამ ხისთვის საკნის ხვრელია.

გაზაფხულობით მეჩხერად ისხამს  
და სხვა ხეების არ სწყინს სხვაობა.  
ბოროტი მზერა შეაფრქვევს რისხვას  
ეზოში მფეთქავ სანახაობას.

მზე სულ ერთ წუთში თვალს ეფარება.  
ქვიანი ქარი დაბერავს ოდეს,  
სთველზე ზაფხულის ქრება ხარება,  
შემოდგომობით ზამთარი მოდის.

უცეკვ-უმღერლად განიკითხები,  
ჩრდილი არ უხმობს დაქანცულ მთესველს.  
აქ ფაფხურობენ ღამით ვირთხები  
და ღრღინან ღვლარჭნილ ბოჭკოს და ფესვებს.

სხვა ხე თუმც მოჩანს განმარტობით,  
მისი ნაყოფი მშრალ მიწას აწვიმს.  
ღრეკადი კანით, მძლავრი რტობით,  
განა არა ჰგავს მშვენიერ ყმაწვილს?

ჩასჭიდებია სამშობლოს ხე და  
თავის მკვირვ ვარჯებს ფოთლებში ძალავს.  
დამბადებელი და ბრძენი დედა

ტანში ჩაულვრის წინაპრის ძალას.

და მის სანაცვლოდ შეხედეთ ამ ხეს –  
ხე არის, თითქოს, თუმცა არც ხეა...  
ამაო ყოფას ის ცრემლით ამხელს,  
ტყვისთვის სიცოცხლე მხოლოდ მარცხია.

მიეცით სივრცე, ო, გალაგნებო!  
ო, მისი დახსნა, ცაო, ინებე!  
ააყვავილე, ჰქმენი თავნება –  
სცადოს გულივით აყიჟინება.

## ღამე

უცებ ტკივილმა წარსტაცა ძილი  
და ზედ კისერთან დაუწყო ჩხვლეტა.  
რად გაყინვია გულისხმა თბილი,  
რად დამსხვრევია სიზმარი, ნეტა?

ეს არ ყოფილა სასმელის ბრალი,  
არ მორევია ბახუსის დელგმა,  
ის ზმანებებით არ იყო მთვრალი;  
უბრალოდ, ტვირთს ვერ გაუძლო მკერდმა.

ზნე საკუთარი ამძიმებს, ანდა,  
ვის ძალუძს იმის მშვიდად ყურება,  
როს სიტყვა-ზრახვის ბოროტი ბანდა  
გექცევა კანად და კიდურებად?!

დემონთა დასი თრთოდა, კვნესოდა...  
ის, გულწასული, ტანჯვას მინებდა.  
წყვლიადიც იყო მკაცრი ესოდენ,  
რომ არსად წასვლას არ აპირებდა.

ასეთ ძრწოლაში მოვიდა დილა,  
მკრთალად შეიჭრა დანავსულ წრეში,  
დაბინდულ სახეს შეეხო ფრთხილად  
და ხელში შერჩა მხოლოდღა ლეში.

სარკმლამდე ჩუმი კვნესით მივიდა –  
სულს შიში აჩნდა და სევდის ღვენთი.  
ხოლო გარეთ კი თითო სხივიდან

იჭყიტებოდა კეთილი ღმერთი.

ხე თავს უკრავდა შერხევით სწრაფით,  
ყვავილს ისხამდა და შრიალებდა.  
იხილა, ღრუბლის მსუბუქი ქაფი  
ლაჟვარდზე როგორ მისრიალებდა.

იხილა, ღრუბლის უმანკო რიგი  
ზეცისკენ როგორ აიზიდება...  
მაშინ მუხლებზე დაემხო იგი  
და აღუვლინა უფალს დიდება.

შავი ფრინველი, წყვდიადის დარი,  
რომ ვერ ამჩნევდა თალხი აფრიდან,  
ხიდან მოწყვეტით დაეშვა მკვდარი,  
ხოლო ტოროლა ცაში აფრინდა.

## ბლესური კალენდარი

### იანვარი

თეთრით მოდის წელიწადი.  
სამი მეფე თოვლში დადის.  
შველი მიწას ჩიჩქნის ნელა,  
ვარსკვლავთ მწკრივი სდუმს და ელავს.  
სიჩუმეა სახლში, როცა  
ჩაჰბუტბუტებს გლეხი ლოცვანს,  
და ბუხარიც ძღერის, ხარობს,  
დრო მიიწევს! არსად ვჩქარობთ.  
სებასტიან-ფაბიანის  
დღეებში კვლავ წვენი არის  
ხეში, პავლეს დღეს კი ხდება,  
რომ ზამთარი ნახევრდება.

### თებერვალი

ტყის სამხერხაოს თავზე დასძახეს ჭკებმა.  
ქარი ზეცას გვის, ღრუბლებს განვეტავს წყებად.  
ჟღარუნობს ციგა, შრიალი გააქვთ ნაძვებს,  
ეს ხმა მხევალი გოგოს ოთახში აღწევს.  
მოჯამაგირე მარხილით შეშას ზიდავს,  
ბევრი მასხარა ჩანს კარნავალზე გზიდან.  
ჟანგისფერს იღებს ტოტებზე თხილის ბუჩქი,  
ფანჯრის მინაზე ყინული ჩნდება სუნთქვით.  
წმინდა პეტრე და მათე იქმნიან რასაც,  
კიდევ ორმოცი ღამე დარჩება ასე.  
კლიტე ჭრიალებს – იღუმალია, არ ჩანს!  
გაზაფხულამდე დიდი დრო აღარ დარჩა.

## მარტი

ყოველმხრივ მოისძის გუგუნი ტყის,  
სუნი დგას მიწისა, შხაპუნით წვიმს.  
გამლზვალა თოვლი და ვარდქარი დგას,  
კუნინგუნდეს დღეა, სითბო სდის ქვას.

ყანჩები მოფრინდნენ, კვრინჩხი შლის კვირტს:  
და ბენედიქტეს დღეს ჭვავს თესავს ვინც,  
ის ქაშაყს მიირთმევს ოკულეს დღეს,  
შუა თვეს სინათლეს ჩააქრობს მარიამი,  
ის მოდის და ჭიგოს შეუდგამს ვაზს,  
თუნდ ოდნავ მოყინოს, დახუჭავს თვალს;  
თუ გასაკეთებელს მოვაბამთ თავს,  
უფალი გვაღირსებს წელიწადს კარგს!

## აპრილი

წვიმა ასველებს მიდამოს, თან მზე ანათებს დილის,  
მოჯამაგირე იცინის, მხევალი ქალი ტირის.  
ალუბლის ფურცლის ფიფქი თოვს, გუგული ყვირის “გუ-გუ”-ს,  
ვაზის რტოს დრო აქვს ჯერ ისევ, ყურს უგდებს მიწის გუგუნს.  
ზეცაზე რკალი ფერადი თავის ნაკვალევს ამჩნევს,  
ალარ ასვენებს იარაღს ხელი, თავადაც გამრჯე.  
წმინდა გიორგი და წმინდა მარკოზი, ყველას სჯერა,  
როგორც სჩვევიათ, ყვავილებს ცუდს უქადიან ჯერაც.  
თუმც ბაყაყები ჯერ ისევ არ ყიყინებენ წყალში  
და შეიძლება მოთოვოს კვლავ პერიგრინზე მაშინ.  
რაც უნდა, იმას აკეთებს, ხელს ვინ შეუშლის აპრილს,  
რომ არა ჰქონდეს უფლება, რაღა აპრილი არის?



## მაისი

მზის სხივებში ქრის მერცხალი, ხარობს,  
ყმაწვილ სტუმარს შესჩუხჩუხებს წყარო.  
მზის საათი ატრიალებს ისარს,  
ტაძრის კედელს კვალს ახატავს თვისას.  
გარჯამ დღეებს კვლავ შესძინა აზრი:  
წმინდა ურბან, აყვავე ვაზი!  
კვლავ ფუხფუხებს ჩუმი კასრი ღვინის,  
საწურის ხმა ჰგავს ბაზრობის ყვირილს.  
მკაცრ ბატონებს – პანკრატეს და სერვასს,  
გავაცილებთ, მერე ვიწყებთ ცეკვას,  
მოედანზე, დგას მაისის ხე და  
ზედ ბაფთები ჩიტებივით სხედან.

## ივნისი

ცხელ მონაქროლში ირხევა მდელო,  
მთვარით მოვერცხლო-მწვანედ რომ ელავს.  
ბზუილი ბაზის, ჭახჭახი შაშვის,  
მწვანე გვირგვინად ტყე ყლორტებს გაშლის.  
წმინდა ბარნაბა აბიჯებს ნელა,  
როგორც მთიბავი და ბალახს ცელავს,  
მისი ცელია, მზეზე რომ ელავს.  
ვინც ხელმარდია, მას მისდევს ყველა.  
წმინდაო ვიტ, ჯერ არ გვინდა წვიმა,  
დავაბინავთ საბძელში თივა,  
ვიდრე პეტრე და პავლე ამ ურემს  
ივლისისკენ არ შემოაბრუნებს.

## ივლისი

ღიღილო ლურჯად, ყაყაჩო წითლად:  
შრიალებს ჩუმად თავთავი წმინდა.  
თეთრად თოვს ცაცხვი, ქვითქვითებს მწვერი,  
სწუხს გლეხი, ხვალ რა ამინდი ელის.  
წყვეტს მარგარიტა მსხლის პირველ ნაყოფს,  
ხორბალი მინდვრად დიდხანს არ დაყოფს.  
მთიბავს წყლის ღოჭი ხის ჩრდილში უღვას,  
ხარებს მხევალი მიჰყვება უკან.  
სხეული მძლავრი და მძიმე ტვირთი:  
შორს ისმის გრგვინვა ღრუბლების ზვირთის.  
გმადლობთ, წმინდაო იაკობ! ამ წელს  
დავაბინავთ ხორბალი საბძელს.

## აგვისტო

მღვდლის სახლის წინ, ბალის პირას  
როზმარინი, მზესუმზირა  
და იები ყვავილობენ.  
დღე, პეტრეს რომ შეიპყრობენ,  
მკის. მტევანი გახდა ტკბილი,  
ყვითლად უჩანს სიმინდს კბილი.  
წეროებმა თუ ბართლომეს  
შემდეგაც არ მონდომეს  
გზას გაუდგნენ, მაშინ ველით  
მოკლე ზამთარს. მინდორ-ველი  
ნახირს უნდა საბალახოდ.  
რა ხმა ისმის, უნდა ვნახოთ –  
კალოს ლეწენ. ასე გადის  
ხვნის და თესვის წელიწადი.

## სექტემბერი

ეგიდე უბერავს ფოთოლთა საყვირს.  
ირხევა ეკლებში ნაყოფი მაყვლის.  
დაბლა ყრუ ხაშურით ეცემა ვაშლი,  
წყაროსპირს ნარშავა ლურჯ ყვავილს გაშლის.  
მერცხალი მიფრინავს, შინისკენ გზავნის  
პატრონს ფენსაცმელი დაღლილი მგზავრის.  
გაგრილდა დღეები ცის ლურჯი ფრთებით,  
აჭრელდა ფოთლები, გათეთრდა მთები:  
როდემდე? მწუხრია, ნაპერწკლებს ისვრის  
ჭალაში კოცონი, გაწვება ნისლი.  
ყველაფერს სჯობია შინისკენ წასვლა.  
წმინდაო მიქაელ, დაანთე ბაზმა!

## ოქტომბერი

ყვითლად აცეკვებს ფოთლებს ხის ხმელი წვერი.  
დის საწნახლიდან ყურძნის ნაკურთხი წვენი.  
წმინდა გალუსი სხვის სახლში იღებს ბინას,  
სიმონ, იუდა ბალახს უსვამენ რკინას.  
შავი ყვავები ერთად მიმსხდარან, მიჯრით.  
ბუხრისთვის აპობს შეშას მსახური ბიჭი.  
ახურებული ირემი ყვირის ხევში,  
და ნაცრისფერად ჩამოდის წვიმის თქეში.  
ძალლი უეცრად აფშუვლდა. კედლის ძირში  
სხედან ბავშვები, სულგანაბულნი შიშით.  
ახლა წინაპარს ქარი ჩაუქრობს ნათელს  
სიკვდილის სახლში მისთვის ანთებულ სანთელს.

## ნოემბერი

ტაძრის ეზოდან ჩუმი ნათელი სცემს.  
განისვენებენ მკვდრები, ნუ დაღვრი ცრემლს!  
სიკვდილი სძალავს მიწაში ჩაფლულ თესლს,  
მაგრამ აღსდგება და კვლავ შეხედავს მზეს.  
მარტინი მწიფობს, ანდრია აფენს თოვლს,  
მხევალი ზიდავს ტვირთს, შველას არვის სთხოვს.  
ტყიდან თოფის ხმა გადმოეველება მთას,  
გომურის კედელს ურტყამს პირუტყვი თავს,  
მშვიდი მიდამო ნისლში ეხვევა მთლად,  
ჩამოიღვენთა სანთელი – ცეცხლის თმა.  
დაე, მოყინოს, მოსპოს, მოთოვოს ხვალ!  
კაცი ფხიზელი და მარტოსული ხამს.

## დეკემბერი

ბოსელში ვირი, ძროხა და ხარი.  
როცა დღემ ღამეს უქცია მხარი,  
ყრმა იშვა მათთან. და კვლავაც ასე  
ვარსკვლავი ელავს ბეთლემის ცაზე.  
დიდება მაღლა ღმერთს, ხოლო დაბლა  
ქვეყნად მშვიდობა. გაშალე ტაბლა,  
დაკალი ღორი, ოჯახიშვილო,  
დააცხვე პური, დაასხი ღვინო,  
არ გაანელო სითბო არასდროს,  
ყინვამ და სუსხმა ყრმა არ დააზროს!  
ვზეიმობთ ერთად, სუფრაა დიდი:  
ჩამოჰკრავს თორმეტს – ეს წელიც მიდის.

## სოფლის გავლით

აქ – სიმინდი აღერილი, იქ – სამყურა დარკალული;  
დიდფოთლება კარტოფილი, საყველპუროდ გაკვალული.  
წითელი და ყავისფერი შორს ხნულების გორგალია.  
ყვითელ მზეში რომ მწიფდება, ოქროსფერი ხორბალია.  
თითქოს ხელით ნარჩევია დასიცხული რბილი ქვები.  
წვრილ ზოლებად ამჩნევია მდელს თეთრი ბილიკები.  
სიმინდები, სამყურები მზეში გაიზმორებთან.  
ხრიოკებს რომ ჩაჰყურებენ, თოკშებმული ხბორებია.  
შორს – ხნულები, ჟღალი, მკრთალი, მიწის წიაღს დანდობილი,  
საყველპუროდ გაკვალული დიდფოთლება კარტოფილი.  
ჭვავში – შველი, შვიტა, ჯიქა ერთურთს დანაწყვილებია.  
იქვე ურმის შორიახლო მწვანე ნუშის მწკრივებია.  
შუადღეზე ყანა ღელავს და ახარბებს ხმაურს დილას.  
გრილი დოქი მთიბავეების სველ ტირიფებს დაუჩრდილავს.  
ხნული შავი, ხნული მკრთალი არემარეს ნათლით რკალავს.  
ტყე ღვივის და ფისის სუნი მოსდებია მზიან ჭვალას.  
ფრთას შეარხევს მწყერი რუხი, სანამ ტყვიას გაახარებს.  
გლეხი ხვდება ურმის წუხილს, არ აჩქარებს ზორბა ხარებს.  
ეზო, კოშკი ეკლესიის, შენდობას რომ იმას სთხოვენ.  
სხვა არარა. არაფერი. მხოლოდ ჩუმი სიმარტოვე.  
აქ – სიმინდი აღერილი, იქ – სამყურა დარკალული.  
დიდფოთლება კარტოფილი, ადგილ-ადგილ გაკვალული.  
ირგვლივ მხოლოდ მარცვლებია, ბნელ შრეებში ჩამარხული.  
სხვა არარა. არაფერი. ხნული. ხნული. ხნული. ხნული.

## ვენახში

ვენახში, ბორცვებზე, ხან აღმა, ხან დაღმა  
მილოლავს ურემი.  
მოჯამაგირე კი სიტყვების საპალნეს  
როს ტლულ და გულგრილად ბოლომდე გამოცლის,  
სადავეს მიუშვებს,  
ყვითელ კბილებიდან შავ ჩიბუნს გამოსცრის.  
ბორცვს გადაგვატარებს ბილიკი ნაცადი,  
ჩორთით რომ მიჰყვება დაღლილი ფაშატი.

ერთურთს მიბჯენია  
მარანთა კედლები –  
ყვითლები, თეთრები.  
სუნი გცემს ვაზისა და ყურძნის ღელესი.  
ლექსებით შემკული ორკარა ჭიმკარი  
ბალახისფერია,  
რომლის წინ გართხმულა  
ლოდი უძველესი.

ირგვლივ დაღმართებზე  
ფოთოლთ ეკვრებიან –  
ბუჩქების შპალერზე მძიმე და მაგარი  
მწიფე კენკრებია.  
აქვეა ქონები ვენახის დარაჯთა.  
თრთიან ბელურები და საფრთხობელები.  
თუნუქის ნაჭრების ცეკვავენ რკალები,  
ეხვევათ მტევნები და ვაზის პწკალები.

ჩერდება ფაშატი.

ცირცელს თვალს აყოლებს.  
ღუმს მოჯამაგირე  
და ჩიბუნს აბოლებს.

ღროა შმაგი ღვინის და არა – ჩაის სმის.  
ძველსაც და ახალსაც ვიღაცის ხელები ჭიქაში ჩაწურავს.  
ელვარე სასმისი ცივ ბუშტებს ეხლება.  
ეს არის, რაც ვიცით და რაც გვეხერხება.

## გარმონი

ღვივის მიწა წითელი. მზეში კრთება ბულული.  
ნაკადული იღვრება ტირიფით დაბურული.  
შეხე, მწკრივთან ალვების ჩრდილმა გაიტივტივა,  
ნება-ნება ვნებდები, მეც იმისკენ მივდივარ.  
ჩემს ქუდს ცაში ავისვრი,  
სხივს რომ დაუქარგია.  
ჩემს ქუდს ცაში ავისვრი  
და შევძახებ: კარგია!

მთიბაკები – მინდორში. ზრიალებენ ცელები.  
ღმერთო, ნეტავ მქონოდა მათნაირი ხელები!  
მე კი მუსიკოსი ვარ მხოლოდ მოხეტიალე.  
ო რამდენჯერ გავთელე ეს ქვეყანა ტიალი,  
ო რამდენჯერ ჭალები მზეზე გამიკივლია...  
რა მცირეა სამყარო, თანაც, ო, რა დიდია!  
ახლა ვნატრობ, ცის ნალი ელვამ რომ არ მოხაროს  
ანუ გაუფრთხილებლად სეტყვა არ ჩამოყაროს!

ღო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი გულმა ცამდე აზიდა  
ღო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი თუ მიფასო ლასიდა.  
უცხო ენავ, უცხოსთან უკვე ვიცი, რას იზამ –  
გაუშინაურდები და ...Egis-ha, a-cise.  
როცა ვხედავ ცისფერ ცას, დროის სრბოლა ყოვნდება,  
გული მკერდში ფრთხილებს, რომელიც ფართოვდება.  
ზაფხულს შვენის ნამგალი, მიმძაფრდება ეჭვი როს.  
არ მსურს გლეხი ვიყო და ეგ ნამგალი მეჭვიროს.

იქით, ყვავილნარებში მზის ყვითელი მტვერია –



შეხე, ყველა ნამგალზე უფრო მშვენიერია!  
ნუში გაზაფხულობით ყვავილებით თეთრდება.  
ხარობს ანა ტანადი, ისიც ნუშს უერთდება.

ბანი გვიხმობს და არა — კრინი შესაბრაღისი...  
აი, მესმის გართობა! აი, მესმის ხაღისი!  
ტრიაღია ნიშანი ამ სამყაროს არსისა.  
და ფრიაღებს ზონარი, ქრის ნიაღვი ვაღსისა.

კარგია, რომ ერთად ვართ,  
ბავშვო უსათუთესო!  
რა ლამაზად ანათებს  
ხომღი თავის ბუღესო.  
ო, რა ძღიერ მიყვარხარ,  
მსურს დაგკოცნო მთღიანად —  
ნეტავ,  
ღამეღ მზიანო,  
ღღეს არ ღაგეღვიანა!

## კველი ოტაკრინგი

რაც კიდევ ცოცხლობს, ის სიზმარია.  
ცხადში კი გრგვინავს მხოლოდლა ფარსი.  
ახალგაზრდები მრავლად არიან,  
თუმც ცოტას ესმის იმ დროის ფასი,  
როცა ტადარი გვეოფნიდა მცირე,  
თეთრი სახლების გვედვლა აჩრდილი,  
დანრილ სახურავს ამხელდა დირე,  
რომლის ქვეშ იწვა ვაზი ღვლარჭნილი.

იქ შემოდგომას მაისი ცვლიდა,  
თავგამეტებით კრთოდა სოსანი.  
ცას ამშვენებდა ლაჟვარდი წმინდა  
და თვით ჰაერიც იყო ფრთოსანი.  
იქ ტყეს ტყისმჭრელნი აძლევდნენ ძალას –  
მათი სიმღერა ცაზე მეტია.  
იქ უსასტიკეს ნაცრისფერ ქალაქს  
ჯერ ტევრებისთვის არ შეეტია.

დღეს კი უბანი სავსეა ქვებით.  
და ყველაფერი მოუცავს ამ ქვებს.  
მხოლოდლა შორი და ჩუმი მთები  
ადრინდელივით ნაზ სურნელს აფრქვევს  
ხილის და ყურძნის. მზე დაქრის ლალი.  
რაც მზეს ემაღვის, მხოლოდ სხვენია.  
აქ ერთ-ერთ ჭიშკარს ნაცნობი თალი  
მწვანე ბუჩქივით შემორჩენია.

აქ ძველებურად

გიწვილიან ჭიქას.  
უკან ბრუნდება  
დროის მდინარე.

ერთი რამ ხდება  
აქაც და იქაც.  
გარმონზე უკრავს  
ბალდი მჭირალი.

## ბრინცივის ვენახის ზმარლობი

შრაიბერვეგის ქუჩას გასცდი მცირედი ხანი  
და... ციციქნა ოდას შეგახვედრებს ვენახი მწვანე.  
მაისი რადგან ოდნავ გრილი აღმოჩნდა წლელუს,  
ვაზებმაც ველარ აიყარეს, როგორც ჩანს, ტანი.

პატარა ზვარი მთვლემარ გრძნობას აფხიზლებს, მზე ვით,  
მზერას ვიმშვიდებ დაძარღვული ფოთლების რხევით,  
ანწლის ბუჩქებზე თრთის ნიავი მარაოსავით,  
ფერდობის თავზე მღერალ გარმონს მივყავარ ზევით.

ცას ცაცხვებიდან ტაძრის ჩრდილი შეერთვის საზად.  
ოქროსფერ კოშკსაც მე მივიჩნევ რატომღაც ვაზად.  
ირგვლივ სახლები გაბნეულან მუქ სიმწვანეში,  
გარდაიქმნება მკრთალ სილურჯედ რომელიც ნაზად.

ყოველთვის როდი ამომდებდა ეს ხილვა ლაგამს!  
იქ, ქვევით, ბნელში, ტანჯვა გაშლის ტკივილის საბანს,  
იქ, ქვევით, ჩემკენ მოსრიალებს ვერცხლის ზონარი,  
დღევანდლობას მე რომელიც ნატიფად მახამს.

შენ, კურთხეულო არემარევ, მზე რომ გაცვია,  
მზერა გრძნობებზე მიჯაჭვული განა მკაცრია:  
ჯერაც ჩემია, როგორც ადრე, როგორც ოდესღაც,  
მშვენიერია და ამ სისხლის სახლიკაცია.

დიადთან შეხლა გვაუცხოებს, გვექცევა მხარი,  
ღვინით ვმშვიდდებით, მარტობის გვიფარავს ბანი...  
მაისი რადგან ოდნავ გრილი აღმოჩნდა წლელუს,  
ვაზებმაც ველარ აიყარეს, როგორც ჩანს, ტანი.

## ჰიმნი კალენბერგს

არას ვჩივი, ჩაგჩურჩულებს ნიჭი რას,  
ან თავი რომ მედიდურად გიჭირავს...  
მხოლოდ მიტომ, ხარ რადგანაც კენელი,  
მთაო, გახდი ჩემი სალმის მსმენელი!  
ვიცი, კარგო, ყელი მით გელერება,  
რომ ხალხისთვის იყავ ბედნიერება,  
კვირაობით მშვიდი და უცდომელი  
მდელოს გასწვრივ სეირნობდა რომელიც.

სიყმაწვილე ჩვენი იცი სრულებით...  
შენს გულმკერდზე ყვავის ფურისულები.  
თუმც ბავშვობა გაქრა დიდი ხანია,  
იმ ყვავილებს ვუცქერ და მიხარია.  
აქ დამბინდა მეოცნებე დაისმა,  
ჩემი ოხვრა შენს ტევრებში გაისმა.  
სიყვარულმა დამიმონა უთქმელად,  
პირველმა რომ უწყალობე კურთხევა.

ვარსკვლავები ახლობელი გახადე,  
მათი სხივი მოაწვდინე აქამდე,  
შორი ტაძრის სიმაღლით დანაკარგი  
მომაახლე მოციმციმე ნაკადი.  
შენი მზერა რად შეყონდა, ნეტავი –  
შუქს ელვარეს ერთვის შუქი ნეტარი,  
ჩვენც ერთხელაც ამას გავუჩენივართ –  
ო, ქალაქო, მოკიაფე, შენი ვართ!

გახსოვს, როგორ ამოხვედი, მზეო, და

შენს სხივებში გზა როგორ ირწეოდა.  
შენ იდექი, თითქოს, არც დაგენახე,  
და შენს თხემთან შრიალებდა ვენახი;

ციცქნა სახლქვეშ თვლემს პირღია უფსკრული.  
და – ბუჩქები, ჭიშკართან ჩაცუცქული.  
გრძნობა, ჯერაც სიზმარში მაცქერალი,  
შენკენ ილტვის, ვით გულისხმის ჩქერალი.

არ გწვეოდა შფოთი და გულზგაობა,  
შენ გეტრფოდა მაშინ ყველა თაობა.  
დღეს – ამაყი, თავს იწონებ ღირსებით,  
და ჩვენც ისევ სიყვარულს გეფიცებით,  
რადგან რაგინდ გულს უშლიდე იარებს,  
ჩვენ ყოველთვის ღიმილს გაგვიზიარებ.  
და უბრალოდ, ხარ რადგანაც **ვენელი**,  
მთაო, განდი ჩემი საღმის მსმენელი!

## ქვაბი

მაგ მომრგვალებულ და ქაფქაფა ნაპირებიდან  
ნაყროვანება იფოფრება მსუყე ფარდებად,  
შენი წყალობით ისადგურებს მოცალეობა,  
შენი სურნელით მთელი სახლი ერთიანდება.

ცხოვრების ზესვლას და – ასევე – ყოფის დაღმართებს  
აწონასწორებ და არიგებ მძიმე თასებად,  
ხალისიანდ, შენეული უშურველობით,  
ხელმეორედ რომ არ სჭირდება თითქოს ავსება.

ვინ არის შენი ქვეშევრდომი, შენზე მცირედი,  
ანდა ვინ არის შენს წინაშე მხნე და დიადი?  
გამხდარხარ ჩვენთვის ჩვენსავ თავზე უახლოესი,  
თითქმის საშო ხარ, მშობლიური დედის წიაღი.

რა მშვიდად გასცემს დედამიწა, ო, რა უხვია:  
თუმც კი უარით ზოგიერთებს მაინც ამძიმებს.  
სულ ერთისთვისაც უეცრად რომ დაცარიელდე,  
მშიერმუცელას რა დააცხრობს, რა დააძინებს?

იმავე ღამით არ მოუვლენ განა ზმანებას?  
წრეს დაგამსგავსებს იავარქმნილს მკვესავი ალი,  
რომლის გარშემო იტრიალებს დაუღალავად  
შურისძიებად მოვლენილი აჩრდილი მკრთალი.

მადლარი კაცი მიდრეკილი იმისკენაა,  
რომ თავის ირგვლივ ვერ შენიშნოს მშიერთა რიგი.  
მაგრამ რას იზამს, როს იფეთქებს მთელი სამყარო

და ცეცხლის ალში გაეხვევა უეცრად იგი?

არადა, ღმერთო, რა ადვილად შეიძლებოდა  
ქცეულიყავი, საწყალობლად ნაშიმშილები,  
უბრალო თასად, იქნებოდა რომელიც სავსე  
კესანეებით, იებითა და ზიზილებით.

თუმც, არას გვარგებს, ეგ სიმაძღრე თუ არ შევირგეთ,  
თუ საჩვენოდ არ გავიყავით ძვირფასი ძღვენი...  
გვასწავლე, როგორ ვიქონიოთ გული კეთილი,  
განიხვენ, ლატაკთ მიაგებე წიაღი შენი!



## წიგნი

დაკარგულ ედემს შენ გვიქცევ სახლად,  
მიწიერ მადლთა ღრმა საწყაულო,  
შენ ხარ სივრცეზე და დროზე მაღლა,  
შენ, სულიწმინდის დღესასწაულო.

შენ იცი, რაც თავს გადაგვხდენია,  
უძვირფასესო საჭურჭლევ ენის,  
შენ უკვდავყავი, რაც დაგვშთენია,  
შენ, შემნახველო აზრის და რწმენის.

ცრუ მისნობისგან თავმომზღუდველო,  
ბეჭედო მყარო და ძველთაძველო,  
ნორმათა, წესთა ნავთსაყუდელი,  
ჭეშმარიტების სპათა დამძვრელი.

შენ ბედისწერა გვიქმენ ინახად,  
თუმც ბედისწერად იქეც თვითონაც...  
და სუყველაფერს სანდოდ ინახავ,  
რაც მშვიდი ძალით სულებს გვიკონავს.

შენ დედასავით ღამეებს გვითევ,  
თუმც, ჩვენზე მსგავსი გტანჯავს სურვილი:  
სიხარბესა და სინანულს იტევ,  
გთანგავს სიკეთეც და სიძულვილიც.

შენ სასოებად იქეცი ჩვენთვის.  
თუმცა, მთავრდება ძილისპირული,  
ტკბილი სიზმარი სხვა სიზმრებს ერთვის —

შენც დასაკარგად ხარ განწირული.

გვქმენ იმად, რაიც არ იჩრდილება,  
და შენც გქმნის ჩვენთა ფარული სულთქმა.  
სრულყოფილია მაშინ ქმნილება,  
როს შემოქმედის თან ახლავს სუნთქვა.

რომ **აღგვამაღლო**, არსებობ მიტომ  
(შუბლზე – ნაოჭი, ყდაზე – მტკვერია...)  
და ამის ცოდნა, მიხვდები თვითონ,  
სულისშემძვრელად მშვენიერია.

## კამერული მუსიკა

### პირველი ვიოლინო

მშვენიერებას, მე ამ ქვეყნად ვალმერთებ ვინაც,  
მინდა, სანაცვლოდ საკუთარი ვუძღვნა მშვენიება,  
რომ უფსკრულები არ შეეზოს სამყაროს ბინას.  
გული იღვრება. სიმღერა ვარ. კვლავ შემღერება.

### მეორე ვიოლინო

სინათლის გარდა საკუთარი მეობაც მახლავს  
და ეს ნიჭი ვინც მიწყალობა, ისეც ცხადია:  
მიწამ დამხოძღვრა. და მისი ხმა ჩამესმის ახლაც.  
წამოდი, დაო, გაგაცილებ. იქ წყვდიადია.

### ალტი

მავალდებულებს ეს ჭაღარა, უფსკრულს გაცილოთ:  
ბავშვურად ფიქრობთ, რომ ყოველთვის დებად დარჩებით.  
თქვენი კამათი უსაგნოა და სასაცილო.  
მე კი გისმენთ და სულ განვიცდი, სულ ვიტანჯები.

### ჩელო

მზად უნდა იყო, ბედისწერის შხამი დალიო.  
ქმნულკეთილისაც და გონჯისაც ერთია ბოლო.  
მე მთელს ვერთგულებ. თქვენ კი უნდა მოინანიოთ.  
არას გასწავლით. თქვენთან ერთად ვიტირებ მხოლოდ.

## ბალას ში

ბექქონდარა, მაჩიტა და ღიღილო...  
ბექობები ყაყაჩოთი ირთვება.  
წინათგრძნობა ლამის ცხადად ვიხილო —  
და ეს გულიც გამოუცნობს **მიხვდება**.

ნავი სადღაც მალვით მიექანება  
და ოცნება მალე ზღვარსაც გადავა...  
და კკითხულობ: ცხადია თუ ზმანება?  
და კკითხულობ: ვინა ვარ და სადა ვარ?

ვხედავ: გვერდით ჩამივლიან გემები.  
ვგრძნობ, რარიგად მეჯარვიან ტალღები.  
შორს მიჰქრიან თეთრი ღრუბლის რემები.  
მეც ჩამავალ მზესთან ერთად გავლღვები.

ბექქონდარა, ღიღილო და მაჩიტა...  
ყაყაჩოებს ვჭვრეტ და კელარ ვშორდები.  
მზე ამოდის, ცა დროშებმა დაჩითა,  
ქვევით მწვანედ ლივლივებენ კორდები.

როზმარინი, ბუერა და ჭიოჭა,  
ვუყურებ და ვევედრები სამყურებს:  
დამბარუნე, ღმერთო, საიქიოდან,  
თავზე ქუდად სამშობლოს ცა დამხურე.

ეს სიმშვიდე შენი მონაბერია  
და შენამდე მართლაც არა მქონდა რა...  
ბალახებში გვირილები მღერიან,

საღბუნს მდებენ საღბი და ბექქონდარა.

ბექქონდარა, მაჩიტა და ლილილო,  
ყვაველები – სწორნი და ყელმრუდენი  
შევიძლია, ძილ-ღვიძილში იხილო...  
ელოდება ჩემს ნავს ნავსაყუდელი.

## შენთვის იცოდე...

ნურაფერს იტყვი, თუმცა შენთვის უნდა იცოდე,  
მალე მიუხვალ შენს წინაპრებს – პაპებს და მამებს.  
მალლა კაბადონს გადაფარავს წმინდა ლაჟვარდი,  
ზეციურ ქარში იქროლებენ ღრუბლები კვლავაც.

მაშ, ჩააცქერდი, როგორ ისვრის დუმილს ნაკადი,  
ყური დაუგდე სიჩუმეს წყლისას.  
და ეს მითხარი, გამომიტყდი ბოლოს და ბოლოს:  
თუ გყვარებია ამის დარად ოდესმე ვინმე?

ვინც არსად ჩქარობს, ვერ გაიგებს ჩემს ნათქვამს იგი:  
ო, ღრმა ცხოვრებავ! ო, ძვირფასო გამოთხოვებავ!  
ყვავილთა კონა ათასფერი და გვირგვინები  
სიმწარეს თესენ და წამებულ გულს გისუსტებენ.

უძვირფასესო სახებანო, ტკბილო დროებავ,  
ვინ რას გაუგებს თქვენს კაემანს, ვინ მოგიხელთებთ?  
ო, ყვავილებით, გევედრებით, ნუ დაამძიმებთ  
ამ უკანასკნელ მოგზაურობას.

ო, ყავისფერო შემოდგომავე, ბნელო და ცივო,  
მომეცი ნება, ერთხელ კიდევ გადაგეზვიო:  
თუკი ხეთაგან ჩამოცვივა მწიფე ნაყოფი,  
იქნებ მეშველოს და იოლად დაიმსხვრეს გული!

გაზაფხულია. მემძიმება ასმაგად წასვლა.  
მაგრამ რას იზამ, როცა ასე ფხიზლობენ მკვდრები.  
არ მაქვს უფლება შეყოვნების, ტურფა ყვავილო,  
მკაცრო დედაო, უკვე ღროა, აჰა, მივდივარ...

## წერილი

კეთილო ცოლო!

ნუ დაარქმევ ამ სიტყვებს ანდერძს.

ეს არის მხოლოდ ნაჩქარევი უკან მოხედვა,  
რათა სიბნელით დაჩრდილული შედეგის ხილვა  
შენ ისევ შესძლო.

კარგად იცი, რომ ამ უბადრუკ ყოფითობაში  
სხვებისგან თითქმის არც არაფრით განვსხვავდებოდი.  
თუმცა, ისიც იცი, რომ ამ ქვეყნად არ არსებობდა  
ჩემზე შმაგი და მედიდური ადამიანი,  
არად ვავდებდი სხვების აზრს და მიჰყრობდა ზიზღი,  
ტანჯვა-წამების მე მეთქმოდა ხელმწიფე მართლაც.

იმ შვიდი დღიდან, დასაბამით კვირა რომ ჰქვია,  
ორი მათგანი ეთმობოდა ღვინოს და თრობას,  
შემდეგი ორი – სირცხვილსა და სიკვდილით ძრწოლას,  
ორი – ფიქრს, ხოლო უკანასკნელი  
ღმერთს ეძღვნებოდა, რომელსაც მძაფრად შეჰყვიროდა სული  
შეშლილი.

შენ ისიც იცი, მეგობარო,  
როგორ მიყვარდი.

და ვისურვებდი, სიბნელისკენ პირს როს მივიქცევ,  
გამოვისყიდო მოთმინება, შიში, ცრემლები,  
ჩემს გამო, ალბათ, ათასგზის რომ თავს დაგტეხია.

მაგრამ უსაზღვროდ, უსამანოდ, ყველაზე მეტად  
მე ხელოვნება მიყვარდა მხოლოდ,

უფრო ნამდვილად, ვიდრე ჩემი არსებობაა.  
დღითა თუ ღამით, ყველა წუთსა და ყველა საათს,  
ცხადში, სიზმარში, ღუმლისას, ლაპარაკისას  
მე ხელოვნება მიყვარდა მხოლოდ.

ქვეყნად ყველაფერს,  
რასაც წამით შევეხებოდი,  
ფორმას აძლევდა ჩემი ხელები.  
და არ ვზოგავდი არც გულსა და არც ამ გონებას,  
რამენაირად ერთი ლექსი გამოძედალა.

დაუფიქრებლად გავწირავდი თვალსაც და ხელსაც  
ერთი სტრიქონის, ერთადერთი პწკარის გულისთვის.  
ამ თრობის გამო, რომ სწვევია ყველა შემოქმედს,  
იმად ვიქეცი, რაც მე ახლა მგონია თავი:  
დროჟამის მტერი და წყვილის ვარ მბრძანებელი.

განა ამ ვნებას შეედრება ღამის ზმანება?  
ან ანგელოზის სიანლოვე?  
ყველაზე უკეთ ის წარმოაჩენს  
გაუგონარი ანდერძის ავტორს.

შენ დადუმდები და ამაყი იქნები ისევ.  
ამის გამოა, რომ ვერ ვხედავ ტირილის მიზეზს.



## მიზანთან

უახლოვდები ბოლო მიზანს ტაატ-ტაატით  
და სასიკვდილო სარეცელი შერხევას იწყებს.  
უცებ გაბრძენებს ბოლო წუთი, ბოლო საათი,  
ჩუმი სიმშვიდე ნაბიჯ-ნაბიჯ გაახლოვდება.  
აღარ ხარ ბრიყვი, არ იძლევი სულელურ კითხვებს.  
სიცოცხლის ნაყოფს ემატება ცის ბრწყინვალება,  
გუშანით იგრძნობ კართან წყვდიადს,  
ტკბილსა და მძიმეს,  
რომელიც მაღალ კარიბჭესთან ბლანტად გროვდება.  
და შავი ნავის ნიჩბებიდან მიიპარება  
ვერცხლის წვეთები, ეთხოვები თითქოსდა იმედს.  
სიტყვებს სისავსე ეკარგებათ და ელვარება.  
ყველა საგანთან განშორების ტკივილით თვრები.  
ხედავ, ხელიდან გეცლებიან მოყვრები, მტრები,  
დაბლა იხრები სრულქმნილი და მსუბუქი ნებით.

შენ რომ წყვდიადში დაგტიროდნენ, იმ ხეებს სცდები,  
ტოტებს იშვერენ, ყოფილიყვნენ თითქოსდა ძმები,  
უკვე თვითონაც დაიღალე, ვერ ილხენ გზნებით...  
ყველა ყვავილის თუმცა ისევ ერთგული რჩები.

## ტყვის ბილიკები

უამრავი ბილიკი მისდევს ტყეს,  
დაეძებენ ერთმანეთს გულები.  
აჰ, ცივია სამყარო კვლავაც დღეს!  
კვლავ ქრის ქარი, არ ჩამდგარა სრულებით,  
სიმღერის ხმა კვლავ ისმის მინდვრიდან  
და რითმები, პირქუში ამინდის:  
რამდენია ბილიკი ირგვლივ და –  
შინ არცერთი არ მიდის?

## ფურისულა

საიდან, ტკბილო სიყრმისშვილო, უცდომელ ძალას  
გმატებს მარტის თვე, ძალას, რაც არ გქონდა აქამდე  
და ამხელ ცოდვას, რომელზედაც მიწა ღაღადებს,  
და ფორიაქით შეპყრობილ გულს დაუფრთხე ძილი?

და ვიდრე იგი კვლავ თავისთვის ცრემლს ღვრის და ტირის,  
ვინ შეგასწავლა ნაზ ქარიშხლად ქროლვა, რომელიც  
ეშვება მაღლით ვარსკვლავთაგან, ეხება ტკივილს  
და მოჰკავს ფერხულს, რომ ტრიალებს ირგვლივ ყოველი –

ვინ მოგიყვანა, ჩვენს გვერდით რომ აღმოჩნდი მყისვე  
დროულად (თითქმის ვერ გავლიეთ სიცოცხლე სრულად)  
და დედამიწას ყვავილებით მოჩითავ ისევ,  
როდესაც გული კვლავაც თრთოლვას განაგრძობს ჩუმად.

## პარღის ბუჩქი

შენ, გოგონავ, - არა, სულო  
მის სახეზე, მოფერმკრთალო;  
მზერავ, სუნთქვით გარდმოსულო,  
ვარსკვლავთ კვალო:

ხელის ხლება მოგკლავს. მაგრამ  
ვინ გაბედავს ამას შიშით?  
შენ წმინდანი არ ხარ, განა,  
მსხვერპლთა რიგში?

შენ, სათუთო,  
დასასრულო სინათლისა,  
ღიადი ხარ უსათუოდ  
“არას” თქმისას,

ღიადი ხარ გაძლებაშიც.  
ვარსკვლავები ღამის ციდან  
უსასრულო, მწყობრი მარშით  
დაგაცვივდა –

შენ კი, მჭენარი, გაძარცული  
უცდი მშველელს, ვით საპყარი,  
ბედისწერას გულისყური  
მიაპყარი,

ტყვეობაში გიწევს ყოფნა,  
თავს დამხობილ ცის ქვეშ რჩები.  
მთელი ძალით იტანჯები.  
წუთისოფლად...

## გველის სურო

შენ, სილურჯევე, სამყაროში ჩაძირულო!  
მფრთხალო ჩრდილო, ნება-ნება  
მშვიდი ქალის ბაგეთაგან გადმოსულო.

ისე ღრმაა, შორეული, წარმავალი  
სვე-ბედი და მწუნარება,  
ვით ცრემლები, საფლავეზე რომ დაღვრის თვალი...

შენ, ვარსკვლავო, კურთხეულ ხარ, დაბინდულო!  
წამწამი კვლავ ერთგულია, ისევე ყვავის  
და უყვარს და იღიმება შორეული.

## შემოდგომის სათოვლია

უსუსურო თასო,  
თვალებს მაშინ ახელ,  
წლის სილურჯეს როცა  
ცვლის წითელი სახე.  
ხვალ თუ თოვლი მოვა!  
სუნთქვავ, თრთოლვით სავსევ!

ტანჯვას, დანატოვარს,  
სიბრძნე კარგად ახსოვს,  
ბოლო სხივიც იცის,  
გასაჭირით ცხოვრობს.  
აღარ უნდა ფიცი:  
სიკვდილს აქებს მხოლოდ!

სილამაზეს თავის  
უცხო ძალას აძლევს,  
შემოდგომის ვარსკვლავი  
ვიდრე წარიტაცებს.

## მარიტა

ჩუმაღ წკრიაღებ, ვით ღამეში წკრიაღებს სტვირი.  
წმინდაა ჩუმი გულისცემით დაღლილი გრდემლი.  
ხელისგულს მივსებ, შენ სინაზით გეცსება პირი;  
უკანასკნელი გსურს აპკურო ამ თვაღებს ცრემლი,  
მარად მზადმყოფი საქვეთინოდ, ბოლოჯერ სტირი.

ო, ვიწრო სივრცე, გულს ეტმასნვი ყოველ ცისმარე,  
მუხღს მოგიყრი და აღგივღინო ლოცვები ღამის.  
ო, ღმერთო ჩემო, ყვეღაფერი აქაა თითქმის:  
ტკბიღი ოცნება, ტკბიღი სევედა, ტკბიღი სიზმარი  
და სიყვარული – უტკბიღესი მხღებელი ღამის.

აკვნესებ ღუმიღს, ვით ღამეში იყურებს სტვირი,  
შენ რომ ზეიღობ, ეს მღუმარე წელიწადია:  
სად გაქრა ის დრო, მითხარ, საით იბრუნა პირი,  
შენი რომ იყო, მისი ხიღვა სულ რომ გწადია,  
რომელიც ახღა აქ გუგუნებს, აქ ქუხს და ყვირის.  
აქ არის ახღა მისი ბოღო ნავსაყუღელი.

სამყაროს მიღმა მორიაღე ჩუმი წკრიაღო,  
ტკბიღო სინაზე, ტკბიღო სიღრმე, სიღურჯე მუქო,  
ციცქნა სიწმინღე, სიხარუღო ცისფერთვაღება,კ  
ო, სრულყოფიღო მღუმარებაკ და ბრწყინვაღებაკ!  
აჰა, მიიღე – შენი დაა ეს გული თითქოს –  
შორეულ აწმყოს გამომსხღტარო ეღვარე შუქო!

## ახალგაზრდა გარდაცვლილ ქალს

როგორც ჩვენ ყველამ, ეს ცხოვრება  
შენც განვლე ისე.  
ახლა კი ხედავს შენი შუბლი  
მომავლის სიზმრებს.  
ვარდის ბუჩქნარში დადიოდი  
ჯერ კიდევ გუშინ.  
ახლა უმწეო ჩვენს სიყვარულს  
არ უშვებ გულში.  
შენ წითელ ნაყოფს კრეფდი, მაგრამ  
ახლა სრულიად  
სხვები არიან, მოსავალი  
აღებულია.  
ჭრელი ფრინველი, შენ რომ გუშინ  
უხმობდი, ახლა  
გაფრინდა, რაც შენ მიიძინე  
და ველარ გნანა.  
ეს ბალი და ეს ზეციური  
მკრთალი ნათება,  
დარდით დაღარულ ჩვენს სახეზე  
ოდნავ გაკრთება.  
შენ კი ფარფატებ მკრთალ ვარსკვლავად,  
ციმციმებ ასე,  
დაუსაბამო მშვენებაში,  
ცის მაღალ თაღზე.



## მზაპრის სიმღერა

ჭის თავზე გადახრილი  
ჩავცქერი სიღრმეს,  
მაგ ბაგემ, შეძახილით  
იქნება მიხმოს!

რომ დედა შემოვიდეს  
შენს ნაკეთთა კვალად,  
და უწინდებურად  
მარწიოს წყნარად.

ის უკვე აღესრულა,  
ყვაელიც ჭკნება.  
ჩრდილები უსასრულოდ  
მიდიან წყებად.

## სურათი, დასატული უზენაესის მიერ

ჩემი სახეა. განისვენებს ხორცი ტანჯული.  
ბევრი სიცოცხლე სიკვდილისკენ უკვე დაქანდა.  
გამოასწორე, ო, მამაო, იყავ მსაჯული!  
არ შეგიძლია? ამის შიში მქონდა აქამდეც!

შენ ხარ მხატვარი, რომლის მსგავსიც მე არ მინახავს,  
მიხატავ მკლავებს, მხრებიდან რომ მძლავრად ეშვება.  
როდესაც ჩივილს შემოგბედავ, ქვა ხარ, რკინა ხარ  
და შენს ზურგს უკან ემმაკები დათარეშობენ.

“მე შენ დაგხატე, სამუდამოდ რომ იარსებო.”  
რა ნათქვამია – რა ლაჩრული, მხდალი და მცირე!  
გადაიხადა თავის ვალი გლახამ ასევე,  
“მარადიული” ყოფისათვის რაღად გაწირე.

ბავშვური სახე დამიხატე და იქვე ბალიც,  
და შეგნით – სახლი, სახლის ირგვლივ – მწვანე მიდამო,  
ხოლო იმ სახლში – სათნო ქალი... შენ ეს არ ძალგიძს?  
ამას ვმიშობდი რა ხანია: სულ თავიდანვე...

## ბნელი გამღვიძებელი

გამღვიძებელი, დასტაქარო, ცად ამყვანელო,  
ო, ანგელოზო, დამამშვიდე, წამგვარე გმინვა,  
შემაგრძნობინე მაგ მეწამულ ღაწვების ბზინვა,  
ო საყვარელო!

შენ დამიაძე მოლოდინი, სულწარმწყმედელი,  
შენს წმინდა კეფას გაანათებს მწუხრის ნათელი.  
იხსენ ეს შუბლი, ტკივილებით გადანათელი,  
მომეც ედემი!

შემაძლებინე ღუმილისთვის კარის გაღება,  
ელჭეჟის ბჭეთა, გთხოვ, გამხადო კვლავაც მხილველი;  
ო, რა ტკბილია, სრულყოფილი და საშინელი  
შენი სახება.

## ადრეული გაზაფხული შონბრუნში

მცურავი შუქი განთიადის. ჩეროში – თრთვილი.  
იღვა ზაფხული – დღეს იმ დღეთა გამქრალა კვალი.  
ყვავილთა კვლები, ჩუქურთმებით შემკული მტილი,  
მიწის პარკეტი მწვანე მოლზე, მოლივით რბილი,  
ყვავილსნატრული ბილიკების გართხმული რკალი.

ბნელითმოსილი ხეივნების სასტიკი ჭრილი.  
ხე, შებოჭილი დაკრუნჩხული ტოტების ღვედით.  
მარადი თხოვნა, სიჩუმეში ბავშვის ხმა წვრილი:  
“დედა, ჟირაფის ნახვა მინდა, ადრეა ძილი!”  
აჰა, კიდევაც ჩაუქროლა პეპელამ გვერდით.

ჩანს მარმარილოს სირინოზი. ჩანს ტბორი, ბაღი,  
იმავე ტბორში – ნარინჯისფერ თევზთა კრებული,  
თავდავიწყებით მორიალე, სულსწრაფი, ლალი...  
ქალთევზას მკლავებს შეეხლება ქვის მზერის დაღი...  
და დგას ამ ჟესტით სამუდამოდ დატყვევებული.

ზღვის ღმერთის მღვიმე. წმინდა სისხლის შმაგი რაშები,  
მქროლავ ტალღაზე ქვავდებიან რომლებიც წყვილად.  
სამკაპი, ტივი, ნიჟარებთან ნათამაშები.  
სასახლეს ჰხურავს ცის რიდენი და მარმაშები,  
ვით – უხსოვარ დროს, ვით – ოდესღაც, დიდი ხნის წინათ.

ყავისფერ ფონზე პილასტრები მიხატულია.  
კეთილშობილად დახვეულა მაღალი კიბე.  
ჩანან ჭლარა ბატონები, გარს რომ უვლიან.  
კუთავს საათი. მზე დასუსტდა, დაცხრა სრულიად,

როგორც – ნამდვილი ფილიგრანი, ნაზი და მყიფე.

ტურფა ფარდულო, ბაირაღად გამოკიდულო,  
რომელიც ახლაც გვესალმები შორეულ ციდან,  
სეფე სიზმარო, თავადურო, ზეაზიდულო,  
მომეცი ნება, კვლავ იმ ბიჭის გულში გიგულო,  
ჯერაც უხილველ სასწაულად რომელიც გთვლიდა.

ბალის წიაღი უქცევიათ მუშაკებს ბინად –  
ხერხს უსვამენ და ტოტებს სხლავენ მებაღეები.  
რას გალობ, შაშვო? ყვავილებო, რარიგად ბრწყინავთ!  
იმპერატორი სეირნობდა ამ ბაღში წინათ,  
რომელსაც ახლა იხსენებენ მხოლოდ ხეები.

ბურთს თამაშობენ შესეული მწვანეს ბაღლები.  
თვალს ადევნებენ შეყუჟული ჩრდილში დედები.  
გაზაფხულისთვის ვარ ამ სულის მსხვერპლად გამღები,  
დგანან ღმერთები, ტუნიკების თრთიან ტალღები,  
მარადისობას ქადაგებენ თავგამეტებით.

ყრმობის სამოთხეს კვლავ ირეკლავს ზეცა კრიალა.  
რა შორსაა და რა ახლოა გრძნეული ჟამი.  
უცებ ზარის ხმამ დათქმულ დროზე დაიწკრიალა  
და მეზღვაურის ლურჯ საყელოს, როგორც ტიარას  
ამოებურცა ბავშვის ნატვრა: ვარსკვლავი სამი.

## სონეტები I - XV

### I

ვჭვრეტო, ქალბატონო, ტანჯვა წლებად რომ გვენახება,  
მიძიეა შენი მსახურება კალმით თუ ფურცლით.  
შენ იპყრობ გულებს და გულდაგულ ფორმასაც უცვლი,  
დიდი ტკივილი რომ გარდაქმნა დიად სახებად.

ხელოვანი ხარ? მაშ, იცხოვრე სწორედაც ასე:  
უცხო შორეთში გამოზარდე აწმყოს სული და  
თანაც იცოდე, ყოველგვარი სასწაულიდან  
ეს დაგებდა: ხეტიალი ხიფათით სავსე.

ო, დიდებულო! არ მსურს ცრემლი, წყალობის მფენი.  
თავისუფლება გისოსებშიც თავის ფლობაა,  
როს გული არის ერთადერთი სამკვიდრო შენი,

სად სუსტნი დგანან, ძლიერთათვის უფსკრულს ყოფაა,  
მხოლოდ ტახტიდან ჩამოგდების გვერგება ძღვენი  
და რასაც ვიძკით, განგრძობილი არსებობაა.

### II

და რასაც ვიძკით, განგრძობილი არსებობაა,  
სისხლით ნაზღვევი. დამარცხების მრუხე წყვილიდით  
და გამარჯვებით, უფერულით და იშვიათით,  
კვლავ რომ აღგვადგენს, მომცელავი **შიშის** გრძნობაა.

ღამე დასცინის დღეს უთვალავ კითხვის დაღერით:  
“რა გადარჩება?” ან “უკვდავი ქვეყნად ვინ არი?”

ბრიყვი თუ იტყვის: ყველა ჩემი ნაცოდვილარი მარადიაო, რადგან ჰქვია ჩემი სახელი.

რაა სახელი? გასაქრობად ნაშობი ბგერა.  
განა საქმეებს სახელებზე უკვდავად არ თვლი?!  
ჩვენი ხმელეთი მათ ზეცამდე ვერ აღწევს, ვერა.

უფალმა ჩვენით ამოიციო კრისტალის ყადრი.  
ნამყოს, მყოობადს მარტოოდენ შესაქმის სჯერა,  
შემქმნელზე ადრე მიეგება ქმნილებას მადლი.

### III

შემქმნელზე **ადრე** მიეგება ქმნილებას მადლი,  
სხვა სამყაროდან შეიმკობა უცხო ღირსებით,  
ხოლო ხელოვანს წარმავლობის დასცემს ისრები  
და უდღეური წუთისოფლის დაფარავს ჭვარტლი.

როს ბრტყელ სფეროებს დაიურვებს, გააბითურებს,  
თავხედი სწრაფვით შეეცდება არარაობა  
დმერთს გაუტოლდეს. თუმც, თავს იჩენს მყისვე სხვაობა –  
მისი კარავი რას გაუძლებს გრძნეულ კიდურებს!

ის დარჩენია, კვლავ ირწმუნოს ღამის მხლებლისა,  
ქვევით დაეშვას და ამაყად თავი დახაროს,  
დემონთ დაუსხლტეს, დატკბეს ჟღერით თავის ებნისა,

ეულად მყოფმა გულს ბრალდება არ გააკაროს  
დაშნიან კაცის და გულგრილი მაყურებლისა,  
თმაშევერცხლილი განერიდოს უნდა სამყაროს.

## IV

თმაშევერცხლილი განერიდოს უნდა სამყაროს.  
ეს, მბრძანებელი ქალბატონო, შენი ბრალთაა.  
ხედავს, ბრძოლებით მისი გული დაუძვინკარა,  
უჯობს, სიუხვის მეუფება კვლავ დაამყაროს.

ბედნიერება, უბედობა არ დაელია –  
ანგელოზთა და ეშმათ შორის გამომწვევადელი  
ხედავს, კომმარებს გაუმართავთ როკვა წყვეული  
მისივე მკერდზე, რაც ნამდვილი ბრძოლის ველია.

უკანასკნელად ყვირილისთვის გაიწირება,  
დამუნჯებულმა, თუმცა ვერ შეძლო ღმერთთან მიღწევა,  
შეაკოწიწა საკუთარი თავი წყვილებად.

გაორებული მისი გული ტივად ირწევა,  
რადგან ტრიუმფი ბედისწერამ ასე იწება.  
მქმნელი მოკვდება. ქმნილება კი წლებად იქცევა.

## V

მქმნელი მოკვდება. ქმნილება კი წლებად იქცევა,  
თავისუფალი იმ დღეთაგან, შეიქმნა ოდეს.  
რა საჭიროა, ფანფარებით მიდამო ძრწოდეს –  
**ის** სიმბოლოა და ტალღისებრ არ მიიქცევა.

პინდარეს ჟამი, დანტეს სხივი მაღლად გვრგებია,  
პლატონის სიღრმე ნუთუ მთლად არ ანაზღაურებს  
იმ დროთა ქაოსს, ჭკვიანსაც რომ თავგზას აურევს?  
მაშინაც უბნობს, როს ქვებიც კი დადუმდებიან!



გუშინდელთ მსგავსად საკუთხეველის არ მსურს გამოთლა:  
მიქელანჯელოს ტკივილივით ის მარადდება,  
რაც თავის მწკლარტე ბაგეებით ბრძენმა ამოთქვა.

ხოლო როდესაც შეერწყება მას შენი ვნება,  
წარმოიქმნება როცა ტანჯვით ყველა ამო თქმა,  
შემოქმედება იმარჯვებს და სიცოცხლე კვდება.

## VI

შემოქმედება იმარჯვებს და სიცოცხლე კვდება  
და ძრწოლას, ერთხელ ეს სხეულიც გაქრება როცა,  
აღდგომის რწმენით უმკლავდება მხოლოდღა ლოცვა.  
და მაინც: ელტვის ვინც მიწიერს, მიწავე ხდება.

იმის ნიშნად კი, რომ უფალი არ დაიფლება,  
ხორციელ ღმერთის ყველგან ვხვდებით ღვთიურ ნაკვალევს.  
ამის შემხედავს სულს ციება ააკანკალებს  
და გწამს იმ წუთის, როს სიზმარიც ცხადად ითვლება.

თვით ხელოვნება სხეულს უძღვნის მხოლოდ წამებას:  
მას ტანჯვის ნიშნად იდუმალი ცეცხლი ედება,  
რათა მოკვდავმა მიაღწიოს გაუკვდავებას.

ფასდაკარგული აქ მგონია ყველა ქმედება,  
სადაურიც ვარ, მსურს, იქ ვკიდო თვალი ხარებას,  
მთელი არსებით შევიმეცნო შემოქმედება.

## VII

მთელი არსებით შევიმეცნო შემოქმედება.

ვერ მომიხვლეთოს ღამის ფანდმა, შემთხვევის მახემ,  
შენ, მკაცრო გეზო, მარადიულ საგანთა სახევე,  
მითხარ და ყოფა განიმქრევა წვიმის წვეთებად.

შენ, შუბლო, ღმერთთა დასადარო, ჰკაფე საწუთრო,  
მუშა ხელებო, დამაშვრალნო წვასა და ღვწაში,  
იმას გარდაქმნით, რასაც ფორმა ეძლევა ცაში,  
კვლავ მიერთგულეთ, რომ სამყარო დავისაკუთრო!

მადლს გწირავთ, ჩემო იარაღნო, მხნე და ლალი ვარ,  
ქმნადობით ურწყულთ რადგან დაღლა არ დაგტყობიათ.  
უფლის ხელში ხომ მეც მორჩილი იარაღი ვარ.

კითხვა: “ვინა ვარ?” დავიწყებას გადადნობია.  
გამომადვიძეთ, მარქვით: “თვლელმა შენ არ გაგვივა,  
დრო და სიკვდილი, იგრძენ, როგორ მოგეპყრობიან!”

## VIII

დრო და სიკვდილი, იგრძენ, როგორ მოგეპყრობიან!  
არც ვინმე გიცნობს. არც დარეკენ შენთვის ზარები.  
ყურს აკრთობს კოჭლი და გულგრილი კომენტარები,  
ხანძარი მქროლავ ქარიშხლების ფესვს დამყნობია.

ზოგიერთს უკვე დაუამდა ძველი იარა,  
ვინც ბედისწერას შეურჩია სიტყვები ბოლო:  
ჩემს ქვეყანაში მსურდა ენა დამეცვა მხოლოდ,  
მაგრამ ქვეყანამ არ შემიცნო, არ მაღიარა.

არ გავექცეულვარ. ჩემი დევნა სხვამ თუ ინება.  
ამ მარტობას ცრემლად დასდის **გლოვის** ნათება.

დამნაშავე ვარ – რად დავიდგი ტანჯვა ზვინებად?!  
კვლები. ნუგეშად დამრჩენია ბინდის მატება.  
დრო განმგძირავს და თან დრო ჩემით გაიწირება.  
ნეტავ, შემეძლოს მე **ორივეს გამარადება**.

## IX

ნეტავ, შემეძლოს მე ორივეს გამარადება –  
ჩემივე თავის, ხალხის, ვინაც შვილად დამსახა,  
ვისა აქვს ნება, ხეს შეაჭრას ყლორტი ცახცახა  
ან მოისურვოს სნეულ პწკალზე ცულის დადება?

ო, არა, დედის ამოსუნთქვით მითბება მხარი,  
თუნდ იორჭოფოს. მისი ცრემლი უფლის თრთვილია.  
და სიზმრის მსგავსად მსჯავრისდებაც რა ადვილია,  
რადგან ჩემსა და დედას შორის წაშლილა ზღვარი.

მე, ხელოვანი, თქვენითა ვარ ცოცხლად შთენილი  
და ყოველივე, რაც მრგებია: წყალობა, ტაში,  
წინასწარ იყო განსაზღვრული და დადგენილი.

**ჩემს** სახეს, ხალხო, ვით საკუთარს, ვერასდროს წაშლი,  
**შენს** ძაღლონედ და ვნებადაა წარმოდგენილი,  
შენ მანიშნე და მიმოვფანტე ფერსა და ქვაში.

## X

შენ მანიშნე და მიმოვფანტე ფერსა და ქვაში  
წმინდა ნიშნებად, ამოოხვრად, სიტყვად, ბგერებად...  
თრობა შეიქნა ჩემს წყალობად და მოფერებად,  
ოღენ დუმილის გასამრჯელო მივიღე მაშინ.

რა იქნებოდა ჩემი გარჯა, აბა, სხვაგვარად?  
ლამე, შორეთი, ამქვეყნიურს რაიც არ ჰკავდა,  
უკანასკნელი სიყვარულიც ფასს დაკარგავდა,  
მომსრავდა მტერი თვით ყველაზე მჭლე და პატარა...

**იქ** უგრძნეულეს პროფილთაგან მე ვიმზირები,  
ათასჯერ ასი ვხდები ასლი ადამის ხატის,  
იქ ჩემში ხარობს ხორბლისა და ღვარძლის ძირები,

ერთურთის გვერდით გამოვსახავ სატროფოს და რაყიფს,  
იქ **გადიდება** ლამე, ბინდით ანატირები,  
იქ ერთად შევქმნით ჩვენს სახებას, ზუსტსა და ნატიფს.

## XI

იქ ერთად შევქმნით ჩვენს სახებას, ზუსტსა და ნატიფს  
სარკეზე დიადს, სად საკუთარ თავსვე ვხედავდით,  
**სიტყვას**, რომლისაც გვეშინოდა, თქმას ვერ ვხედავდით,  
წრეში დავრბოდით, ვერ ვწვდებოდით არსს, რთულს და მარტივს.

ქვა! უძრავი ქვა! ვერა ძალა. ვერა ხუნდები  
მას ძვრას ვერ უზამს. არც ჟამთა ცვლის არ სწამს სრულიად.  
და ეს საგანი მახვილივით ორლესულია:  
განიკურნები მისით ანდა დასნეულდები.

თვითკმარი, ლაღი, დღენიადაგ ღხენით გართული,  
თვით დაუცინველს ძალუმს, ცოდვას რიდე ახადოს.  
ამგვარად დგას და, ღე, კვლავ დარჩეს ზეაღმართული.

მას ძალუმს აზრი **ერთი** აზრის მეტრფე გახადოს,  
ყველა ქმედება ღვთის ძალით რომ იყოს მართული,  
ჩვენი სიკვდილის შემდეგაც კი რომ ილაღადოს!

## XII

ჩვენი სიკვდილის შემდეგაც კი რომ ილაღადოს,  
დამფრთხალ ლექსს მიეც კვლავ სიმყარე, ო, ქალბატონო,  
დამშვიდდი, სივრცევე, ჟამო, მასზე არ იბატონო,  
ნუ შეშურდებით ჩემი დაუნის... მაგრამ რაღა დროს!

დიდების ტკბილ კვამლს არასოდეს მოვიპარავდი,  
ჩემი საუნჯის ვიყო მონა, ხოლო შენ – **მცველი**,  
თუ თვალთ დამაკლდა, მომივლინე ჩემი შემცვლელი,  
რომ ღირსეულად დაასრულოს საქმე მარადი.

ვინ არის ის, ვინც დიდებაზე მოუბარია,  
სუსტს რომ აღმერთებს და ცეცხლივით აფრთხობს ძლიერი,  
ღვთის დამამხობელს შლეგის ღხენა რომ უხარია.  
მომეც ხელოვანს **თავმდაბლობა** კვლავ შენმიერი,  
რომ იგრძნოს სულმა, ამ ნაკეთებში რა ავდარია,  
შენი სახე კი რა სათნოა, რა მშვენიერი!

## XIII

შენი სახე კი რა სათნოა, რა მშვენიერი!  
ბნელი მიწა ვარ, შენ კი – ალი ატაცებული,  
ცრემლი ვარ, ჩემით იფარება საფლავთ კრებული,  
სილაღით თრობას მიმოაფენს შენი იერი.

მე ცოდვას ვთესდი, შენით მადლი თუ ითრთვილება,  
სირცხვილად ვჩანდი, შენ დიდებად მიმოდიოდი,  
მე კი არ ვენთე, მინავლული შუქით ვღვიოდი,  
შენით ცეცხლივით ბრიალებდა სრულყოფილება.

სიყვარულია ერთადერთი, რომლითაც გგავარ,  
შენსავით მწველი, ამ მიწიერ ღამეს რომ ერთვის,  
მას ხელოვნებით განგკურნავ და მიხვდები, რა ვარ.

ეს სიყვარული, ტანჯვის ბურუსს რომელიც ელტვის,  
მეტყვის, რომ შენთან მორკინალი მღელვარე ზღვა ვარ  
და შენი ტრფობა როგორ იქცა კანონად ჩემთვის.

## XIV

და შენი ტრფობა ისე იქცა კანონად ჩემთვის,  
თვითონ მგონიხარ შენ კანონი, ხელშეუხები.  
მიტომ გმორჩილებ. მოვსპე ბედის ის მარწუხები,  
აქ რომ მბაბდა და შენზე ფიქრს უსვამდა წერტილს.

თავისუფლება შიგნითაა, სულია თავად.  
ყველაზე ახლოს ღვთის არსთან კი სწორედ ის არის,  
ვინც შეიბოჭა. ვერას აკლებს ცოდვის ისარი,  
იღუმალ ზღვაში იტივტივებს ჯადოსნურ ნავად.

**იქ** მისთვის დიდი სამშობლოა. და, თუმცა, უმძიმს,  
მოწყდება მიწას, რომ რჩებოდა მისკენ თვალები,  
სახლსა და კერას, ზურგს შეაქცევს ანგელოზს ფუძის.

მომსრველ სიკვდილსაც იურვებენ მწველი წამები,  
მასაც პირისპირ ყოვლისშემძლე კანონი უზის –  
ვჭვრეტ, ქალბატონო, ჟამნაცადი და ნაწამები.

## XV

*მიქელანჯელო ვიტორია კოლონას მიმართ*

ვჭვრეტ, ქალბატონო, ჟამნაცადი და ნაწამები:  
ხანგრძლივი ყოფნა – ის სიმაღლე, ის თალი, ის ცა  
ზეშემოქმედმა ხელოვნების ქმნილებას მისცა,  
წუთისოფელი რომ დაეთმო დანაღამები.

შემქმნელი კვდება. ქმნილება კი დროს გაჰქცევია.  
ბერს ხელოვნება, ცხოვრება კი მუდამ მარცხდება;  
სულით ვეკუთვნი ყოველივეს, ჩემს თავს რაც ხდება,  
დრო და სიკვდილი, ვიცი, როგორ მომექცევიან.

ვაგლახ, ძალმიძდეს შენი, ჩემი გამარადება –  
ყმად ვიქცეოდი ქვათა სულის, ფერების ღმერთის,  
და ამ ხელებით იშვებოდა ჩვენი ხატება

იმის ნიშნად, რომ ეს სხეული მიწის მტკვერს ერთვის,  
შენს სიტურფეს კი ვერ შებღალავს წლების მატება,  
კანონი იყო შენი ტრფობა რადგანაც ჩემთვის.

# ԶՆՆԱԿՏԻ I



## იოზეფ ვაინჰაიმი

### სიტყვა, მარად განმეორებული

მისანდობელ სიტყუავ, რომელ პირველითგან იყავ შენ,  
კიდევ ლუთისა თანა იყავ შენ, ღმრთეებრივცა ნაკვებ,  
ღმერთი იყავ, ხორციც ღმრთულებრ ჰ-შევ,  
გიცხოვრია კაცებრივსა წელიწადსცა მ-ჰ-შთევ,  
სულო მისანდლო, შორისცა ჩუენთა გიცხოვრია აქვე –

მარად შემოქცევისაცა სულო მისანდლო,  
ბგერას-გარდმომავალ ვინაც შესაქმესა თუისით მიედუნოდეს,  
მუდამ ისევ ისე ხმელეთისცა, ზღუისა შემქმნელ ანუ  
შობის დროებასა მასა გარდმომტანებ ესოდენცა  
შემომქცეველ შენამც მარადისის სიწყნარისა შინა –

შემოქცეულ ასრე, ხელთებულცა ასრე ჩქამისაცა წიაღ, სიმღერისცა  
წიაღ  
შენთა რჩეულთაგან მუდამ ისევ ისე მოხელთებულ-ნალოლიავები,  
საცა ბინდიანი, როსმე იწრონიცა, დღეის დიაღაცა  
უფრო შეიწროებული ველ-მიინდორნი ისახვიან  
ღმრთისცა მორჩილ გულთა-მიერ განხუნილ-განიოლებული–

თაურ-საწყისსა მას, საცა მარად ისევ ისე იყავ შენ,  
კიდევ ლუთისა თანა იყავ შენ, ღმრთეებრივცა იყავ ნაკვებ  
ღმერთი იყავ, ხორციც ღმრთულებრ ჰ-შევ,  
კიდევ გიცხოვრია კაცებრივსა წელიწადსცა მ-ჰ-შთევ,  
სულო მისანდლო, შორისცა ჩუენთა გიცხოვრია აქვე.

## მოყვითა მიმართ

ყუაილ-გუირგუინთ-თავ-დადგინებულნო თქუენამც,  
ალუწერელ-უებროცა შუბლნო თქუენამც!  
ასრე მამაცურად, ასრე ცნაურებულადცა მზირველ თუაღნო!  
ბაგე-ოცნვილ-ფრფინვიღნოცა თქუენამც.

თქუენამც ფერჳნო მბძანებლურნო,  
ძრწოლა-დამწვენელად-მშოლტაენოცა მიწის,  
აწურვილო თეძოებო, დედრუღისცა  
ნავღლის ამის აღმკინძველო.

ღამე-ზვავრიელად-მოვსილ სავაღნოცა თქუენამც,  
გზათ-გასაყარნოცა ღროთა მათთა შორის!  
ყოღლის უუშორეს დასახულო  
ყოღორტო, იმედნეულეზაკაო ხაღნთა!

თქუენამც ღმერთთა საესავნო, კუაღად  
ნეტარნოცა ღარად ღმერთთა მათთა, ღმერთთა,  
რომელნიცა სიკუდილ-გარემოსა მასა ოღენ სიტყუას,  
შიშნეულეზას კი მაინც არა ჰ-ს-ცნვენ:

ნამეტნავად ძლიერ ნუცა შეიტრფობღეთ ხორცთა თქუენთა!  
არცაღ ნაზებრივის არცაღ კიღევ  
მძღავრობისად მიღრკომისცა წიაღ.  
ხიბღსა თქვენსა, ღონესაცა თქუენსა გან-ჰ-ს-წაფვიღეთ  
– რაზომც თამაშიღან იქმნებოღეს მამრი –  
მაინც არაოღეს დაგვიწყნოღეთ: სხეულ  
სააქაოღ ჰგვიბღს, თქუენ კი მიწის ზეღან  
გამარჯვეზას ჰ-სურვიელეზბღეთცა.

იყავნ მტკიცენიცა თუისცა მიმართ,

თქუენის ღონის ელვარისცა წიად,  
სქესოვნების ქარიშხლისცა წიად უბიწონი.  
ორნი საგანნიცა ტროფობად თუ გახელეა გივით:  
ორნივე ეჩინებოდიცა თქუენდა.  
ხოლო სუნთქუა იგი, ღირსებაცა იგი  
ერთს საგნადა გიჩნდეთ!

შიგან ამის მამაცურად რათა მყოფობდეცა  
ეგ სულაც არ მოასწავებს ძრწოლა-დამწევნელი  
იყო თავისა თუ  
სამყაროს მიმართ:  
მხცოვნის წინარეცა კვლავინდებურ  
წამოღგომა მუდამ გვალდებოდეთ,  
**იქა** დიდკაცთა წინაშე,  
**აქა** წინაშეცა თეთროანის თმისა,  
რაც გექმნებოდინ მოწმედ, განმალვიძებელცა –, განმაფროთხილებელცა  
ზახილადა ამ ტანჯვის, რომელიცა **ადამის ძეს** ფორმად-ჰ-მოსავს.  
ერთურთს  
ეპაექრებოდეთ, ერკინებოდეთცა!  
გარნა პატივ-ჰ-ს-დებდეთ სიბრძნეს, მღუმრიადცა რად ჰ-ყოფდეთ.

თავის მიმართ ოდენ მზვაობარცა იყავნ!  
ოდენ ძუნწი იყავნ თავის მიმართ!  
მინც უცხო მხარეს თავის ამარ, მიტოვებულ ასრე შთენილთ  
მშობლიურის მიწისაცა გოჯის წილად, მოყმეთა თუ ყრმათა წილად,  
საჯალაფოს ჭერისაცა წილად,  
ღელა-ბატონისა თქუენის წილად ცრემლთა წურვა მოგენებებოდეთ.

მგოსანიცა ამზომ გადიდებდეთ რისთუის?  
სხეულნიცა თქუენნი  
ლექსის სრულიადობადა:  
სიმღერისა დარად თანაზომილ ასრე, ასრე განწესებულადცა, ასრე  
სატურფალცა ჰგიან,

დარად საგალობლისაცა, რომელს ენის ურღუევენელმა, აიმ  
წმიდადწმიდა ბმულობამან სხეულებრიობა მიუბოძა.

ვითარ იგი მარადმყოფი, ჰკიებს შუენიერი სახებად თქუენი,  
ღმრთისაცა მსგავსი. მაინც დასაწყისადალა ჰ-ყოფდეთ,  
გარეგანლა ასრე ოქროცურვილ ვითარ ღმერთნი.

მეხოტბეცა თქუენი

როდი შევიძახებთ: და-ჰ-ვალდებოდეთო თავადობას!

სწორედაცა მაღლი გახლავს, **თანა-ჰ-გძეუდეს** იგი. თქუენ კი  
ჰაზრად ესლა გქონებოდეთ, **ვეტრფოდეთო** მასცა!

ნუცა აირქმეუდეთ საგანთ, შიშველ ვგრედ: ცხოვრებისეულცა განიცადეთ  
ზენარ-ალპყრობილი საგანნიცა!

მიწას ვითარმედცა ეტრფით: შორეთს-განწოდილის ბარობაზე მასვე  
შეიტრფობდეთ!

რადამც ერთობლივად ჰკიებთ: განგეაზრებინოთ სიდიადე იგი!

როსცა მარტოეულ ჰ-ყოფდეთ: იყავნ სიღრმისადცა მინდობილი!

ველურადა ჰკიებს სისხლი თქუენი, ღამისადცა

მალიადვე შეუღლებულ, ეგრეც თრობისადა.

ღიადი არს ღამე. ბეღითივი არის: ვინცა ღამეს დაეთრიენოს,

სიკუდილ მასცა **ჰ-ს-ძეუდეს**. მორკინალსა მაინც

ხსნისა საღმობიერსაცა საიდუმლოს ღამე წარუთქუამდეს.

ღამესაცა ვაჟიშვილად თრობა ერგებოდეს. ვაჟისადცა არა

ილოცვიდეთ!

ღმრთეებრივი მო-ჰ-სდგამს ვაჟსცა. გარნა **აეგ**

ღმერთი საზარელი არის.

მამრის (გამოსაცდელიცა) შავი

ქუაა სწორედ, თვალშიდ ჩა-ჰ-ხედავდე

ამაობასა, სიკუდილს **ჰ-ს-ცნევდე**, **სიცოცხლედცა**

და-ჰ-შთებოდე.

აეგ გხსომებოდეთ, ოდეს გზნება

დაუძლეველისა სისხლის ვარსკულავეთ მიმართ  
ზენარ აღიტაცებდესა თავსცა თქუენსა.

აეგ გხსომებოდეთ, ოდეს სიტყუა  
ფეროვანცა ასრე, ასრე ძალუმადცა განგელუაროთ,  
სათქუენოდცა ღიადობას,  
ხალხისადცა ღიადობას თქუენგნით რად შეულოცვიდეთცა.  
მაინც უწუდომლადა  
უჩნდეს გუირგუინ  
ჯერეც წინამსწრებელ ხელთა თქუენთა!

სრულ-ახალი სამყოფლოდ თქუენამც იქმნებოდეთ,  
ღელამიწის ზედან ადამიანისად შექმნილ, იმიერცა  
კიდევ ციხე-კოშკი ზენარ ღმერთთა განმადიდებელი,  
თუ არა და ნარშავისებრ ანუ ნავისებრ ასრე ფუჭად ყოფილ  
რაზომ თქუენცა მოგკითხოდეთ, თავისა თუ  
ბაზრისა თუ დროებისა, დიდების თუ ზრზენა-ხმაურისა,  
ანდა:  
შორეთისა მისა წმიდისაცა შეტრფობად ანდა.

ყუაილ-გუირგუინთ-თავ-დადგინებულნო თქუენამც,  
აღუწერელ-უებროცა შუბლნო თქუენამც,  
ასრე მამაცურად, ასრე ცნაურებულადცა მზირველ თუალნო,  
ბაგე-ოცნვილ-ფრფინვილნოცა თქუენამც!

თქუენამც ფერკნო მბრძანებლურნო,  
ძრწოლა-დამწვეველად-მშოლტავნოცა მიწის,  
აწურვილო თეძობო, ღედრულისცა  
ნავლლის ამის აღმკინძველო;

ღამე-ხვავრიელად-მოვსილ სავალნოცა თქუენამც,  
გზათ-გასაყარნოცა დროთა მათთა შორის,  
ყოულის უუშორეს დასახულო

ყლორტო, იმედნეულეზაცაო ხალხთა;

თქუნამც ღმერთთა საესავნო, კუალად  
ნეტარნოცა დარად ღმერთთა მათთა, ღმერთთა,  
რომელნიცა სიკუდილ-გარემოსა მასა ოდენ სიტყუას,  
შიშნეულოაბას კი არა ჰ-ს-ცნევენ.

## ჭაბუკმბს

თქვენ, ყვავილწნულის გვირვინებით მოსილნო თავნო,  
თქვენ, შუბლნო სიტყვითაღუწერნო, ზეაპყრობილნო,  
თქვენ, თვალნო მზერაუშიშარნო, მრავლის მცოდნენო  
და თქვენ, ბაგენო, მორკალულნო ოცნების ღარით.

და თქვენაც, ფეხნო, მბრძანებელნო,  
უმოწყალოდ რომ ამათრახებთ დედამიწის ზურგს.

და თეძოებო, ვიწროებო,  
რომელთაც, აგერ, აგვიდებიათ  
ქალთა დიდი სადარდებელი.

თქვენ, ბილიკებო, უმრუმესი ღამით სავსენო,  
გზაგასაყარნო დროთა შორის,  
უშორესისთვის გამიზნულნო –  
ჩანასახნო და იმედნო ხალხის!

უყვარხართ ღმერთებს  
და თქვენ ჯერაც  
ნეტარება გელტვით მათსავით,  
თქვენ, ვინც სიკვდილის მხოლოდ სიტყვას  
და არა შიშს სცნობთ.

ნუ შეიყვარებთ ხორცს საკუთარს გადამეტებით!  
ნურც ნაზად მფეთქავს,  
ნურც მეომარს და მოძალადეს –  
გაავარჯიშეთ თქვენი ძალა და სათნოება –  
ნამდვილი კაცი იბადება თამაშში მხოლოდ  
- მაგრამ გახსოვდეთ, რომ სხეული აქაური გაქვთ,  
თქვენ კი გაწვალებთ დედამიწის ძლევის წადილი.

თავს უმკაცრესად მოეპყარით,  
უბიწო დარჩით არსთა ზეპურ ბრწყინვალებაში,  
სქესთა გრივალშიც.  
სხვადასხვად გიჩანთ ახლა ვნება და სიყვარული –  
დე, ასეც დარჩეს,  
სხვადასხვად ხედავთ ხდომას და სიკვდილს –  
იყოს ასევე,  
მაგრამ სუნთქვა და პატიოსნება  
განუყოფლად გახლდეთ მარადის.

გახსოვდეთ: ყოფნა მამაკაცად  
არ გულისხმობს უმოწყალობას  
შენივე თავის  
და ან მთელი სამყაროს მიმართ –  
და მოხუცების დანახვისას კვლავ აიძარბოთ –  
მათი თეთრი თმა იყოს საბუთი,  
ანდა ზარი და მოწოდება,  
სიფხიზლისათვის და ტანჯვისათვის  
ადამიანს ძერწავს რომელიც.

მიდით, ერთმანეთს ესაუბრეთ,  
ერთ-ერთს ეომეთ!  
მაგრამ ღუმილით მიაგებეთ დიდება სიბრძნეს.

მხოლოდ საკუთარ თავთან უნდა იყოთ ამაყნი,  
მხოლოდ საკუთარ თავს უჩვენეთ თქვენი სიძუნწე!  
მაგრამ ეულო ჭაბუკებო უცხო მხარეში –  
მშობლიური სიტყვის გამო,  
ოთახის გამო, შინ რომ დატოვებთ  
და დედის გამო –  
თქვენს თვალებს ისევ შერჩენია ცრემლის უფლება.

რად გასხმათ ხოტბას მომღერალი?



თქვენი სხეული

სრულყოფილ ლექსს ჰგავს:

სიმღერასავით მშვენიერი საზომით, რიტმით,  
სიმღერასავით, ენასთან მტკიცე კავშირმა რომ  
სხეული მისცა.

მარადისობას ემსგავსება თქვენი სახე მშვენიერებით,  
ღმერთების დარი. მაგრამ თქვენ მხოლოდ დანამატი ხართ,  
მოოქროვილი ღმერთებივით და არა სავსე.

ვინც თქვენ გიმღერით,

არ შეგძახებთ, იყავითო კეთილშობილნი!

მისი ფლობა წყალობააო.

მაგრამ, დაე, კეთილი საქმის სიყვარული იყოს თქვენი ყოფის  
საზრისი!

და ნუ აიღებთ საგნებს შიშვლად: გამოაცოცხლეთ,

ფრთად მიეკარით, მიაწვდინეთ ახალ სიმაღლეს

და დედამიწა შეიყვარეთ, ვით სიფართოვე.

როცა ერთად ხართ - ფიქრი დიადს მიუძღვენით,

როცა მარტონი – თავი სიღრმეს უძღვენით მხოლოდ.

თქვენი სისხლი ველურია და – ღამესთან

ნაჩქარევად შეუღლებული, და – თრობასთანაც.

დიდია ღამე. ბედისწერას მიაწეროს, ვინც მას ხელში

ჩაუვარდება.

სიკვდილი ახლავს. თუმცა მებრძოლს შეურიგებელს

თავის მტკივნეულ საიდუმლოს გაანდობს ღამე.

თრობა ღამის ვაჟიშვილია. ნუ გააღმერთებთ!

საშიშია ამგვარი ღმერთი.

თვალი უსწოროს ამაოებას –

მამაკაცის საცდელი ქვაა.

ცოცხლად დარჩენა თუ სწადია,

ის სიკვდილსაც უნდა იცნობდეს.  
ეს მოიგონეთ, როცა ერთხელ უჯებირო  
სისხლის შეგრძნება  
თავს ვარსკვლავების სამეფოსკენ აგაპყრობინებთ.

ეს გაიხსენეთ,  
როცა სიტყვა, ძლიერი და ფერადოვანი,  
იღენს თქვენი ბაგეებიდან  
და შეჭლალადებთ თქვენში დიადს  
და დიადს ხალხში.  
თუმც, დაე, მაინც მიუწვდომელი  
დარჩეს გვირგვინი  
თქვენს ხელებს,  
ჯერაც მოჩქარე და მოუთმენ ხელებს.

ადამიანის საცხოვრისად შექმნილ მიწაზე  
თქვენ დაუნჯდებით ახალ სავანედ  
და იქნებით ციხე-კოშკი ღმერთებისთვის  
ანაც ისე უსარგებლონი, როგორც ეკალი და ნაგავია,  
რადგან თქვენზეა არჩევანი:  
თავს შეიყვარებთ, უნდო ბაზარს და დროის საფანგს,  
სახელის ქუხილს  
თუ  
უმწიკვლო წმინდა სიშორეს.

თქვენ, ყვავილწნულის გვირგვინებით მოსილნო თავნო,  
თქვენ, შუბლნო სიტყვითაღუწერნო, ზეაპყრობილნო,  
თქვენ, თვალნო მზერაუშიშარნო, მრავლის მცოდნენო  
და თქვენ, ბაგენო, მორკალულნო ოცნების ლარით.

და თქვენ, ფეხებო, მბრძანებელნო,  
უმოწყალოდ რომ ამათრახებთ დედამიწის ზურგს.

და თეძოებო, ვიწროებო,  
რომელთაც, აგერ, აგკიდებიათ  
ქალთა დიდი სადარდებელი.

თქვენ, ბილიკნო, უძრუძესი ღამით სავსენო,  
გზავასაყარნო დროთა შორის,  
გამიზნულნო უშორესისთვის –  
ჩანასახნო და იმედნო ხალხის!

უყვარხართ ღმერთებს  
და თქვენ ჯერაც  
ნეტარება გელტვით მათსავით,  
თქვენ, ვინც სიკვდილის მხოლოდ სიტყვას  
და არა შიშს სცნობთ.

# სონეტები I - XV

## I

ამასლა ვუძხვრით, ქალბატონო, ტანჯვანანახნი,  
შენად მსახური საძნელოა, სამეფო - რისხვა,  
შენ გულს იღებ და ფორმას უცვლი, რომ სამერმისოდ  
ტკივილმა დიად სურათებში იპოვოს სახლი.

უცხო სიშორეს დაუზოგე აწმყო და დათმე,  
კიდევ მრავალი – ხელოვანი გეწოდა რადგან  
და დაისწავლე – წუთისოფლად სასწაულთაგან  
ოდენ მგზავრობის მოგეგება საწილოდ საფრთხე.

არც ბრალს ვენუკვით, არც წყალობის წადილით ვვმინავთ,  
თავისუფლებას ამოვიცნობთ გისოსის სოლით,  
შენ მხოლოდ გული გაბზარული შეიგროძნე ბინად.

დგანან სუსტები და, ტახტიდან წამ-წამ ნასროლნი,  
ჩვენ, ძლიერები, დავინთქმებით უფსკრულთა შინა.  
სწორედ ეს არის განგრძობილი ყოფა არსობის.

## II

სწორედ ეს არის განგრძობილი ყოფა არსობის,  
ნაზღვევი სისხლით. ტრიუმფისას მალი-მალ ვგოდებთ  
და გამარჯვებას მარცხთა წყება წყეულ ქსელს მოდებს;  
**შიში** გვძენს ძალას და ფერფლიდან კვლავ ძალგვიძს შობა.

დასცინის ღამე, დღეს საშიშარ კითხვებში ახვევს:  
რაა უკვდავი ან ჟამთა კვალ რა უნდა გაქრეს?

მხოლოდ სულელი გაიძახის: რომ მისი საქმე მარადისია, რაკი მისას ატარებს სახელს.

რაა სახელი? ბგერა ოდენ და ხვალ თუ გალღვა, ყოფას განაგრძობს ღვაწლი დიად ხელით ნათესი და არსობს თვით ჩვენს სიცოცხლეზე ათასწილ მაღლა.

ღმერთს ჩვენი გავლით აქვს კრისტალში გარჯა ნაწესი. ყველა პატივის მიგებება მარადჟამს ახლავს შექმნილს საკუთარ შემოქმედზე **უპირატესად**.

### III

შექმნილს საკუთარ შემოქმედზე **უპირატესად** ეწილადება სხვა სამყაროს ნაძღვენი ჯილდო. ხელოვანმა კი **ეს** სამყარო ბინად დაიღო, უბარუკების ვერ ახერხებს ვერასგზით შეცვლას.

ის, რაც ბრტყელია, ავად სტუმრობს, ამარცხებს, ზარავს, ის არარაა, მრუდედ ილტვის და თავხედია – ღმერთს ეტოლება. ვერ აოკებს, ხელები ხსნიან კედლებს მის მრუმე და სიბნელით შეფერილ კარავს.

მას ისღა იხსნის, რომ მიექცეს სასოწარკვეთას უკან ღამეში, მწუხარე და ამაყი გულით და ბარბაროსთა შემოტევა ასე აღკვეთოს.

და მარტო იყოს, როს ბრალდებენ, როგორც საძულველს: და კაცმა ხანჯლით, გულგრილობით მჭკვრეტელმა დღეთა, თმაშევერცხლილმა სხვაგან უნდა ნახოს სადგური.

## IV

თმაშევერცხლილმა სხვაგან უნდა ნახოს სადგური,  
შენს სამსახურში, ქალბატონო, ვინც ჟამ-ჟამ გაცვდა,  
გვიანდა ხედავს: არა უშქარ მტერთაგან ძარცვამ,  
იგი სიუხვემ **საკუთარმა** გაანადგურა.

ო, სიამენი, ო, ვარამი! ო, ანგელოზთა  
და ეშმაკეულ ჯადოთ შორის გაბრუებული!  
ნაფლეთი მკერდი, გეენათი გვემული გული,  
ბრძოლის ველებზე ნაგელები. ველური ლოცვა:

ყვირილის ჟინით შეპყრობილმა, ტანჯვისგან მუნჯმა,  
ვინც დაეხარბა ღვთიურ ჰანგის მოსმენას წყნარად,  
თავი წყვილებად შეაგროვა და დაიუნჯა.

**ასე** ქრებოდა მისი გული, იკლებდა ჩქარა –  
გაორდა ასგზის და მხოლოდ იქ ზავდება ურჩად,  
სადაც შემქმნელი კვდება – რჩება ნაღვაწი მარად

## V

სადაც შემქმნელი კვდება – რჩება ნაღვაწი მარად  
და თავს დაიხსნის იმ დღისაგან, საიდანც იშვა,  
და განსხვავებით ცრულ მეხოტბე ფანფარებისგან,  
ბრძოლის **ეს** ხატი გაიმარჯვებს და მარცხს გალაღავს.

პინდარეს ბნელი, კეთილშობილ ნათლით ნაკვები,  
ჟესტი დანტესი, მიუწვდენი სიღრმე პლატონის -  
აწონასწორეს საკუთარი თუ არა დრონი,  
ოდეს უბნობენ, როცა დუმილს ირჩევენ ქვებიც?

საკურთხეველი – გვიანთათვის – მაღალი, წმინდა, მიქელანჯელოს ტკივილი კი – ჩემთვის სარგუნი, რომელთანც სიტყვა გემომწარე ასე დაწინდა.

და როცა ამას აღვასრულებ უწრფელეს გულით მე, ვისაც ტანჯვამ ძლიერება მომაგო ჯილდოდ – მარცხდება ყოფა – ხელოვნება იმარჯვებს სრული.

## VI

მარცხდება ყოფა – ხელოვნება იმარჯვებს სრული. შიშს, რომ სხეული განქარდება, იჟამებს როცა აღდგომის რწმენით განგიღვენის ოდენდა ლოცვა, თუმც კვდება **ყველა**, მიწაზეა ვინც მიისრული.

რომ სულიწმინდა არასოდეს განქრება სოფლად – მან, მიღმიერმა, ხილულ ხორცის ჩვენ მოგვცა სახე და ამ ნიშანთა შემხედვარე ვდრკებით, ვცახცახებით და ვხვდებით: იგი სიზმარია და იგი მყოფობს.

სიცოცხლე ოდენ მოწმედ ყოფნით კი არ გაერთოს, თუ ხელოვნებას მიელტვის და საკმეველს აკმევს, წამების ალი უნდა უკვდავ საგანეს შერთოს.

რადგან **აქ** მყოფი ფასეული ყოველი დავგმე, მსურს **იქ** გავგრძელდე, სადაურიც ვიყავი, ღმერთო, და მთელი სულით მივეთვისე საჩემო საქმეს.

## VII

და მთელი სულით მივეთვისე საჩემო საქმეს.

ვერა შემთხვევა მყიფე მახის ვერ მნახავს კართან,  
შენ, მკაცრო გზაო, დიად სიტყვით უკვდავ საგანთა  
მომეც ბრძანება – მოკლე სოფელს აღარად ვაქნევ.

შუბლო, ღმერთების შენასწორო, გამიპე ღამე,  
მუშა ხელებო, მისკენ ღვწაში უწინ ნაცადნო,  
თუმც არ გნებდებათ, მისგან ფორმა მსურს გამოადნოთ,  
დარჩით ერთგულნი, რომ მსოფლიო მემონოს მალე!

მე ხოტბას გასხამთ, შეპყრობილნი წადილით შექმნის,  
ვით ჩემს იარაღს, ისე, როგორც მე ვიარაღობ  
იმ გამოუცნობ, განუჭვრეტელ არსების ხელში.

ვინ ვარ მე? – ეს მე დავივიწყე, მსურს სხვა მანახოთ,  
გამომღვიძეთ ტკივილის და ვაების თქეშში,  
რომ მივეახლო დრო-სიკვდილის თამაშებს ახლო.

## VIII

რომ მივეახლო დრო-სიკვდილის თამაშებს ახლო.  
მარტო ვიყავი, ახლა ვხედავ – არ მაღიარეს,  
ოდენ ნელთბილი შეფასებით იკლებენ არეს,  
ლეწენ ქარიშხალს, ბრძოლის ხანძარს და სამოსახლოს.

შემაშფოთებლად შეიძლება წარმოჩნდეს ხალხი,  
ვინც უკანასკნელ სიტყვებს უძღვნის სვე-ბედს საკუთარს.  
ქვეყნისთვის ენა შემენახა – აი, ეს მსურდა,  
მაგრამ არვინ ვარ ქვეყნისათვის და მბურავს თალხი.

მე არ წავსულვარ, მე ხელი მკრეს და ვარ ეული,  
ჯიბრად არ ველტვი მარტობას, არამედ – **გლოვად**,  
მხოლოდ ტანჯვაა სოფლად ჩემი დანაშაული.



დრო მკლავს! და თანაც ჩემთან ერთად დროის დროც მოვა  
და იწირება დრო, ვით ჩემი კვლის საზღაური,  
ნეტავ, **ორივეს უკვდავების** შემეძლოს პოვნა!

## IX

ნეტავ, **ორივეს უკვდავების** შემეძლოს პოვნა!  
ჩემი და ხალხის, ვმადლობ ვისაც, რომ ვედინები,  
ხეს ყლორტს ნაყოფით ვინ ჩამოწყვეტს, ვის დართეს ნება,  
ვით სწეულ ფოთოლს ან გამომხმარ ტოტების კონას?

ო, არასოდეს მივატოვებ მე დედის მზვარეს,  
თუნდ დედა ჩემდა სიყვარულში იყოს ორჭოფი.  
ეს ადვილია, როგორც ქცევა სიზმრებში მყოფის;  
რადგან ჩვენს შორის წაშლილია ყოველი ზღვარი.

მე, ხელოვანი, ქედს მოვუხრი წრეს ფართოს უფრო.  
და ყოველივე – მოწყალება, ძალა, საზომი  
წინასწარ მერგო, რომ განსაზღვრულ გზით დავეუფლო.

**შენი** სახეა სახე **ჩემი**, ეულად მდგომი.  
მე შენი ჟინი გამოვძერწე, შენს ვნებას ვუბნობ,  
შენს ნიშანს ველი, რომ ქვას და ფერს მივუძღვნა ღონე.

## X

შენს ნიშანს ველი, რომ ქვას და ფერს მივუძღვნა ღონე.  
სიტყვა-ბგერებში წმინდად ვსახე, ძალას არ ვინდობ,  
და მისით თხრობა გახდა ჩემი სხივიც და ჯილდოც  
და გასამრჯელო ღუმელია, ჩეროს ვემონე.

სხვაგვარი გარჯა ღამედ ტანჯვას და ოდენ ფიორ  
ჭვრეტას მომცემდა ამ მრავალფერ სივრცეში ხუნდად,  
ვიტყოდი – ბოლო სიყვარულიც გაუფასურდა  
და სიახლოვე წინაღობის შეიძენს იერს.

იქ, იღუმალში, ყველა ვარ და ასეთად დავრჩი –  
ათას მოკვდავში გავიტოტე ათასმაგ რახან  
და ვასულდგმულე კეთილ-ბოროტს მე, ერთი არსი.

ვფრენ თუ ვეცემი – სულერთია, – მას გამოვსახავ  
**უფრო დიდ** ღამედ, მორონინე, როგორც სიზმარში,  
ვხვეწთ და სიზუსტეს ვუნარჩუნებთ ჩვენს ზვიად ნახატს.

## XI

ვხვეწთ და სიზუსტეს ვუნარჩუნებთ ჩვენს ზვიად ნახატს.  
მეტია, ვიდრე თავს რომ ვიცნობთ, ის სარკის შუშა,  
**სიტყვაა** იგი, რომლის თქმასაც გავურბით, ვშიშობთ,  
არსს – გაქცევაში, წრეში შუაგულს თუ დავინახავთ.

ქვა უმკვიდრესი! – ვერა ძალა, აზრიც მოსურნე,  
მას ვერ წარმართავს ენამჭვერი და დროით მუნჯი,  
საგანი მათებრ, ვისაც ორი მხარე აქვს ბურჯად  
და ძალგობს მისგან დასნეულდე ან განიკურნო.

ის თვითკმარია და ვაების აცდა სართულებს,  
ღანაშაული და დაცინვა მიაღწევს ვერას,  
ასე ღვას. დაე, ასეც დარჩეს ზეაღმართული

ქვა უმკვიდრესი! – ოდენ ერთ აზრს უნდა უმღეროს,  
მას, ვინც ჩვენშია: ღმერთს მარადისს და უსასრულოს,  
როცა მოვკვდებით, მას ჟამიდან ათას წლის მერეც.

## XII

როცა მოვკვდებით, მას ჟამიდან ათას წლის მერეც  
შენ მიანიჭე, ქალბატონო, დროშის სიმკვიდრე!  
ლექის კეთილთათვის, საფრთხის შიში დასძალავს ვიდრე,  
მათთვის, ჩემს გვირგვინს, შურის გვირგვინს ვინც არ ამტერებს.

კვამლს დიდებისას გვერდს აგუვლი, შევუთვლი კრულვას.  
ოღონდ მათ, ვინც მას **უფროსილდება**, არ მომაცილო,  
რომ ერთ დღეს მზერა დამემსხვრევა როცა უცილოდ,  
შემცვლელმა საქმე გააგრძელოს და დაასრულოს.

ხოტბას, დიდებას, მზეს წამიერს ვინ გაეკიდა?  
რა ღირსება აქვს? სუსტს ამეფებს, გაურბის ძლიერს,  
მწირს გააღმერთებს, ღმერთს კი ამხობს ის კვარცხლბეკიდან.

ო, იგი არა! გვევდრები მქმენი **თვინიერ**,  
მახელოვანე, სულმა ჩემმა რომ იგრძნოს – წმინდა  
მშვენება შენი თუ ვით ჭარბობს ჩემს საწყალ იერს.

## XIII

მშვენება შენი თუ ვით ჭარბობს ჩემს საწყალ იერს.  
ბნელი მიწა ვარ, შენ კი ალად გხედავ მოდებულს,  
ჩემი – ცრემლია სამარეთა საზარ ლოდებზე,  
შენი – დღე როკვის. ყოველგვარი ტანჯვის მიღმიერ.

მე ცოდვა ვიყავ, შენი იყო გული სპეტაკი,  
ჩემი – სირცხვილი, შენი ქება, ათინათები,  
ჩემი – ნარჩენთა ცრუ კოცონი მრუდე ნათებით,  
შენ კეთილშობილ ბრწყინვალეების შუქში ნეტარებ.

და სიყვარულის ალი ჩემი, მწარე და მწველი,  
შენებრ ლამაზი და მშვენია, დაე, **ერთხელაც**  
ამ კაცთა ღამეს ხელოვნებად მიესაშველოს,

თუ კი გაზომავს ის წყვილადის უზომო სევდას,  
**რას** მოელოდი, როს შეგები, აღვმართე ხელი  
და როგორ მექცა ყოფის წესად ტრფიალი შენდა.

## XIV

და როგორ მექცა ყოფის წესად ტრფიალი შენდა.  
შენც წესი იყავ და კანონის ნიშნავს მონება,  
რომ ბედისწერის იმ მარწუხის შეძლო მორევა,  
მიწას ეს ჩვენი სხეულები რამც მიაშენა.

თავისუფლება წიაღშია, სულია იგი!  
ყველაზე ახლოს ეახლება უფლის სამყოფელს,  
ვინც თავი თვისი შეიბოჭა. ვერც ცოდვა მოდრეკს  
იმ წრიდან, სადაც აირჩია მან სახლი მშვიდი.

აქ იგი თავის დიდ და ზვიად სამშობლოს შეხვდა,  
როცა უარყო ყველა კუთხემ, ვერც მამის ძახილს  
ველარ მიჰყვება ფუძის ნაცნობ ანგელოზებთან.

ო, ძლიერია თუმც სიკდილი, თავს მაინც დახრის,  
რადგან სიკვდილიც მორჩილია საკუთარ წესთა.  
ამასლა ვუმზერთ, ქალბატონო, ტანჯვანანახნი.

## XV

ამასლა ვუმზერთ, ქალბატონო, ტანჯვანანახნი:

ხელოვნებისთვის საცხოვრისი ჟამი გრძელა,  
მიბოძებული იმ ჭაღარა შემქმნელის მიერ,  
ვინც ლამის სოფელ მიღმიერის კარი განახვანა.

შემქმნელი კვდება, შექმნილი კი გადასწვდა წლებსაც.  
ასე ამარცხებს ხელოვნება ცხოვრებას ურვილს,  
მე, ვინც ჩემს შექმნილს მივეჯაჭვე, ჩემზე სასურველს  
დრო და სიკვდილი მომავალში, ვიცი, ვით შემძრავს.

რომ შემძლებოდა შენთვის, ჩემთვის მარადი სივრცე,  
შენივე ნებით ავირჩევდი ქვას, ფერს და სურათს,  
ხატს შეგითხზავდი საიმედოს და ფორმა მტკიცეს,

როს გავეყრებით მირიადში იმის დასტურად –  
რა საბრალო ვარ, შენ ნატიფი ფრთები გაქვს ისევ,  
შენდამი ტრფობას კანონივით ვით ვემსახურე.

## ტყვის ბილიკები

ტყეს, ბნელს, რამდენი ბილიკი სერავს,  
რამდენ სიყვარულს ჩაუქრა მზერა.  
გაყინულია სამყარო, ჰავა  
და ქარი ისევ სისინებს ავად.  
მინდვრიდან ძველი სიმღერა ისმის,  
დახშული ჰანგი ვიცანი მისი:  
რამდენი გზაა, აქედან ჩანან –  
შინისკენ ერთიც არ მიდის, განა?

## ფურისულა

გაზაფხულს შენი სუნთქვა ედება,  
მამცნე, ამხელას ვინ გაძღვეს ძალას,  
ამხელს ვალს, ჩვენსას, არაფერს მაღავს,  
ისეც არც აკლდა გულს დაფეთება.

ისმის ქვითინი, ჩუმი და მწარე,  
საამო მოგყვა ფერი და სხივი,  
ფერხულის დარი, გვიახლებს ტკივილს,  
ვარსკვლავებიდან მქროლავი ქარი.

ვინ წამოგიძღვა, ვიცოდე ნეტა,  
სულზე მოგვისწარ, აღვსდექით მკვდრეთით,  
ცახცახებს გული – დამფრთხალი მტრედი,  
მიწას კვლავ ჭრელად მოქარგულს ვხედავ.

## ანამონი

გოგონა არ ხარ და სულს შენსას, იერი,  
ფერმკრთალი აქვს გოგონასი.  
ვარსკვლავის ციმციმის მგონია ზიარი,  
შენი ამოხედვა, ნაზი.

რარიგად მოგწყვიტო, მოკვდები მაშინვე,  
შენი ვინ გახდება მკვლელი?  
დგახარ აზიდული, ხვედრი არ გაშინებს,  
ღალუპვას პირველი ელი.

კდელა უნაზესი, ხარ გამოძახილი  
სინათლის და წინათგრძნობის,  
გშენის თავმოდრეკა, ღიდი გაქვს სახელი,  
წყალობად, სიკეთედ შობილს.

ღიდი ბედისავე დაგყვა მორჩილება,  
ღამეში ვარსკვლავის სრბოლა  
მძიმედ დაგწოლია, ირწევი ჩრდილებად,  
ღამბანგველ სურნელად ბოლავ.

უმაღვე დაჭკნები და განიძარცვები,  
ონნავი შეხებაც კმარა,  
თავმიბრუნებულო, გიყურებ დარცხვენილს,  
კვლომას ეგებები წყნარად.

ცა თავზე გამხვია და მაინც რა წმინდად  
ყვავილობ, ნათელი გადვას.  
ბუნების ტყვეობამ ტანჯვასთან დაგწინდა,  
სიცოცხლე მოკლეა რადგან.

## მიწაფართსა

მივიწყებულო ლაჟვარდო ჩემო,  
მოკრძალებულო, მალულო ჩრდილო,  
მღუმარე ქალის ბაგეთა გემო.

ღრმა, შორეული, არ იწვევ დაბლა,  
არც გახარებას, არც წუხილს ცდილობ,  
ცრემლი, რომელიც დაეცა საფლავს...

გლოცავ, ვარსკვლავო, ოქროსთვალეზავ!  
ერთგულად ჰყვავის წამწამთა გრილო,  
ეაღერსება იღუმალეზას.

## უმოდგომის ყვავილი

სუსტო ჯამო ყვავილის,  
ქვეყნად ჩნდები როდის...  
ნაცვლად სილაჟვარდისა,  
ბინდი, სუსხი მოდის.  
ვაჰთუ, თოვლის ფიფქები  
ხვალვე დაგესიოს!  
მოცახცახე სიო!

ტანჯვას გაუთავებელს,  
მისი სიბრძნე ახლავს;  
ბოლოს ქრება სინათლედ,  
გადასძალავს დაღლა.



ბედისწერა მშვიდი:  
სიკვდილის წრე დიდი!

წარმავლობა სილამაზეს,  
მორცხვს, ანიჭებს ძალას,  
შემოდგომის ვარსკვლავი  
ვიდრე გადამალავს.

## უვიწყარა

ო, ჩუმი სევდავ,  
ო, გრილი თოვლის  
დანამაულო, საწყენო, უხვო:  
როგორ თრთის,  
როგორ ქვითინებს ცაში,  
წელიწადების წრებრუნვა უხმო.

რა იყო დროის დახვეა უკან!  
რად მზარავს  
თქვენი ბავშვური მზერა?  
ბოლო პეპელა,  
ბიჭი რომ იჭერს:  
როგორ გავეთერთდი, აღარც კი მჯერა.

არ დამივიწყო, უვიწყარაო,  
არავინ არი ალერსით მთქმელი,  
თქვენ კი წუხდებით,  
მაფრთხილებთ, მაგრამ  
მომიკვდა გული,

კარგს არას ველი.

მხსომებოდა თუ დამვიწყებოდა  
ბავშვობა ჩემი,  
რა ჯობდა ნეტავ?!  
არ ჩანდა დიდხანს  
და სულს მიწეწავს  
ახლა, მის ვარსკვლავს კვლავაც რომ ვხედავ.

ო, ჩუმო სევდავ,  
ო, გრილი თოვლის  
დანაშაულო, საწყენო, უხვო:  
როგორ თრთის,  
როგორ ქვითინებს ცაში,  
წელიწადების წრებრუნვა უხმო.

## **გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალისადმი**

შენ არსებობდი ჩვენნაირად,  
სათნო და ღალი.  
ახლა, შუბლს შენსას იმა ქვეყნის  
ატყვია ღალი.

ჯერ კიდევ გუშინ, ვარდებს შორის,  
ნარნარად ვლიდი.  
დღეს ცივად უმზერ ჩვენს სიყვარულს,  
ჩამტყდარა ხიდი.

ვერ დასწვდი ნაყოფს, მოსაწყვეტად,

წითელს და მწიფეს.  
მოსავლის ალო მიიწურა,  
უკვე გაკრიფეს.

სიცოცხლის ჩიტი, რომ უხმობდი,  
გაფრენილია,  
სადაც ახლა ხარ, იქ არყოფნის  
მრუშე ჩრდილია.

ბარს სხივი აღარ აციაგებს,  
მოწყენა აწვიმს,  
გლოვის ცრემლები, ამოღარულს,  
გვინამავს ღაწვებს.

უცხო ზღაპარში, უსასრულოდ  
სრიალებ, ფრინავ,  
ვარსკვლავმა, მქრალმა,  
ცის თავანზე იპოვე ბინა.

## **ყარიბის სიმღერა**

ჭაზე გადამხობილი,  
უმაღ ფსკერს ჩახედავს,  
ნეტა ვინმეს ვახსოვდე,  
შენ მეძახდე ნეტა!

შენი სახე მინდა ჰქონდეს,  
ღელაჩემი ვიხმე,  
ნეტა ნანა მიმღეროს,

მიმაძინოს იქვე.

დედა რა ხნის მკვდარია,  
მჭკნარ ყვავილებს ვანდე,  
ვხედავ, შუქზე დაისის,  
მოლიცლიცე ლანდებს.

## **მამაზვიციერის დასაბუთი სურათი**

ეს მე ვარ, უკვე განისვენებს სხეული ავი.  
მარცხი არც ისე ბევრი იცის ჩვენმა ცხოვრებამ.  
რამდენი მოკვდა. ნუთუ შველის არა გაქვს თავი?  
არ შეგწევს ძალა? მე ეს შიში მემანსოვრება.

მეუფევ ცისა, ხარ მხატვარი სწორუბოვარი.  
მიხატავ ხელებს, ზომაზე დიდს, ზომაზე ფართოს.  
არაფრად გიღირს ჩემი ურვა და სათხოვარი  
და ჩემს ზურგს უკან ბოროტს, ეშმას ახარებ, ართობ.

“მარადისობას გაზიარებს ჩემი ნახატი”.  
რა თქმაა – თითქოს უსიამომ დარეკა ზარმა!  
გადავიხადე ვალი სრულად, გადასახადი,  
სხვა რა გსურს? “მარად” არსებობის სურვილი არ მაქვს.

დამხატე, სახე მქონდეს ბავშვის, გულუბრყვილოსი,  
ბალი და სახლი დამიხატე, ხეების ჩრდილში,  
და სათნო ქალი – ვერ გადიტან ამას ტილოზე?  
დასაბამიდან მე ამისი მტანჯავდა შიში.

## პირქუში ანგელოზი

პირქუშო მხსნელო, გამოცდილო მკურნალო ჩემო,  
გთხოვ, ანგელოზო, დამამშვიდო საამო მცნებით,  
წითლად შეფერილ ლაწვებისა შევიგრძნო გემო,  
ძვირფასო, მინდა ხილვა მისი, ველარა ვცხრები!

შმაგი ლოდინი დამიაბე, სიმშვიდე მინდა,  
ჩამომაცილე ქვეყნის ურვა, დავრჩე უვნებლად.  
სალამოს ბინდი. დიადემა თავს გადგას სხივთა,  
ო, ზენაარო, ბალში მწაღის მე დაბრუნება.

მო, დამენახე მოწოდების მღუმარებაში!  
დამენახე და მაგრძნობინე ღვთის მრისხანება:  
ქალის მღმა, სრულქმნის მღმა გნახავ ფრთებგამლილს,  
მიჩვენე სახე, საზარელო, არა – ზმანება.

## ՋԱՆԱԳՄՈՒ ԻԻ

ლირიკული ლექსის არსისთვის

ურანიასადმი მიძღვნილი ლექციის შესავალი  
(1930 წლის 3 აპრილი)

ფაქტია, რომ თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგა პოეტურობის არსის, ზომის, პროპორციისა თუ ზემოქმედების ძალის ყოვლისმომცველად და ემოციურად აღქმის უნარი. პოეტური ნაწარმოების შეფასება ხდება არა ამ კრიტერიუმებით, არამედ – გარეგნულად და ხშირად იდეალური მოთხოვნის საპირისპიროდაც კი. კრიტიკოსებს უმრავლეს შემთხვევაში არ ყოფნით არც თანაგრძნობის უნარი, არც დრო და ცოდნა საიმისოდ, რომ მართლაც საქმიანად შეაფასონ ლირიული ნაწარმოები. ჩვენს დროში აგრევიად მოძალებული ამერიკანიზმების მეშვეობით პროფესიონალი შემფასებლის განკარგულებაში აღმოჩნდა რამდენიმე მზა ფრაზა, რომლებიც პირდაპირ ანადგურებს ყველანაირი წარმატების იმედს. ჩვენი დროის სენსაციურობამ ძალაუვნებურად ჩაანაცვლა ის ჭეშმარიტი ღირებულება, რომელიც “ძნელად ხელჩასავლება” და ყველა დროის საუკეთესო ნაწარმოების სტატუსი მიანიჭა ყველა იმ უმწიფარ ოპუსს, რომელიც კი ეხმაურება ყოველდღიურად მზარდ სამომხმარებლო მოთხოვნებს და ამიტომაც მომგებიანია ჟურნალისთვის. შეფასების ეს აღმატებითი ხარისხი დღითიდღე სულ უფრო მეტს მოითხოვს და ასე გრძელდება მანამ, სანამ იმ წერტილამდე არ მივა, რომლის იქითაც უკვე ჩიხია. გადაშენების პირას მისული, კარგ ნაწარმოებს დანატრებული, მგრძნობიარე მკითხველი, რომელიც აღმოჩნდება ამ ვითომ მაღალმხატვრული ნაწარმოებების პირისპირ და არც არჩევნის საშუალება აქვს,

---

**Zum Wesen des lyrischen Gedichtes.** წინამდებარე თარგმანი შესრულებულია გამოცემიდან: Josef Weinheber. Sämtliche Werke. IV. Band. S. 170-178. Otto Müller Verlag. Salzburg 1954.

იძულებული ხდება აირჩიოს ის ნაწარმოები, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება მის იდეალს და რომელიც მიაწოდეს იმგვარად, თითქოს ამაზე უკეთესი არც არაფერი არსებულებოდა – იგი არის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე განსაკუთრებული და ყველაზე ამაღლებული. საბრალო მკითხველს ეჭვი იპყრობს, იბნევა და ბოლოს მტრულადაც კი განეწყობა ხოლმე ისეთი ხელოვნების მიმართ, რომლის ფასეულობების დამახინჯება ყველას შეუძლია; შეუძლია სახე უცვალოს და საერთოდ მიჩქმალოს კიდევ სადღეისო ბარბაროსული მოთხოვნების შესაბამისად.

პრესის დესტრუქციული ზეგავლენის შედეგად დასუსტებული პოეტები იმაზე არიან გადასული, რაც შეიძლება მეტი ქება-დიდება შეასხნან ერთმანეთს გაზეთებში. იქამდეც კი მიდიან, რომ თვითონვე აფასებენ საკუთარ ლიტერატურულ მოღვაწეობას და თვითონვე ისაკუთრებენ დაუნის გვირგვინებს; თანაც ეს ხდება იმ სარეკლამო, სასაცილო იდიომების მეშვეობით, აგრერივად რომ ახასიათებს ხელოვნების თემაზე მომუშავე საგაზეთო კრიტიკოსებს; თუმცა, მთლად ბოლომდე მაინც ვერ გამოსდით, რადგან სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი.

ამას ისიც ემატება, რომ ყოველწლიურად სულ ახალ-ახალი მიმდინარეობა შემოდის ხოლმე მოდაში, ბავშვობის ასაკს ვერგაცდენილ ლიტერატორთა ყველა ჯგუფი ქმნის თავის სკოლას, რომელშიც ისეთი ამბით ახდენს თავისი ანტი-ხელოვნების უბადრუკი ნაყოფისა თუ განსხვავებულობის კატეგორიზაციას, თითქოსდა სიბრძნის ქვა ჰქონოდას აღმოჩენილი.

ამგვარად, არცერთი ცნება თავის ადგილზე აღარ არის დარჩენილი, ზოგი მარჯვნივ მიხეტიალობს, ზოგიც – მარცხნივ, ყველაფერი თავდაყირა დაყენებული. ნუთუ მკითხველმა თავად უნდა ისწავლოს იმის გარჩევა, თუ რა არის ჭეშმარიტი წარმატება და რამდენად სანდოა მათეული შეფასება? ან სარეველისგან ხორბლის გამოცალკავება? თანაც ეს უნდა მოახერხოს ლირიკასთან, ანუ ხელოვნების იმ დარგთან მიმართებაში, რომელიც დამცირებული და შეურაცხყოფილია სხვა დარგების თვალწინ, რადგან თურმე მის იარაღზე, ანუ ენაზე დასაშვებია ყველანაირი ძალადობა – ლაპარაკი ხომ ყველამ იცის; ამიტომაც ენა თავის თავში თანაბრად მოიცავს როგორც ყველაზე ღრმა ფასეულობებს, ასევე – ამ ფასეულობების გამანადგურებელ ძალას.



მე ყველანაირად შევეცდები, როგორმე კვლავ აღვადგინო ლირიული ლექსის კანონთა მოზაიკის დაზიანებული ფილები. შეგნებულად რაიმე ახლის აღმოჩენას კი არ ვესწრაფი, არამედ ვცდილობ ამ საზარელ, ბაბილონურ აურზაურში როგორმე გავიხსენო ის, რაც უკვე დავიწყებას არის მიცემული.

უპირველეს ყოვლისა, როგორ იქმნება ლექსი? დიდი სიამოვნებით ვიტყვოდი, შეკუმშვის შედეგად-მეთქი, მაგრამ ვიცი, რომ სიტყვა *dichten\** მოდის ლათინური სიტყვისგან *dicera* და ნიშნავს “თქმას”. შევეცდები, მოვნახო სხვა განსაზღვრება, თუკი თავს არ შეგაწყენთ ჩემთვის გამოყოფილ ამ მცირე დროში.

შემოქმედებითი ქმნალობის პროცესის დაწყების საბაბი ხდება რაიმეს განცდა. მერე ამ განცდილს (იქნება ეს თვალსაზრისი, გრძნობა თუ გამოცდილება) აიტაცებს და გააკეთილშობილებს შინაგანი პოეტური იდეა; მერე იგი გარდაიქმნება შემოქმედებით მასალად; იმ ფორმის ხეწოლის შედეგად, რომელიც არის ამ იდეებით შთაგონებული და მათივე გამომხატველი, ეს მასალა იქცევა პოეტურ შინაარსად, რაც არის ხელოვნებად გარდაქმნილი რეალობა.

საინტერესოა ალბათ, როგორ მესმის მე მხატვრული ნაწარმოების იდეა, მასალა, ფორმა და შინაარსი?

იდეა არის ღვთითობიერი და, აქედან გამომდინარე, მუდმივი და საყოველთაო კანონზომიერება, საგანთა საბოლოო თუ თავდაპირველი სულიერი ღირებულება, რომელსაც განაპირობებს პიროვნულობა. მასალა არის იდეის გამთიშველი თუ გამაერთიანებელი, მიმართულებისა თუ სტიმულის მომნიჭებელი ძალის მიერ სიცოცხლისუნარიანობისა და სისრულის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანილი განცდის ექსტრაქტი, რომელიც ამ პროცესის წყალობით იღებს არა მარტო შემთხვევითობით თუ დროით გაპირობებულ გრძნობისმიერ შთაბეჭდილებებს, არამედ უკვე შეიძლება ჩაითვალოს (მაგრამ არა ჩამოყალიბდეს) *გაცნობიერებულ მოვლენად*. რაც შეეხება ფორმას, ეს არის იდეის არეკვლა მასალაში, მასალის მხატვრულ შინაარსად ფორმირების იდეალური კანონი. იგი ამოზრდილია მასალისა და იდეის შემოქმედებითი კავშირისგან, ერთმანეთისკენ თუ ერთმანეთში მათი ლტოლვისგან, სურვილისა (იდეა) და სანახაობის (მასალა) ურთიერთსიყვარულისგან. ყველა იდეას სჭირ-

---

\* სიტყვას *dichten* აქვს ორი მნიშვნელობა: 1) შეკუმშვა, კომპრესირება; 2) პოეტური ნაწარმოების შექმნა, ლექსის დაწერა, შემოქმედებითი მუშაობა.

დება გაფორმება, ანუ უკვე არსებობს სასურველი ფორმა. სუბიექტური განცდის ქაოტური გრძნობებიდან იდეისკენ სვლაში შეკუმშული ფორმით ყალიბდება შინაარსის ნათლადგამოხატული ობიექტურობა. იგი არის ფორმით შემოსაზღვრული და ფორმაშივე მოთვინიერებული და კრისტალიზებული მასალა.

იდეასა და განცდას შორის იდეალურად განთავსებული შინაარსი მხატვრული მოვლენის (გარეგნული ფორმა) ხელშესახებობის წყალობით ინაზღაურებს იმ ზარალს, რასაც იძულებით განიცდის ხოლმე ფორმის ზეწოლით შეკუმშვის შედეგად.

მასალა და შინაარსი მხატვრული ნაწარმოების სხეულებრივი ელემენტებია, იდეა და ფორმა კი – სულიერი. მასალა ისევე შესაბამება შინაარსს, როგორც იდეა – ფორმას. ეს არის შემოქმედებითი პროპორციის ოთხი ძირითადი წევრი. იქ, სადაც ერთ-ერთი წევრი გადაწონის სხვებს და პროპორცია დაირღვევა, იდეალში, არც პოეზია შეიქმნება. სწორედ აქ იმალება უდიდესი საფრთხე მხატვრული ნაწარმოებისთვის საერთოდ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროპორციის დარღვევა წარმოადგენს დიდ საფრთხეს პირველ რიგში ლირიული ლექსისთვის, რომლისთვისაც, და ეს წინასწარვე უნდა აღინიშნოს, ასეთი წონასწორობა ნიშნავს ყველაფერს. მაგრამ ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დისციპლინებში, ლირიკაშიც ხდება ხოლმე, რომ მასალა გადააჭარბებს სხვა ყველაფერს. ერთი მხრივ, თვით პოეტებს შორისაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი მოსაზრებას, რომ ლირიულ ლექსს უნდა გააჩნდეს რაციონალური აზრი; მეორე მხრივ კი, აქ ხდება საშუალო-აღმძიანური გრძნობების ზემოქმედების აღრევა მხატვრულ ზემოქმედებაში. ბუნებრივთან მიახლოებულ მოვლენას, ძლიერ გრძნობას, შემადრწუნებელ გამონათქვამს თუ ეთიკურ პროგრამას მხოლოდ გარედან თუ დაიფარავს ნაკუწ-ნაკუწ შეკოწიწებული, მეტ-ნაკლებად ფორმალური სამოსელი. გართმული განცდები იღებს მხატვრული შინაარსის სახეს. სხეულგამოცლილი კარკასი კი ახდენს ფორმის სიმულაციას. შემოქმედის განზრახვა და სურვილი ირევა პოეტურ იდეაში. რა თქმა უნდა, მასალის ამ გადაძებებაში განსაკუთრებულად ზარალდება როგორც ყველა ტენდენციური ლექსი, ეროვნული და სოციალური ნატურალიზმი, ასევე მათი გვირგვინი თუ მრუდე ანარეკლი - კოსმიური და ინდივიდუალისტური ექსპრესიონიზმი. თუკი იქ იყო აღწერა, გამონათქვამი და უკეთეს შემთხვევაში გამოხატვის ხერხი(თვალის ანუ პრექსპრესიონისტული ხელოვნება), აქ საქმე გვაქვს

უნაპირო მელოდიასთან, სულიერად დატვირთულ, ბუნდოვან ჟღერადობასთან და მრავალფეროვან, ხაზებისგარეშე ვიბრაციასთან (ყურის ხელოვნება); ორივე მხარის მიერ ფორმაზე უარის თქმა ან უუნარობა, ყველა ის ნაკლი, რაც ხელს უშლის იდეებსმოწყურებული, ფორმის მიღებას დანატრებული ლექსის სხეულის შექმნას. ზედმეტად მჩქეფარე ცხოვრება თუ ცივი, გაზვიადებული აბსტრაქტულობა იწვევს იმგვარ ქაოსს, რომლისთვისაც უკვე ვეღარ მონიხება ვერც შემოქმედი, ვერც მომწესრიგებელი თუ მომთვინიერებელი. აქ ბობოქრობს ადამიანი, ძლიერი და წმინდა შეგრძნებების მქონე, ეროტიკოსი, ღრმად რელიგიური. აქ ლაპარაკობს ის, ვისაც არა აქვს ხალმხრავალ ადგილებზე ლაპარაკის უფლება - პათეტიკოსი, პოეტიკის ნაპირზე გამორიყული რიტორიკოსი. ბოლოს კი სწორედ აქ მოუნდება ხოლმე პოეტს, ამ ეთიკურად და პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანს, რომ რაც შეიძლება ფართო საზოგადოება, ან უფრო ბავშვურად და გაბედულად თუ ვიტყვით - “მთელი კაცობრიობა” სუფთა სახით - მოაქციოს მხოლოდ მისთვის ორგანულ მორალურ თუ პოლიტიკურ თვალსაზრისზე და აიძულოს იმ მოთხოვნილებების შესრულება, რის მაგალითსაც იგი ვერ იძლევა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ხელოვნების ნაწარმოების პროპორციულობას და, საერთოდ, ლექსის შექმნას საფრთხეს უქმნის აგრეთვე ის ფორმალისტიკა, რომელიც სულდგმულობს არა იდეის ცხოველმყოფლობით, არამედ უკვე გადამღერებული პოეტური მანიფესტაციებით და ამიტომაც უკვე გაცვეთილი და ძალადაკარგულია. აქ საქმე გვაქვს არა ქაოსთან, არამედ კლიშეს მიხედვით ქმნადობასთან, ისეთ სახლთან, სადაც იძულებითი შემოქმედებითი საქმიანობაა და რომლის გაუნიავებელ ოთახებშიც იგრძნობა ეპიგონობის დამყაყებელი სუნი. აქა აქვს სწორედ ფესვი გადგმული პატივმოყვარე საშუალო ადამიანების სახელმწიფოებრივ თუ აკადემიურ დილეთანტიზმს, რომელთაც ენის სფეროსთან შეხება აქვთ არა მოწოდების, არამედ უფრო ხშირად თავიანთი პროფესიის(ადვოკატები, ჟურნალისტები, საშუალო სკოლის მასწავლებლები) გამო. ზოგჯერ მართლაც რომ სერიოზული განათლებისა და ტაქტის მიუხედავად ისინი ავლენენ პოეზიის არსის გასაოცარ უცოდინრობას; ყველა შემთხვევაში ეს ოფიციალური დიპლომი საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე მათთვის, რომ თავს უფლება მისცენ, თავიანთი ნაღვაწი ოფიციალურ ლიტერატურად წარმოადგინონ და გარითმული რეფერატებით ენა შეურაცხყონ.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რამდენიმე სიტყვა ითქვას ლირიული ლექსის საზღვრების დადგენისთვის. ვინაიდან ლირიკა მოდის სიტყვისგან “ლირა”, ბევრისთვის იგი ითვლება მუსიკის თუ ნათესავად არა, ცოტათი ჩამორჩენილ დედამიწვილად მაინც. ეს შეეხება გარკვეულ ექსპერიმენტულ მიმართულებათა უნაპირო ბუნდოვანებასაც, ნებისმიერი ხელოვნების თანამდევ სრულ თუ სანახევრო დილეტანტურობას და მისთვის დამახასიათებელ სულისშემძვრელ, ბანალურ და დამაქრულ ტირადებსაც, თუმცა ეს ხდება მხოლოდ გარეგნულად, ჟღერადობის ტექნიკის თვალსაზრისით, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რათა შეურაცხყოფა არ მივაყენოთ ხელოვნების იმ უდიადეს და უმშვენიერეს დარგს, მუსიკა რომ ჰქვია. არადა, როგორც დრამატურგიას აქვს გადგმული ფესვები სივრცის გრძობაში, ეპიკას კი - დროის გრძობაში, ზუსტად ასევეა ლირიკაც, იგი ეფუძნება სხეულს, ფიგურას, ფორმას და უფრო მეტად ენათესავება, თუკი ასეთი შედარების მოხმობა საერთოდ დასაშვებია, ქანდაკების ხელოვნებას.

თუ ნებას მომცემთ, მინდა ლირიკის ცნება კიდევ უფრო მკაცრად შემოვსაზღვრო. მაშასადამე, ვაცლით მას ყველაფერ ზედმეტს, მატერიალური თვალსაზრისითაც და ფორმალურადაც; ამგვარი კასტრიებით მისი არსი, *ენობრივი სხეული* კი ვერასდროს გაცოცხლდება, მაგრამ უცხო, თავსმოხვეული ელემენტები კიდევ უფრო მეტ ადამიანურ, თუმცა არა შემოქმედებითად დასაბუთებულ ზემოქმედების უნარს შეიძენენ. აქვე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო პროლეტარული კლასის გაძლიერების კვალდაკვალ მოდიდებულ “პროლეტარულ პოეზიასაც”. წინასწარვე ვაცხადებ, რომ არ არსებობს არავითარი პროლეტარული პოეზია, რომელიც (კონსტრუქციის მიხედვით) დაუპირისპირდებოდა, მაგალითად, ბურჟუაზიულ პოეზიას. არსებობს პროლეტარული მასალა, ეპოქა აიძულებს მას აღრინდელზე უფრო მეტად მოაბეზროს პოეტს თავი, მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი რამ - პოეზია. მასთან მიმართებაში უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი კლასობრივი დაპირისპირება. დემელმა თავის ლექსებში “რთველის სიმღერა” და “მუშაკაცი” (ისევე როგორც რამდენიმე სხვა ლექსშიც) უაღრესად “პროლეტარული” მასალა გამოსახა. მაგრამ ნახეთ, როგორი შესაბამისობაა ფართოდ დანახულ მასალასა და მხატვრული შინაარსის გამჭვირვალე კრისტალურობას შორის! მოვლენის განცდა აქ მთლიანად იხვევს უკან, ღიად იღეას კი ვრცელი ფორმა, ერთადერთი

და განუმეორებელი, ანიჭებს შინაარსს; იქმნება პოეზია, ჭეშმარიტი პოეზია. რა შუაშია აქ საერთოდ პროლეტარული ლირიკა?

მაგრამ როცა ამის საპირისპიროდ ტოლერი თავის ენობრივად არც თუ უნაკლო “პატიმრის ლექსებში” უმღერის თავის ტუსაღურ ვნებებს, ვერცერთი ადამიანი ვერ დარჩება გულგრილი იმ უსამართლო ტანჯვა-წამებისა და შეურაცხყოფის მიმართ, რასაც ეს არსება განიცდის, მაგრამ სად იფარება აღშფოთების, ყვირილის, განადგურების, მოთმინების და პარტიული პროგრამების ეს სიჭარბე პოეტური ფორმით და კერძოდ კი სონეტით, როგორც ეს სიმღერის შემთხვევაშია ხოლმე მიღებული? სად იგრძნობა აქ პოეტური ლექსწყობის თუნდაც ნასახი? ან, იქნებ, სონეტი უკვე პროლეტარულია და ახალი ფორმა აქვს მიღებული? ზოგადად სონეტის საწინააღმდეგოდ ძნელია რამე ითქვას, მისი მხატვრული შესაძლებლობები ხომ სულ ახლახანს კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ დაადასტურეს გეორგემ (როგორც ორიგინალურ ნაწარმოებებში, ასევე თარგმანებში) და რილკემ (ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებში).

მოდით, ღიად დავტოვოთ საკითხი, რამდენად ამდიდრებს ლექსს ლირიული დისციპლინების შერწყმა ლიტერატურის სხვა ჟანრებთან, იქნება ეს ეპიკა თუ დრამატურგია; სადაც საქმე არ ეხება სუფთა სახის ბალადას ან იდილიას, ამ შემთხვევაში მხოლოდ “ბალადური ძღვევამოსილება”, ან “ეპიკური ხაზი” არ კმარა, რადგან ჩნდება ეჭვი, ხომ არა გვაქვს საქმე პოეტის სისუსტით გამოწვეულ პლაგიატთან. თანაც, თუკი რეალურად ვიმსჯელებთ, ეს შეგნებული ერზაცი ხომ მხოლოდ იმის შესანიღბავადაა საჭირო, რომ არ შეგვიძლია ლექსისთვის ლირიული ფორმის მიცემა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლირიული ელემენტების აღრევა მეცნიერულსა(ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, რიტორიკულ) თუ ეთიკურ (სოციალურ, პედაგოგიურ, პროპაგანდისტულ), ენობრივად გადაუმუშავებელ, შინაარსობრივ ნაწილებში ყველა შემთხვევაში ისეთი ზარალია, რასაც საბოლოოდ უცილობლად მოჰყვება საზღვრების მოშლა, ფორმის დაკარგვა, ცარიელი ფრაზები და სრული გაქრობაც კი.

ვინმე იკითხავს: კი, მაგრამ მაშინ რაღა რჩება? საერთოდ, რა არის ლირიკა? თუკი დავიყვანთ არც თუ ისე სრულყოფილ ფორმულამდე, ეს არის ადამიანური გრძნობების ყველაზე შეკუმშული გამოსახვა ენობრივი საშუალებებით გარე სამყაროს აღქმის სხვა საშუალებების საპირისპიროდ (მაგ., საგანი, სურათი, ჟღერადობა).

თუკი პროტურ ფორმას გავათავისუფლებთ შინაარსობრივი ზემოქმედების ყველა გარეშე ელემენტისგან, დარჩება ერთადერთი და ყველაზე სიღრმისეული საშუალება და ეს არის *სიტყვა*. პირველივე სიტყვა, რომლითაც კი ადამიანმა შემთხვევით შექმნილი საგანი საყოველთაო იდეაში განასულიერა და ბგერებად გააფორმა, უკვე იყო ამ საგნის ლექსი. სიტყვა “მთა” არის “მთის” ლექსი. მთელი პოეზია საწყისშივე იყო სიტყვა. მთელი პროტური, მაშასადამე ფორმირებადი მასალა უნდა განსხეულდეს ენაში. აქ, ამ სიმჭიდროვეში, მოცემულ სიტყვათა მარაგის პირობებში (დიალექტი), *სულიერი ფიგურის თვალსაჩინოებისთვის* საჭირო სიტყვების მფლობელობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებში აქვს სწორედ გადგმული ფესვები ლირიკას. თვით ნათელ და ბნელ ხმოვნებად თუ თხევად და მყარ, რბილ და მკაცრ თანხმოვნებად დაყოფამდეც კი მიღის ფორმამოწყურებული განცდა, რათა მონახოს ენობრივი თვითგამოხატვის საშუალება, იდეა კი ისწრაფვის სიტყვაში ჰპოვოს ჭეშმარიტი გულისსწორი. რაც უფრო გულმხურვალედ ცდილობენ სიტყვა და იდეა ერთმანეთის განაყოფიერებას, მით მეტი სისრულის სიცხადეში მაღლდება მათი შემოქმედების ნაყოფი. ამიტომაც არის, რომ თუკი უფრო ფართოდ შევხედავთ, *ენა* არის ხალხის სული, არსი და ფასეულობა...

თუმცა ექსპრესიონიზმის მიმდევრებმა თუ სხვა, კიდევ უფრო რადიკალურად განწყობილმა, თითქმის პარანოიდიტ შეპყრობილმა პიროვნებებმა, ვისაც ებარა გერმანული სიტყვის კონა, სრულყოფილად შეძლეს ენის განადგურებისა და გახრწნის პროცესის დაჩქარება და ბოლომდე მიყვანა. მაგრამ როგორც მუდმივად განახლებად, ცოცხალ სამყაროში არსებობს არა სიკვდილი, არამედ გარდასახვა, ზუსტად ასევე ამოხეთქავს ხოლმე ნიადაგიდან ენა, ეს განახლების ნაყოფისშემცველი ქერქი, ხალხის სულში, ფესვებში ნახულობს მაცოცხლებელ ძალას. აქა-იქ გაიფლავებს ხოლმე სხვადასხვა ნიშანი, როცა შუაგულ ნგრევაში სინდისს ცეცხლი წაეკიდება და აბრიალდება ხოლმე, რაღაც ახლებური, ღრმა მოწიწების ატმოსფერო დამკვიდრდება სიტყვის მიმართ, რომელშიც მხოლოდ პოეზიის წმიდა სული თუ ახერხებს თავისუფლად სუნთქვას. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს იმის ნიშანია, რომ ლირიკას - ხელოვნების დარგთა შორის ყველაზე უფრო მამაკაცურს, თუმცა ამდენი ხნის მანძილზე უსამართლოდ ქალურად შერაცხულს, კვლავ მოაგვებენ მამაკაცები. რამეთუ იგი ყოველთვის იყო არა მარტო დიადი ხელოვნება, არამედ – მამაკაცურიც.

## შიქრები პოეზიაზე

როდესაც გენიალური ლირიკული ქმნილება ვერ აღწევს თანამედროვე მკითხველამდე, ამაში, უეჭველად, ნაწილობრივ მაინც, დიდი გამოცემლობებიც არიან დამნაშავე. მაგრამ გამომცემელი, ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ ბიზნესმენია. წავა თუ არა ის რისკზე ახალი გენიოსის აღმოჩენისა და დაბეჭდვის იმედით, — ეს მისი პირადი საქმე გახლავთ. პოეტებიც იმით შველიან თავს, რომ მცირე გამომცემლობებს მიმართავენ, ისეთებს, ხელმოწერით და საკომისიო ხარჯებით რომ არსებობენ, რამეთუ კომერციულად მომგებიან ნაწარმს მათ არავინ სთავაზობს; პოეტები ყველანაირი საშუალებით ცდილობენ, თანამედროვე ცნობიერებას მიაწვდინონ თავიანთი შემოქმედება. სწირად არც თუ ისე კეთილშობილურ ხერხებს მიმართავენ, რათა კრიტიკის, საზოგადოებისა და ლიტერატურის მკვლევართა ყურადღება მიიპყრონ. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება საშიშროება სულიერი და ემოციური სიმდიდრის გარკვეული ნაწილის დაკარგვისა. საბოლოოდ, თრაკლმა მაინც მიაგნო თავის ფიკერს, გეორგემ კი — თავის ბონდის. და თუკი თვალშისაცემი და ყოვლად სამარცხვინოა ის, რომ გასული ეპოქის ამ ორი დიდი პოეტის ლექსები არც ერთ მნიშვნელოვან გამომცემლობას არ დაუბეჭდავს, — ვგულისხმობ ისეთებს, მთელი გერმანული კულტურის მესვეურებად რომ ითვლებიან, — დაე, ეს ამ ორგანიზაციათა კულტურულ სინდისზე იყოს, — თუკი ამგვარი რამ გააჩნიათ, — მაგრამ დღეს მათ ვერანაირი საშუალებით ვეღარ ვაიძულებთ გასული ეპოქის შეცდომების გამოსწორებას. თუკი დიდი გამომცემლები საერთოდ ბეჭდავენ ლირიკას, ეს მუდამ ან კარგი ლირიკაა, ან, — როცა ამას წუთიერი მოდა მოითხოვს, — საშუალო დონის უბადრუკი ნაწარმი, გენიალური ქმნილება კი — არასოდეს. პოეტი ამ ფაქტს მაშინვე უნდა შეეგუოს, როგორც კი თავისი სულიერი მოწამეობის გზაზე შედგება. მას, ბოლოს და ბოლოს, მუდამ რჩება თუნდაც მცირე იმედი შემდგომი ეპოქებისა, როცა ყველა მოვლენას თავისი კუთვნილი ადგილი მოეძებნება; და კიდევ: სუსტი ნუგეში, რომ დღევანდელი კულტურის შიდა სტრუქტურა, მართალია, ზღუდავს არაორდინალური ნიჭის

**Gedanken zur Lyrik.** ტექსტი დაწერილია 1934 წელს. ქართული თარგმანი შესრულებულია გამოცემიდან: Josef Weinheber. Sämtliche Werke. IV. Band. S. 157-169. Otto Müller Verlag. Salzburg 1954.

გავლენას თანამედროვეობაზე (რაც, იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, ზოგადად ისტორიულ კანონზომიერებად იქცა), მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ვერ ანადგურებს. სულიერებისთვის ჭეშმარიტად მომაკვდინებელ სიტუაციას მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როცა მომავლის ლიტერატურული ავტორიტეტები დღევანდელი მისი შეფასებისას ჩათვლიან, რომ დღეს ყველაფერი წესრიგშია; რომ დიდი გამოცემლობები ქვეყნის საუკეთესო (მათი თვალსაზრისით, "გამოჩენილ") პოეტებს ბეჭდავენ და, რომ, თუკი დღეს რაიმე არ იბეჭდება, მაშასადამე, ნაგავია და არცაა დაბეჭდვის ღირსი. თავი დავანებოთ იმას, რომ, თუკი ამას დავეთანხმებით, მაშინ ყოველივე ის, რამაც გასულ ეპოქებში ვერ დაიმსახურა "პრეზენტაბელურ" გამოცემელთა მოწონება, – ანუ სწორედ ყველაზე პრეზენტაბელური შემოქმედნი, როგორც თრაკლი და გეორგე წინა თაობაში, – ასევე ნაგავად უნდა ჩათვალოს; და მაშინ ნაგავზე უარესი ყოფილა ის ავტორი, ვინც, შოპენჰაუერისა და ნიცშეს მსგავსად, თავისი უმნიშვნელოვანესი ქმნილებებისთვის საერთოდ ვერ მონახა გამოცემელი. ეს არგუმენტაცია უკვე იმის გამო იქნებოდა გაუმართლებელი, რომ მასში მეტისმეტად აშკარაა დიდ გამოცემელთა წინაშე მლიქვნელობა. არადა, ძნელია გადამეტებულად შეეფასოთ ის სავალალო შედეგი, რაც ამგვარ არგუმენტაციებს მოჰყვება ისედაც სულიერებისგან დაცლილ ჩვენს დროში, მით უმეტეს, ნაკლებად შორსმჭვრეტელი ადამიანებისთვის. ამ უკანასკნელთ სწამთ, რომ გამოცემლები და მათი კრიტიკოსები ღვთაებრივი სიბრძნით არიან დაჯილდოვებული, მათ მიერ დაბეჭდილი პოეტები საუკეთესონი და, საერთოდ, ერთადერთნი არიან, და ყველა, ვინც კი პასუხს აგებს ლირიკის ბედზე, – ეს კი, გარკვეულწილად, იმ ლიტერატურულ მონებსაც ეხებათ, გამოცემელთა სარეკლამო პლანტაციებში რომ მუშაობენ, – გულდამშვიდებული თვლის, რომ პოეზიას არაფერი აკლია.

სინამდვილეში კი პოეზიას ძალზე ბევრი რამ აკლია და ამ სიცარიელის ამოსავსებად არაფერი კეთდება. საზოგადოებაზე სატრიუმფო სვლით მხოლოდ საშუალო დონე აღწევს, ხოლო ჭეშმარიტი ფასეულობანი, შესაძლოა, არ ილუბებან, მაგრამ თანამედროვეობის წინაშე ღუმილი აქვთ მისჯილი. კვლავაც იმარჯვებს ძალადობა, ნაცნობობა, ყოვლად სამარცხვინო კონფორმიზმი, ან, საუკეთესო შემთხვევაში, კარგი სახელი, რომელიც მავანს არა ლირიკით, არამედ უფრო პოპულარული ჟანრით, რომანებით აქვს მოხვეჭილი. ლიტერატურულ ბაზარზე კვლავ და კვლავ მარცხდება თავმოყვარე რწმენა საკუთარი ნიჭისა, ხელოვნებაში



გაბატონებული რეკლამის მეთოდების წინაშე ზიზღი: ვგულისხმობ კარდაკარ წანწალის ამ დამამცირებელ პრაქტიკას, კაბინეტებში მლიქვნელობას, ერთმანეთის თვალთმაქცურ ქებასა და მოქრთამვა-მოთაფლვას. კვლავ და კვლავ, მარტოსულობა გენიოსის ირგვლივ იკვრება რკინის რკალად, რომლის წინაშეც სამყარო მდუმარედ გაქვავებულია. (მხოლოდ ღმერთსა და სულიერებას აბსოლუტურად დამორებული ხედვა თუ შეიტანს ეჭვს ამ მარტოსულობაში, – თანამედროვეობაში ვერასოდეს რომ ვერ ჰპოვებს გამოძახილს! – რომელიც გენიალურობის ყველაზე უტყუარ ნიშანს წარმოადენს, და ზიზღით შეაქცევს ზურგს, როგორც ხალხისადმი მტრულად განწყობილ აუტსაიდერობას: ან, შესაძლოა, ამას რაღაც სხვა ფორმულირება მოუძებნონ და თან წამქეზებლური მზერა გააპარონ იმ ვითომ-პოეტებისკენ, ვისაც "ფესვები ხალხის წიაღში უდგას").

საშუალო დონის ეს ყოჩაღი ტრიუმფატორები: დიახ, სწორედ ისინი, თვით გამომცემლებზე უფრო მეტადაც კი მტრობენ ჭეშმარიტ პოეზიას. ისინი მთლიანად თავიანთ დროში და თავიანთი დროით ცხოვრობენ, უნაშთოდ იხსნებიან მასში. ხოლო ზოგადად დრო, დღევანდელიობა, წარსულის ეპოქებზე მეტად, აღმერთებს რაოდენობას და ამიტომ ხელოვნებაშიც მოთხოვნის დონეს მაღლა კი არა, პირიქით, სულ უფრო დაბლა სწევს. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მის მიდრეკილებას მასობივი საქონლისა და ტექნიკური წუნისკენ. მისთვის დიადი, ცოცხალი, ნაღდი მხოლოდ ისაა, რაც ამწუთიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რადგან ბრბოს ის მოსწონს, რასაც ბაზარზე ფასი აქვს. საშუალო დონეს არც სინდისი აწუხებს, არც სირცხვილის გრძნობა. ის ბუნებით ოპტიმისტია და არაფრის წინაშე არ იხვევს უკან. და ამიტომაც იმარჯვებს. ასეთი გამარჯვებით დრო გამოხატავს თავის მაღლიერებას მათდამი, ვინც მას ანგარიშს უწევს. ხოლო ვინც ანგარიშს არ უწევს და, შესაბამისად, არც მისი მაღლიერებით სარგებლობს, – ვინც ბევრად უფრო დიადია, უფრო ცოცხალი, უფრო ნაღდი, – ის თავის ჯილდოს საკუთარ თავში ატარებს. ის დროზე მაღლა დგას, მის ლოზუნგებს არ ემორჩილება, დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს და სამარეშიც მდუმარედ ჩადის. ვინ გაამტყუნებს გამომცემლებს იმაში, რომ "სიმპათიურ არამზადებს" ანიჭებენ უპირატესობას? იმას ირჩევენ, რაც სტამბის ხარჯებს მაინც აუნაზღაურებს. ამაში კი მავანი კესტნერი დღესაც სჯობნის მავან ჰიოლდერლინს. ჰიოლდერლინს ას წელიწადზე

დიდხანს დასჭირდა ლოდინი, რათა ათასიოდე გერმანელისთვის ძლიერ სულიერ განცდად ქცეულიყო. კესტნერმა კი ერთ ღამეში მოიხვეჭა სახელი. და, თუკი ის დღეს, რაღაც შემთხვევის გამო, მივიწყებს, მისი ადგილი მაშინვე ოცმა მისნაირმა დაიკავა, მისგან, შესაძლოა, ლექსიკონით რომ განსხვავდება, ოღონდაც არა დონით. დღეს მათი ლექსიკონის უმთავრესი ცნებებია "ეროვნულობა", ხალხი და გმირობა. ნიშნები შეიცვალა, მაგრამ პრობლემა იგივე დარჩა. და გამანადგურებელი პროცესიც გრძელდება. ლიტერატურულ ავტორიტეტებს დღეს უკვე საერთოდ გადაავიწყდათ, თუ რა არის პოეზია. ენა, პოეტის გამოხატვის საშუალება, ნამალადევედ თავსმოხვეულ დანამატად ქცეულა. ლიტერატურულ პერიოდიკაში მიმდინარეობს მძიმე ხელჩართული ბრძოლა ისეთი ცნებების განსაზღვრებისთვის, როგორებიც არის ფორმა, იდეა, მასალა და სათქმელი. ტერმინი "სათქმელი" მათთვის მეტყველებას ნიშნავს, "მასალა" – განცდილს, "იდეა" – ახირებას, ხოლო "ფორმა" – ქარავმას, ოღნავ უფრო მაღალ დონეზე კი – სტილს. ცნება "სიტყვა" კი, პოეზიის თვითგამოხატვის მთავარი საშუალება, საეთოდ აღარავის ახსენდება.

ზემოთ თქმულიდან თავისთავად გამოდინარეობს აუცილებლობა, ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის პოეზია და დავასახელოთ მისი ძირითადი ელემენტები.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოეზია არის ენობრივი საშუალებებით გადმოცემული და გარედან აღქმულ სინამდვილესთან შეჯერებული ადამიანური განცდა. ამ ფორმულას, ცხადია, ამომწურავობის პრეტენზია ვერ ექნება.

იგი ღიად ტოვებს უამრავ შესაძლებლობას, მათ შორის იმასაც, რომ მისი წყალობით ნაკლებ ღირებული, მაგრამ გართობული ტექსტი შეიძლება პოეზიად ჩაითვალოს. მაგრამ თვით პოეზიის არსიდან გამომდინარეობს ის, რომ შემოქმედი ნატიფი ალლოთი უშუალოდ განცდისას უკვე ახარისხებს მასალას, დაჰყავს იგი კეთილშობილ მინიმუმამდე, განზოგადებულ იდეამდე, ზეგანცდილ სინამდვილემდე და ამით მუდამ უფრო ღიად, უფრო კონცენტრირებულ, უფრო დაწმენდილ ფორმას ქმნის. ამჯერად სულაც არ ვგულისხმობ იმ მარადიულ ორმხრივ გავლენას, რომლითაც ღიადი მასალა პოეტის პიროვნებას აკეთილშობილებს და, პირიქით, სულიერი არისტოკრატია მასალასაც კეთილშობილებას ჰმატებს; პოეტსა და განცდას სულ უფრო მკაფიოდ შეცნობილი კანონების ძალით აჰყავთ ერთურთი სიწმინდითა და ჰეროიზმით გამკაცრებულ

სულიერ მიდამოში. ახლა მხოლოდ ის მსურს შევნიშნო, რომ მხატვრული შემოქმედება როგორც ასეთი შეუძლებელია უღრმესად განცდილი ფორმის გარეშე, – ისეთი ფორმისა, შემოქმედებით პროცესში ორგანულად რომ იბადება სულისა და ხორცის – იდეისა და მასალის – თანასწორუფლებიანი ურთიერთგანზავების შედეგად და, ვინაიდან აქ სწორედ ლირიკას ვგულისხმობთ, პოეტური ენის სინამდვილეში დაილექება სათქმელის სახით.

მავანი იკითხავს: მაშ, საქმე ისევ და ისევ მასალის შერჩევაში ყოფილაო. დაახლოებით, აი, ასე: კეთილშობილ შემოქმედებას კეთილშობილი მასალა ესაჭიროება. არა, არავითარ შემთხვევაში. სინამდვილეში ასეა: ბიწიერი ნიადაგიდან წმინდა ქმნილება ამოიზრდება. ერთადერთი და შეურყენელი! ყოველივე შემთხვევითს, დროებითს, უფორმო ქაოსს შემოქმედი აზიდავს მაღლა, მარადიულის, სახიერის, სულის საუფლოში.

პოეზია არ განლავთ უბრალოდ მეტნაკლებად გამართული ლექსების წერა, რომლებშიც ერთეულების ან ზოგადი ტიპების მეტნაკლებად საინტერესო სულიერი მდგომარეობებია აღწერილი. პოეზიას აღწერასთან საერთოდ არაფერი აქვს საერთო; თუნდაც მათში, ვინც თავს პოეტებად თვლის, ურყევი რწმენა იყოს გამეფებული, რომ ლექსს აუცილებლად რაციონალური საზრისი უნდა ჰქონდეს, პოეტს კი, ასე თუ ისე, უნდა შეეძლოს "საკუთარი აზრის გამოთქმა". არა, ჩემო ბატონო: როგორც კი პოეტი რაიმეს თქმას, გამოთქმაც იწყებს, მისი პოეზიაც იქვე მთავრდება. და, რაც უფრო მკაფიოდ გამოთქვამს, მით უფრო კარგავს უფლებას, მიმართოს რითმას, რიტმს, პწყარის ზომას; ენის ქსოვილს და მის მაგიურ ძალას. თუ რამდენად დაკარგა ცნებებმა თავისი ჭეშმარიტი აზრი, ამის მაგალითისთვის ის ფაქტიც კმარა, რომ ამასწინათ ერთ-ერთი ლიტერატურული ავტორიტეტის მხრიდან ერთი პოეტისადმი მიმართულ საქებად სიტყვაში გაიჟღერა, მისი განცდა პირდაპირ და უშუალოდ გარდაისახებო პოეზიად – ამის საპირისპირო, შემოვლითი გზა, უეჭველად, სიტყვაზე გამავალი გზა უნდა იყოს – ერთადერთი შესაძლო გზა! ესე იგი, თუკი მოვისურვებთ, გართიშული საგაზეთო რეპორტაჟი შეიძლება პოეზიის მარგალიტად ჩავთვალოთ. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმე იმდენად მძლავრ და ცოცხალ გრძნობასთან გვაქვს, შემოქმედებით ნიჭს რომ აღარ საჭიროებს, რათა წმინდა ადამიანურად, ემოციურად შეგვძრას, ნაცვლად იმისა, რომ ესთეტიკური გავლენა მოახდინოს ჩვენზე. ჭეშმარიტმა შემოქმედებამ კი არ უნდა

შეგძრას. შემოქმედება გამოირიცხავს შემთხვევითობას. შემოქმედება სულიერებაა: ღვთის არსებობის უმარტივესი და უსწრაფესი დასაბუთება.

განუწყვეტლივ მეორდება მცდელობები ლექსის ხარისხის გარედან შეფასებისა. ასეთი თვალსაზრისისთვის გადამწყვეტია არა პოეზია, არამედ მსოფლმხედველობა. სწორედ ამ ყოველად უკუდმართმა შეხედულებაში მიგვიყვანა ეგრეთ წოდებულ პარტიულ პოეზიამდე, რომლის წიაღშიც პროლეტარული, ეროვნული თუ რელიგიური ბარდები მოღვაწეობენ. ამ, თავიანთი არსიდან გამომდინარე, იმთავითვე საეჭვო შემოქმედათათვის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია პოლემიკის სიმწვავე და დიალექტიკა. აქ ყველაზე უმსგასო ნაჯღაბნიც კი მაღალ ხელოვნებად ირაცხება, ოღონდ კი ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს. რაც უფრო გაცხარებული, არეულ-დარეული და უდისციპლინოა, მით უფრო "გენიალურად" აღიქმება. რაკილა ამ დროს შემოქმედებას გარედან უდგებიან, ამბობენ, შემოქმედი ტრადიციულ ფორმას ანგრევსო. მაგრამ როგორ უნდა დაანგრიო ის, რაც ხელთ არასოდეს გქონია? რაღაც უღრმესი შინაგანი კანონის გარეშე ადამიანის მთლიანი, ხანგრძლივი, დიდებული ცხოვრება ვერ ჩაეწყობოდა ასე სრულყოფილად "ღამის მგზავრულის" რამდენიმე პუკარში, ჩვენთვის, გერმანელებისთვის, სიწმინდედ რომ ქცეულა. ამავე უღრმესი კანონის გარეშე პოეტი ვერ ჩააღწევდა საკუთარი არსის უშინაგანეს წიაღში, რათა იქ ლექსი ეპოვნა (ჰიოლდერლინი, "პარკებისადმი"); ვერ მისწვდებოდა სულის უძვირფასეს ბირთვის, რომელიც ღვთიური წესრიგის მისთვის ბოძებულ ნაწილს იტევს, რათა იქ საკუთარ თავთან ამაღლებული შეხვედრა ეზეიმა; ვერ იპოვნიდა სულის მარგალიტს, რომელშიც ადამიანის ტკივილი და მონატრება, მშვენიერება და კეთილშობილება ერთადერთ უკანასკნელ სიტყვად ქცეულა.

ჩვენი დროის მჭახე, უმოწყალო შუქი თვალებს გვჭრის და იმის დავიწყებას გვაძიულებს, რომ პოეტს, ჩვენს შორის უბრალო ადამიანად რომ დაიარება, რაღაც მისტიურ-ლეგენდარული, გონებისთვის მიუწვდომელი დავალება აკისრია; მოწოდება, რომელიც აღემატება დროს. დღეს მას მხოლოდ და მხოლოდ მომხსენებლის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის სპიკერის როლი შერჩა, მას ნებას რთავენ, გამოვიდეს სიტყვით თუ პლაკატით, პროგრამები წარმოადგინოს და პრობლემები გააშუქოს. ეს ჩვენთვის მისაღებია, ამისთვის პოეტს ხოტბას ვასხამთ, ვადიდებთ და ვაჯილდოებთ, შემოგვყავს ის ჩვენს დიდ სამყაროში, რათა მალევე, პროგრამების სწრაფი ცვლის გამო, კვლავ გამოვრიყოთ,

ყოველგვარი მნიშვნელობა წავართვათ და მსწრაფლ დავივიწყოთ კიდევ. ხოლო ის, მეორე, ზედროული, უწინდებურად მანსარდებსა და კიბისქვეშა კუნჭულებში ბინადრობს, საწერ მაგიდასთან იბუჩება, პატარა, უდიდამო ქალაქების ქუჩაბანდებში დახეტილობს ვერშეცნობილი, ჯიბრიანი, განმარტოებული, მხოლოდ ერთ-ერთი ინდივიდთაგანი და – მაინც: მთლიანი, დაუნაწევრებელი, ბრბოს სამყაროსთან, ბაზარზე გაყიდულ კაცობასთან მტკივნეულად, მარტოსულად მორკინალი; სულ უფრო შორდება დღევანდელობას, სულ უფრო უანლოვდება დიად და ნათელ აუცილებელს. თავის მოდემასთან მას უკვე მხოლოდ მისი უკიდურესი არსი და ქმნილება, ენაღა აკავშირებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს დროში ხელოვნების არც ერთი სფერო ისე არ დაშორებია მისთვის ნაბოძებ გამოხატვის საშუალებებს, როგორც პოეზია. მოქანდაკე, – რომლის დარგთან პოეზიას უეჭველად ძალზე ბევრი აქვს საერთო და ბევრად უფრო ღრმა კავშირი აქვს, ვიდრე მუსიკასთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მუსიკის ნაკლებწარმოსადეგ, ღარიბ ნათესავად ითვლება, – მოქანდაკე ზუსტად უნდა იცნობდეს ბრინჯაოსა და ქვის, ფოლადისა და ხის მატერიალურ თვისებებს. პლასტიკური სამყაროს შემოქმედებით შესაძლებლობებთან გაშინაურებული უნდა იყოს, უნდა შეეძლოს საჭრეთლისა და უროს ხმარება, თუკი ერთი უხერხული დარტყმით მშვენიერი, უზარმაზარი ლოდის გაფუჭება არ სურს. და პირიქით: მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი უგუნური შეგირდი, ხელსაწყო თვალითაც რომ არ ჰქონდეს ნანახი და მაინც გაბედოს, საჭრეთლითა და უროთი მიადგეს მარმარილოს ლოდს თუნდაც ყველაზე მოუხეშავი ლაოკონის ამოსაკვეთად. აი, პოეზიაში კი, რომლის გამოხატვის საშუალება, ენა, ყველაზე უფრო საჯარო, მაგრამ, აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტი წინააღმდეგობის გამწევი მედიუმი, ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ადამიანებს, მიცემით და ნათესაობით ბრუნვას შორის არჩევანის გაკეთება რომ უჭირთ: მათთვის ეს უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე კაცობრიობის ხსნა ანდა ამა თუ იმ ეთნოსის ერად ჩამოყალიბება; ვხვდებით ამპარტავან პირველკლასელებს, გრამატიკის უცოდინრობით რომ ამაყობენ, აქაოდა, ეს უშუალო, თავისუფალი მდგომარეობა ხელს გვიწყობს, ჩვენს თემებს ჩაუვლრმავდეთო; უნამუსო დილეტანტებს, ვინც ხელოვანის წოდებას მხოლოდ იმიტომ იფერებს, რომ გარკვეული თემები ალელვებთ, მაშასადამე, ერთი დღისთვის წერენ, და საკუთარი პოზიცია გააჩნიათ, მაშასადამე,

იმთავითვე არიან განწირული ხელოვნების სერიოზულად აღუქმელობისთვის. არსებობდა მთელი მიმდინარეობები, — და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ასე რომ, ეს ჯერ კიდევ უნდა გვახსოვდეს, — თავის საზეიმოდ გაცხადებულ მოწოდებას გერმანული ენის საგანძურის მოსპობა-გაუქმებაში რომ ხელავდნენ (დადაიხში). მათი წინამძღოლები ლიტერატურის ისტორიაში შევიდნენ, რაც დღესაც აძლევეთ მათ შესაძლებლობას, თვიანთ დანაშაულს ისტორიული გამართლება მოუნახონ. მათი ჰეროსტრატეები დიდება დღესაც არაერთს შეაცდენდა ამ უმსგავსობის გასამეორებლად, რომ არა ახალი სერიოზულობის ანგელოზი, ცეცხლოვანი მახვილით რომ უღობავს ქარაფშუტებს ლიტერატურული სამოთხის კარებს.

და კიდევ: პოეზიის გარდა ხელოვნების რომელ სხვა დარგში გაბედავს დილექტანტი ასეთი სწრაფი, პრეტენზიული და უაპელაციო განაჩენის გამოტანას? დილექტანტებს ამ შემთხვევაში გამოძცემელთა უმეტესობასა და მათთვის მომუშავე კრიტიკოსებს მივაკუთვნებ, რომელთა შეხედულებები კარგ და ცუდ პოეზიაზე გაზეთის რიგითი მკითხველის აზრს ემთხვევა და რომლებიც ლირიკას შეუდარებელი დაუფიქრებლობით უქცევენ გვერდს, რამეთუ მუდამ სარფიან საქონელზე არიან დაგეშილნი: ამას ისინი წყეულმა პროზამ მიაჩვია, რომელიც მათ მიერ გამოცემულის უდიდეს ნაწილს შეადგენს. პოეზიის გარდა რომელ სხვა ხელოვნებაში უარყოფენ თვით ხელოვანნი თავიანთ დარგს, თავიანთი მასალის საზრისსა და მშვენებას? სად გინახავთ, რომ მოქანდაკემ გალვანოპლასტიკოსი, მხატვარმა კი ფოტოგრაფი გამოაცხადოს შემოქმედად, საკუთარი თავი კი — გადმონაშთად ისეთი მოძველებული სამყაროსი, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი რეგრესული ფენომენი, როგორიც კულტურაა? და პოეზიის გარდა სხვაგან სად ეძლევათ მხატვრული ფასეულობის საჯაროდ განსჯის თუ იგნორირების, ლიტერატურის ისტორიაში განთავსების ან სამარცხვინო მიჩუმათების უფლება აბსოლუტურად უცხო პირებს, წარმოდგენაც რომ არ გააჩნიათ არც პოეზიის, არც სიტყვის და არც განცდის არსზე? სხვა რომელ ხელოვნებაში გინახავთ, წერა-კითხვის უცოდინარი უკანასკნელი ხეპრე სულიერების სფეროში გაერიოს, სადაც, მართალია, გერმანული ჟღერს, მაგრამ ეს მისი ენა არ არის; სად გაბედავდა ტყიდან გამოვარდნილი ვანდალი, — ვისთვისაც რომელიმე საფოსეული პწკარი უკვე იმიტომ არის საზარელი, რომ ის, სავსებით შესაძლებელია, სპარსული აფორიზმი გამოდგეს, და, ცხადია, იმიტომაც, რომ

ცხოვრებისეული გარემოებები ამგვარ რამეებზე უფრო მნიშვნელოვანია, — ჩათვალოს თავი მნიშვნელოვან და ბრძენ პიროვნებად, პოეტებს კი გამოუსწორებელი სულელები უწოდოს?

სწორედ ამ საყოველთაოდ გავრცელებულ და გაცვეთილ არგუმენტს, რომ სიცოცხლე ხელოვნებაზე უფრო მნიშვნელოვანია, და რომ ენაში არაფერია იდეალური და რთული, რაკილა მას ნებისმიერი იყენებს, ხოლო, რაც ამას აღემატება, უბრალოდ გადაპრანჭულობაა; ბარბაროსთა ამ ყველგან მჟღერ და ყველგან გამარჯვებულ ხმას, რომელსაც ემატება მათი ხმებიც, ვისთვისაც ლიტერატურა ბიზნესია, ანუ გაზეთებისა და გამოცემებისა, — უკულტურობისა და უსულგულობის მატარებელი ამ უძრავლესობას უნდა ვუმაღლოდეთ დღეს ამდენი კონფორმისტი ვაი-შემოქმედის მოძალეებულ პარპაშს: მათი, ვინც ნებისმიერ ეპოქაში "საკუთარი დროის ღირსეულ წარმომადგენლად" რჩება. ეს ადამიანები პოეტურ სიტყვაზე იმთავითვე ამბობენ უარს. იმდენად არიან დაკავებული, რომ ფიქრის, ოცნებისა და ქმნადობისთვის არ სცალიათ. თუმცა ერთმანეთს პოეტებს უწოდებენ, თავიანთ ბარბაროსულ საქმიანობას კი სულაც "ერთადერთ შესაძლო პოეზიად" აცხადებენ, ხოლო დრო, ეს ურჩხული, მათ მუდამ მონურად უხრის ქედს. მაგრამ ეს არ გახლავთ პოეზია. ესაა წერა დღევანდელი დღისთვის, გამოყენებითი ლირიკა, რომელსაც ასე იმიტომ ვუწოდებთ, რომ ვერაფერში გამოვიყენებთ. როცა კი შემოქმედებით სახელოსნოში რომელიმე სუსტი პიროვნება მოხვდება, — ან კი საერთოდ რამდენია ჩვენს შორის ძლიერი?! — ეს მორევი მასაც იმწამსვე ჩაითრევს და ეს ნებისმიერ ეპოქაში ასე მეორდება. აქ უკვე ნაკლი ღირსებად ცხადდება: არ გვსურს კაზმული ენით წერა, სიტყვა-კაზმულობა მყიფე ესთეტიზმიაო. გვსურს აღვწეროთ ის, რასაც ვხედავთ, — უბრალოდ ცხოვრება. ასე გამოსთქვამენ ისინი თავიანთ მრწამსს. სურთ იყვნენ ის, რასაც დრო ითხოვს მათგან: რეპორტიორები. და, რაკილა ყველაფრის გამოსათქმელად ხმა არ ჰყოფნით, ან იქნებ იმიტომ, რომ ჰგონიათ, ლირიკით უფრო იოლად გავლენ ფონს, უფრო ხშირად მელექსე-რეპორტიორობას ირჩევენ. სურთ იყვნენ რიგითი მოქალაქე: არა გმირი, არა წინასწარმეტყველი, არა იდეალი, — არა, ბატონო! უბრალოდ ერთ-ერთი ხმა მასაში, რომელიც ისევ და ისევ მასას მიმართავს, თავს იმდაბლებს მისი უკანასკნელი წარმომადგენლის დონემდე, რათა ამ უკანასკნელმა გაუგოს. დღეს სიდიადე აღარავის სჭირდება; რადგან ის მუდამ მარტოდ და გაკიცხულად რჩება. ხოლო ამათთვის რაოდენობა

გადამწყვეტი, წარმატების საიდუმლოს კი იმაში ხედავენ, რომ ბრბოს ღრიალს მიაყურადონ და თავადაც მას მიბადონ. რა საკვირველია, ამგვარი "პოეზიის" ენა უკვე ვეღარ იქნება მასალისა და იდეის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი, უზუსტეს კანონებს დაქვემდებარებული ფორმა; ეს აღარ არის ენა, რომელიც თავისი განყენებულობითა და მაღალფარდოვნებით სწორედაც რომ სცილდება ყოველდღიურ სალაპარაკო ენას და ახალ, პოეტურ ელემენტად გვევლინება. ამ ადამიანთა ენა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება: ეს არის ყველაზე მდაბიო ყოველდღიური ენა, შეზავებული პოეტური და პათეტიკური ელემენტებით, რაც მთლიანობაში აბსოლუტურად არაორგანული, გადაპრანჭული და გულსაკლავი ნაზავის ეფექტს ქმნის, ისეთსავეს, როგორც – ახალთახალი ტყავის ხელთათმანები ქუჩის მომღერლის ხელებზე.

ნებისმიერ ეპოქაში ასეთი ადამიანები სწრაფად იკვლევენ გზას და არცხვენენ პოეტის სახელს როგორც ფორმალური, ისე მორალური თვალსაზრისით. რადგანაც მათ ფესვი უდგათ ყოველდღიურობაში, მის სასარგებლოდ ზიზღით უგულებელყოფენ პოეტურ ელემენტს. დღევანდელი მდგომარეობის რუპორად ქცეულნი, უპირატესობას ანიჭებენ იაფფასიანს, წარმავალს, მიზნობრივს, რაციონალურად შეუცნობელ ხელოვნებას კი უგულებელყოფენ. ენა მათთვის მხოლოდ საკუთარ შეხედულებათა ცუდად გამოთქმის საშუალებაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ყოველად გაუგებარია, საერთოდ, რად არ ამბობენ უარს მათი უნიჭობის მაშხილებელ რითმასა და სტროფზე და რატომ არ ანიჭებენ საკუთარ პოეტურ მანიფესტაციებს უფრო შესაფერის ფორმას, მოკლედ – რად არ მიმართავენ ერთ ღამეში შეითთხნილ, ეფემერულ ჟურნალისტურ პროზას. გამაგებინეთ, ასე დაჟინებით რატომ ცდილობენ თავიანთი მოწოდებების, მანიფესტების, ჩანახატების, საგაზეთო წერილების გალექსვას, რატომ კეპავენ სტროფებად მთელი ამ უბადრუკი ყოველდღიურობის უბადრუკ გადმოცემას, – თუნდაც ეს უგაჭირვებულესი სტროფები იყოს?!

აქ მართლაც რომ უღრმეს იარას ვეხებით ხელით. აქ თავს იჩენს საშიშროება საზარელი უმსგავსობისა, თავს შემოქმედებად რომ ასაღებს, ხელოვნებას ეტმასნება, იყენებს ლექსს გულუბრყვილობა პათივისციემის და ამა სოფლის ძლიერთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამაში უდიდესი საფრთხე იმალება, რამეთუ შემოპარული ფსევდოშემოქმედება, – ეს შემოგდებული მანინჯი ბავშვი, – ჭეშმარიტ პოეზიას სიცოცხლესა და სახელს აცლის. ამ გზით აღწევენ ჩვენამდე ღვაწლმოსი-



ლი ავტორიტეტები, "დიადნი" და "უდიადესნი", ერთი ეპოქით რომ უცვლიან იერსახეს ხელოვნების თავიანთ სფეროს; მათ წალეკეს ლიტერატურული ბაზარი, თავიანთი გულისამრევი სარეკლამო ავტობიოგრაფიებითა და განსჯებით აავსეს ლიტერატურული დანართები და ჟურნალები. ისინი იკავებენ პოეტის ისედაც ძალზე ვიწრო საარსებო ნიშას, წამყვანი სიტყვა უკავიათ კულტურულ ორგანიზაციებში, არიან დაჯილდოვებული და აღიარებული; ისინი ქმნიან უნიჭობის შეუვალ წრეს, რომლის გარღვევა არც ერთ გენიოსს არ ძალუძს. თუ ისინი ერთ დროს პროლეტარული და ეროტიკული პოეზიის წარმომადგენლები იყვნენ, დღეს ევროპის სახალხო, ეროვნულ, ჰეროიკულ პოეტებად ქცეულან. ლიტერატურული სნობების სალონებში იშვებენ და აბუჩად აიგდეს შრომის ოფლიც და პატიოსნებაც, – ყველაფერი, რაც ჩვენთვის ძვირფასი და წმინდაა. აი, ენას კი მაინც ვერაფერი მოუხერხეს. პოეზიით დაინტერესებულთა წრე ისედაც ძალზე ვიწროა და, ვისაც ამათი უხამსი ხელოვნება ამოუვა ყელში, კვლავაც უფრო სუფთა და კეთილშობილ წარსულს დაუბრუნდება. მათ ხელოვნების მთელ დარგს შეუღალხეს სახელი, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს და მასხრად აიგდეს; და ცოდნა იმისა, რომ ლიტერატურული მოდის მომდევნო ახირება მათ სამუდამოდ გააქრობს ჰორიზონტიდან, დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ჭეშმარიტად გერმანული კულტურული პოლიტიკის უპირველეს ამოცანად ამ გაქნილი მოწინავე არარაობების იზოლირება ან, ყოველ შემთხვევაში, მათი ამბიციების მოთოკვა უნდა იქცეს. მაშინ ჰაერი გაიწმინდება, მხარეები შეთანხმდებიან და ტერმინებსა თუ ცნებებზე კამათიც დასრულდება. მხოლოდ დიდ გამომცემლობებზე ოფიციალური ზეწოლით, რასაც დაინტერესებული მხარე მოითხოვს, საზოგადოების სულიერ გამოფიტვასთან ბრძოლაში ვერაფერს გავხდებით.

## ღირსება და პატივი სულიერი შრომისა

(წაკითხულ იქნა 1943 წლის 12 მარტს ვენის რატუშის მცირე დარბაზში)

იმედია, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, ახლა ჩემგან არ მოელოთ, რომ ზეპირად ან თუნდაც წინასწარ ჩამოწიკვიკებული, მეთოდურად უნაკლოდ აგებული კონსპექტის მიხედვით წარმოგიდგინოთ თემას სულიერი (geistig) შრომის ღირსებისა და პატივის შესახებ. მე არათუ ორატორი, ბოლომდე ჩამოყალიბებული პროზაიკოსიც კი არა ვარ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღევანდელ საზოგადოდაც და კერძოდ კი სულითვის (der Geist) განსაკუთრებულად საბედისწერო დროში მნიშვნელოვნად და დროულად მიმაჩნია, რომ სულიერმა მუშაკმა გამოსატოს თავისი პოზიცია სულიერი შრომის მნიშვნელობის მიმართ და, შეიძლება, მეცნიერულთან შედარებით ზერელედ და იმპულსურად, მაგრამ მაინც შეეცადოს მის გაშუქებას. მოგიწევთ აგრეთვე ჩემი იმპრესიონისტული გამოსტომების პატიება, რომლისთვისაც უცხო არ არის ერთხელ უკვე ნათქვამის უნებური გამეორება, მხატვრულ სახეთა და ცნებათა აღრევა და ხანდახან გაცვეთილი ფრაზების მოხმობაც კი.

ამავე დროს, ყველანაირად შევეცდები, რომ მათგან გავმიჯნო ღირსებისა და პატივის, სულისა და სულიერი შრომის ცნებები. ღირსება და პატივი: ასე მგონია, რომ ეს ორი სიტყვა აღნიშნავს ერთ საგანს, რაღაც აღმატებულს, კეთილშობილს. სინამდვილეში კი კეთილშობილების ცნებადღე მას აკლია ერთი პატარა დამატება წესისმიერი კანონზომიერების, სრულყოფილი ჰარმონიის, კოსმიური თანხმიერებისა და სილამაზის სახით.

მამასადამე, ჩვენ არ ვაპირებთ ღირსებისა და პატივის ცნებათა ცალ-ცალკე განმარტებას. ისინი ზომ რაღაც მომენტში გადაკვეთენ ზოლზე ერთმანეთს. მაგრამ, ალბათ, ენა მოგვეჩმარება იმაში, რომ რაღაცნაირად მაინც გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისგან. ამის მერე ვიდაცას პატივი მიეგება, მაგრამ არა – ღირსება. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ვინმეს ღირსება და პატივი ერთდროულად მიეგოს. შესაძლებელია,

---

**Würde und Ehre der geistigen Arbeit.** ქართული თარგმანი შესრულებულია გამოცემიდან: Josef Weinheber. Sämtliche Werke. IV. Band. S. 130-154. Otto Müller Verlag. Salzburg 1954.

ვინმეს პატივი ჩამოერთვას და ამისთვის საკმარისი იყოს რომელიმე არაარიელის განქიქება და გაბიაბრუება, საერთოდაც რომ არ ვახსენოთ შოპენჰაუერის მოსაზრება პატივის შესახებ. მაგრამ შეუძლებელია ღირსება აპყარო იმას, ვინც მართლა ფლობს ამ ღირსებას; დიდი-დიდი, ამ ღირსების რეგალიებს თუ ჩამოართმევ. ნამდვილი მეფე ყოველთვის მეფედ დარჩება, თუნდაც წაგლიჯონ მეფური მოსასხამი მხრებიდან. ცნებასთან “პატივი” ჩვენ ყოველთვის ვაკავშირებთ რაღაც დანაწევრებულს, ცნებასთან “ღირსება” კი – რაღაც საყოველთაოს. არსებობს პირადი, თანამდებობრივი, ეროვნული პატივი. მაგრამ არსებობს ერთი ძირითადი ღირსება და ეს არის ადამიანური ღირსება. რა თქმა უნდა, მისი დახარისხებაც ხდება ადამიანურობის ზომის მიხედვით, გარკვეულწილად იგი იღებს სხვადასხვა ფერს ადამიანურ-ეთიკური შინაარსების შესაბამისად. რიკმა კულის\* ღირსება, ადამიანის თვალით დანახული, იგივეა, რაც ღირსება ნებისმიერი ნათელმზილველისა. ამის მიუხედავად, ერთის ღირსება მაინც არ ემთხვევა მეორისას. ალბათ, შეგვიძლია იმის თქმა, რომ სიტყვა “პატივი” აღწერს ადამიანურობის ხარისხს გარედან, სიტყვა “ღირსება” კი – ჩვენი ეთიკური “მე”-ს ზომას შიგნიდან, ჩვენსავე თავში. მამასადამე, პატივის მინიჭება შესაძლებელია, მათ შორის დაუმსახურებლადაც; ეს დამოკიდებულია ადამიანთა და ეპოქათა შეხედულებებზე. ღირსება კი უნდა დაგვევს. პატივი არის მოწოდება, ღირსება კი მოცემულობა. პატივი არის ის, რასაც მოველით ჩვენივე ღირებულებისა თუ საქციელის შესაბამისად გარემომცველი სინამდვილისგან, თანამედროვე თუ მომავალი თაობებისგან და ვიღებთ კიდევ ყურადღების, სახელისა თუ აღიარების სახით. მამასადამე, პატივის დადასტურება უნდა ხდებოდეს მუდმივად. თუნდაც ერთი წამის განმავლობაშიც თუ შეწყდა, წასულია უკვე მისი საქმე. ღირსება კი პირიქით, იმანენტურია, ანუ მუდმივი და შინაგანია. სხვა თანდაყოლილ თვისებათა მსგავსად, არც ის საჭიროებს დადასტურებას და გარედანაც ვერ დაანგრევ. მას ვერ ატარებ, ღირსებით უნდა იცხოვრო. ამიტომაც არის შეუძლებელი სიტყვა “ღირსების მატარებელი” – მას ხომ პირდაპირ ბიურგერული ფარისევლობის ბეჭედი აზის.

თუკი გავაერთიანებთ ორივე ცნებას და დავუკავშირებთ გონებას, იოლად შევამჩნევთ, რომ აქ საქმე ეხება მნიშვნელოვან ადამიანურ საგნებს, უფრო სწორედ, უმნიშვნელოვანესსაც. ადამიანი წარმოგვიდგება

\*ადამიანი-ტაქსი ინდოეთში.

სულით დაჯილდოებულ, ყველაზე მაღლამდგომ არსებად. იგი, თავისი უპირატესი არსებობის წყალობით დგას საგანთა შუაგულში. სულიერის პატივი და ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა მოხდეს სულის ღალატი. სულით დაჯილდოებულმა თავი უნდა იგრძნოს არა გამოჩეულად, არამედ – დავალებულად. მან უნდა დაიცვას და გამოკვებოს პრომეთეს ცეცხლი, თუნდაც საკუთარი ბედნიერების ფასად: *ad maiorem humanitatis gloriam!*

რატომ ვუწოდებთ ადამიანებს სულით დაჯილდოებულებს? ადამიანური ყოფა განსხვავებულია სხვა დანარჩენთაგან ენის ფენომენის მეშვეობით. იმ დროს, როცა ადამიანი თითოეულ საგანსა და მოვლენას თავის სახელს აძლევს, იგი ამავე დროს ქმნის კიდევ მათ, კიდევ ერთხელ ქმნის სამყაროს არასავნობრივ სფეროში; იმავე დროს, როცა იგი ენის მეშვეობით საგნებს და მოვლენებს ერთმანეთს უკავშირებს, ამით ქმნის მყარი სახის ცნებებს, ხოლო იმ ბუნდოვანი სულიერი გრძნობის დაძლევიტ, რაც საერთო აქვს უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ, წუთიერ შთაბეჭდილებაზე რეაგირებად ცხოველთან, ბადებს ახალ და განსაკუთრებულ მიღწევას, შესაქმის უმაღლეს შედეგს – აზრს. რადგან ამ შედეგს ზეციტ მონაბერ სამყაროში ბადალი არ გააჩნია და რადგანაც თავისი ბუნების მიხედვით იგი სრულიად არასავნობრივი და არასავნობრივად სრულია, იგი მას აყენებს მის მიერ “ღვთიურად” შერაცხულის სიახლოვეში, უფრო სწორად – შუაში. ლოგოსი არის როგორც “სიტყვა”, ასევე “სულიც” და ასევე ღვთიური სუბსტანციაც. “*Et verbum caro factum est*”; ენა, ეს სრულიად არასავნობრივი რამ, აღიქმება ღვთიური არსის ნასხლეტად სავნობრიობის სფეროში – ხორცში. მასში და მისი მეშვეობით უკავშირდება ქმნილება თავის შემოქმედს. ლელიგიო – მჭიდრო კავშირი – აქვს მართო მას, ვინც იცის სიტყვა და ფლობს სიტყვას. ცხოველი არარელიგიურია, რადგან მას არ გააჩნია სული და რწმენა.

თუკი ბერძნულში, ამ ყველაზე განვითარებულ და ამდენად სულიერად ყველაზე მაღლა მდგომ ენაში “სიტყვა” და “სული” ერთი და იმავე ბგერებით შეიძლება გამოიხატოს, ჩვენც უფრო მძაფრად არ უნდა შევიგრძნოთ ამ ფაქტის საფუძვლიანობა და მნიშვნელობა? ამაში ცხადდება, სულ ცოტა, მუდმივი ურთიერთზემოქმედება გონსა და ენას თუ სიტყვასა და აზრს შორის. აქედან გამომდინარე, უკვე აღარ გვიძნელდება, გამოვყოთ “სულიერის”, როგორც ქმედების, ან მოძრაობის ცნება, რომელიც გადმოედინება ღვთისგან და ენის გავლიტ კვლავ უკ-

ან, ღვთისაკენ მიისწრაფის. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს არის ცნება ქმედებისა ანუ მოძრაობისა, რომელიც შემოქმედის ნებით და ადამიანურობის ყველაზე მაღალი გამოვლინების – აზროვნების, აგრეთვე ნააზრევის მოწესრიგებული გამოხატვის მეშვეობით ახლებურ-შემოქმედებითად და ლამაზ-ადამიანურად წარმოაჩენს ადამიანურობას.

აი, უკვე ძირამდე ჩავვლით და ფესვებსაც მივადექით. სულიერი ქმედების ან მოძრაობის ცნება გადაიფარება ცნებით *humanitas\**, რადგანაც ამ სიტყვაში კიდევ სხვა რამე იმალება, გარდა უბრალოდ “ადამიანურობისა”, დაუკვირდით – “*humanitas*”- ამ სიტყვაში ხომ მთელი დასავლეთეუროპა თანახმიანობს და რეზონანსს გამოსცემს; ამიტომაც, მოდით და სულიერი შრომასთან დაკავშირებული ჩვენი დაკვირვებანი განვათავსოთ ამ ღრმადპატივცემულ სივრცეში, რომელიც წარმოადგენს ყველა ჰუმანიტარის როგორც მშობლიურ, ასევე მოსასვენებელ ადგილს. ყოველივე ადამიანური ამ სივრცის გარეთ ხომ არა ჩვენებურია და არა აქვს მნიშვნელობა, თუნდაც იგი მოქცეული იყოს ჩვენზე უფრო მაღალგანვითარებული კულტურის სივრცეში. დასავლეთეუროპელი ადამიანი განსაკუთრებული სახეობაა, იგი თავისი სისხლით, ბედისწერითა და ტრადიციებით მჭიდროდ არის მიჯაჭვული თავის კულტურულ წრესთან, თუმცა, ამავე დროს, იგი გახსნილია სხვა კულტურულ სივრცეთა განსხვავებულობებისა და თავისებურებების აღსაქმელად მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ადვილი შესამჩნევია, რომ მრავალი ცნება განსხვავებულ კულტურულ სივრცეთა წარმომადგენელს სხვადასხვანაირად ესმის, მათ შორის ჩვენგან განსხვავებულადაც და ეს – როგორც ზნეობრივ-რელიგიური, ასევე საერო თვალსაზრისით. იგივე და სრულიად განსხვავებულაც შეიძლება ითქვას ცნებაზე *შრომა*. ხშირად სრულიად ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები არსებობს მისი მნიშვნელოვნებისა თუ უმნიშვნელობის, მისი აზრიანობისა თუ უაზრობის შესახებ ცალკეულ კულტურულ სივრცეთა თუ ხალხთა შიგნით. თვით ერთი და იმავე ხალხის წიაღშიც კი, ხანდახან, პრობლემური ხდება შრომის დახარისხება სახეობების მიხედვით; ხოლო კამათი იმაზე, ფიზიკური შრომა უფრო საჭიროა თუ სულიერი, ისეთივე ფუჭია, როგორც იმის ძიება, ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი. ხოლო ჩვენ, მკაცრი კლიმატის გამო, იძულებული რომ ვართ მიწას ძალით გამოვვლიჯოთ სარჩო-საბადებელი, გვინდა თუ არ გვინდა, ერთხმად უნდა ავუბათ მხარი ყველა სახის შრომას.

\*ადამიანურობა, ჰუმანიურობა.

ჩვენი სოციალური წყობა სტრუქტურულად ისეა ჩახლართული, რომ ყველანი დამოკიდებულნი ვართ ერთმანეთზე. უმუშევარი პარაზიტობს საერთო ძალების ხარჯზე. თავისთავად მას არა აქვს სიცოცხლის უფლება, ჩვენ მას ვთვლით ისეთ ასოციალურ ელემენტად, რომელიც ან უნდა გამოსწორდეს, ან უნდა ამოიძირკვოს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანისთვის საერთო დაძაბული შრომა ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, იგი მაინც არ უნდა იქცეს თვითმიზნად. ჩვენი სიჯანსაღისა და სასიცოცხლო ძალების დადასტურებაა ის ფაქტი, თუ როგორ ერთნაირად გვაბნევს ხოლმე როგორც იმ პირველყოფილის მსოფლალქმა, რომელიც უზრუნველად ცხოვრობს მოწყალე ცათა შინა და ტკბილ უქნარობაში ხედავს იმ უდიდეს ბედნიერებას, რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე, ასევე – იმ აღმოსავლელის მეოცნებე, უნაყოფო აზროვნების წესი, რომელიც საკუთარი ჭიპის მღუმარე ჭვრეტაში ცდილობს ჩაიკლას საქმისადმი ნებისმიერი ლტოლვა, რადგან მოძრაობა ხომ ბოროტებაა და საქმეს კი შეუძლია შეცვალოს იმწუთიერი ინერტული მდგომარეობა, ანუ გამოიწვიოს უსიამოვნება და მოიჭანოს უფრო მეტი ვნება, ვიდრე – სიხარული. სურსათის, სახლ-კარის, ქონებისა თუ სხვა მატერიალური სიკეთის გაჩენა ჩვენ უნდა გვეხმარებოდეს იმაში, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ხალხის ცხოვრება ღირსეულ, ცივილიზებულ დონეზე, თანაც იმგვარად, რომ ნამატი პროდუქტი მოვახმაროთ არა უაზრო ფუფუნებას, არამედ – ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას, ადამიანურობის უფრო ღირსეულ ფორმირებას, ანუ კულტურას.

ვფიქრობთ, მოვახერხეთ, თუნდაც მინიშნების დონეზე, გვეჩვენებინა თანაფარდობა მატერიალურ, ანუ იძულებით შრომასა და სულიერ, ანუ შემოქმედებით საქმიანობას შორის. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სულიერი, ანუ შემოქმედებითი შრომა ჩაითვალოს ზერელე შრომად, ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით. თუმცა, მართლაც ხომ ხდება და არც თუ ისე იშვიათადაც, რომ ცალკეული ინდივიდები და თვით ხალხის ის ნაწილიც კი, რომელიც ქანცგამწყვეტი ფიზიკური შრომით არის დაკავებული, არ ცნობს სულიერი პროდუქციის მნიშვნელობას და საფუძვლიანობას. არასულიერი ადამიანი ხომ მხოლოდ იმ მოთხოვნილებებს ცნობს, რომლებიც პირადად მას გააჩნია და მხოლოდ იმას თვლის თავის თანასწორად, ვისაც შეუძლია მათი დაკმაყოფილება. იგი ხომ ისეა განწყობილი, რომ არ შეუძლია სადღეისო პრობლემებზე ამაღლება და ფართო აზროვნება. ამის მიუხედავად, უნდა ითვლებოდეს, რომ ხალხს, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია კულტურა, ან ასე დამახინჯებულად აზროვნებს,

იმის პრეტენზიაც კი არ უნდა ჰქონდეს, რომ უფრო კულტურულ ხალხთა შორის იცხოვროს, არათუ მათი წინამძღოლობა მოინდომოს. რადგან თუკი გულმოდგინება, სიმამაცე, ფიზიკური თვითდამკვიდრება არის საფუძველი ხალხის პატივისა, მაშინ სულიერ გმირთა საქმენი არის დასტური მისი მეტაფიზიკური ღირსებისა. მაგალითად, ჩვენ, გერმანელები, მიწათმოქმედთა ან ინდუსტრიის მშენებელ ხალხად კი არ ვიწოდებით, არამედ – პოეტ და მოაზროვნე ხალხად. ის, რომ ამით სულიერი შრომის პოზიტიური შეფასება ხდება, სრულიად აშკარაა, როგორი მწიერი ფანტაზია და თვალსაწიერიც უნდა გააჩნდეს იმას, ვინც მუშტისა და შუბლის დანიშნულებებს ერთმანეთს დაუპირისპირებს. ყველანაირი საქმე თანაბრად კეთილშობილია, თუკი მის შესასრულებლად იხარჯება საუკეთესო ძალები. მუშტის არგუმენტი დამამცირებელია სულის ღირსებისათვის, ხოლო შუბლის არგუმენტი – ფიზიკური ძალის პატივისათვის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სულიერ სფეროებში მომუშავე ჭეშმარიტი შემოქმედისთვის თითქმის სრულიად უცხოა ქედმაღლობა და ცხვირაწეულობა. ასეთი რამ მხოლოდ იქ იჩენს ხოლმე თავს, სადაც ძირითადად ხელით შესასრულებელი სამუშაოა და გონითი ძალების სულ მცირე დაძაბვაა საჭირო, ამ სამუშაოში ჩართული ადამიანი კი დიდი ხანი არ არის, რაც სუფთა ფიზიკური შრომის სფეროს გასცდა და მოჩვენებითად უფრო მაღალ, “თანამდებობრივ” ყოფაში შედგა ფეხი, ანუ, წინ წაიწია ნახევარინტელიგენტურობის კიბეზე. ის, რომ სულიერმა მუშაკმა – ამ სიტყვის მაღალი და უმაღლესი გაგებით – ფიზიკური შრომა არათუ არ უნდა დააკნინოს, არამედ მასში უნდა ჰპოვოს კომპენსაცია და ჰარმონიული კმაყოფილება; ის, რომ იგი მიწას უნდა დაუბრუნდეს და ეს არა რომანტიკულ-იდილიური გაგებით, არამედ – მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვით, და თავისი კომფორტული, ქალაქური ცხოვრების წესი რომ უნდა დათმოს, დღეისთვის უკვე სრულიად აშკარაა. რამდენ ამგვარ მუშაკსაც ვიცნობ, ყველანი უაღრესად პრაქტიკული, სანდო, მართლაც რომ შესანიშნავი ადამიანები არიან და სამართლიანად იწოდებიან ჩვენი სულიერი სამყაროს ღირსეულ წარმომადგენლებად. ამავე დროს, თავიანთი ქცევით ფიზიკურ შრომასაც იმგვარ პატივს მი-აგებენ ჩვენგან, როგორიც მას შეეფერება.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია ისიც, რომ სუფთა სულიერი საქმიანობის სწორედაც რომ ყველაზე პირდაპირი წარმომადგენლები – პოეტები და მხატვრები, ფიზიკურ შრომას ძალიან ხშირად ზუსტად ისევე აღივსებდნენ, როგორც – სულიერს. ეს, ალბათ,

იმიტომ ხდებოდა, რომ ფიზიკური შრომა, თავისი ფიგურალობის გამო, მეტ დამყოლობასა და გულისხმიერებას იჩენს ხოლმე ხელოვნების მიმართ, ვიდრე – სულიერი. მხვნილი, მთესველი, დამპურებელი გლეხობა, სამანქანო დარბაზები და სამშენებლო მოედნები, ყველანაირი საწარმოს მუშები, მალაროელები და ღურგლები, ფეიქრები და მქარგველები, ხეტყის დამცურებლები და სავაჭრო გემის კაპიტნები, გზის დამგებები და ხიდების მშენებლები – განა ესენი არ ქმნიან სახვითი ხელოვნების მარადიულ მოტივებს? თუნდაც, პოეზიისა იყოს. განა, ისინი არ უძღვნიან ამაღლებულ სტრიქონებს შრომას, კერძოდ კი, ფიზიკურ შრომას თავიანთ ჰიძნებსა და ოდებში, კანტატებსა და გუნდებში? ამას ჩვენამდეც აკეთებდნენ. ვინსენებ ისეთ სახელებს, როგორებიცაა: დემელი, პეცოლდი, ჰენკელი. მაგრამ დღეს ჩვენს წინაშეა პოეტთა სრულიად ახალი თაობა, და უნდა ითქვას, რომ ყველა, როგორც ერთი, დგას ამ მოტივთა უკან. სამაგიეროდ ის, რაც დგას გამოხატვის შესაძლებლობათა დიამეტრულად საპირისპირო მხარეს, არის ავტოპორტრეტის ფორმა და ამაში იგულისხმება პოეტის ავტოპორტრეტიც; უცნაურია, მაგრამ გონებისადმი პიროვნული მხარდაჭერა ერთობ იშვიათად თუ ჩანს სადმე. ხომ არა გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში სულიერ მუშაკთა ერთგვარ რაინდულობასთან, – როცა საკუთარს მალავ, რათა სხვა სფეროს უფრო მეტი თავდადებით ემსახურო? ან, იქნებ, ხელოვანმა პირველ რიგში ის უნდა განდიდოს, რაც თვითონ არ არის, ან – ის, რაც თავად არა აქვს? ყველა შემთხვევაში, იგი ამით ფიზიკური შრომის სფეროს ამაღლებს ხელოვნების გონით სამყარომდე; მხოლოდ იქ იძენს ყოველი მიზანგარკვეული აქტუალური მოვლენა ერთიან აზრს და მხოლოდ იქ ფიქსირდება მართალია უხეშ, მაგრამ მომენტის თვითნებობით გამოწვეული სილამაზის ხანგრძლივობაში, მხოლოდ იქ ხდება ჭეშმარიტი ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. აბსოლუტური მუსიკა არის ერთადერთი, ხელოვნების სფეროთა შორის ყველაზე მიზანგაურკვეველი, არ იღებს შრომისგან მოტივს. მას შრომასთან აერთიანებს ძალიან მნიშვნელოვანი რამ, სახელდობრ – რიტმი. შრომა ხომ, თავისი შინაგანი ბუნებით, თუკი მას თავისი მრავალფეროვანი გამოვლინების განმასხვავებელ ნიშნებს შემოვაცლით და საერთო მნიშვნელამდე დავიყვანთ, სხვა არაფერია, თუ არა რიტმი. ნება მომეცით, მაგალითის სახით მოვიხმო ადამიანის გული. ეს არის მშვენიერი ანარეკლი ცხოვრებისეული საგნებისა, კოსმიური პულსისა, რომელიც ფეთქავს მხოლოდ საკუთარი თავისთვის. ეს არის, ამავე დროს, ყველაზე მოუძლეელი, მამაცი და უდარდელი, იმავდროულად ყველაზე დაუფასებელი მშრომელი,



თუკი ვინმე არსებობს მსოფლიოში. მას ისევე არ აინტერესებს თავისი ნამუშევრის ღირებულება თუ დანიშნულება, როგორც – მიქცევას ან მოქცევას; მათაც ხომ არ აინტერესებთ, თუ რა ამოძრავებს მათ; როგორც წელიწადს, რომელიც ისე მოდის და მიდის, რომ არც გაზაფხული უკვირს და არც შემოდგომის გამოგლოვაზე იწუხებს თავს. ყველაფერი ცოცხალი ხომ იმიტომაც მოძრაობს, რომ ცოცხალია. ეს არის სწორედ მისი კოსმიური აზრი. ჩვენ, ყველას, დაბედებული გვაქვს ეს ფუსფუსი. მისდამი თავდავიწყებით მინდობის ამ სურვილში მდგომარეობს სწორედ ჩვენი ცხოვრების აზრი. ჩვენი ბედნიერება კი გამოიხატება იმით, რომ დაკავებული ვიყოთ საქმით. სწორედ მასში ვხედავთ ჩვენ, ცნობიერად თუ შეუცნობლად, საიმისო გარანტიას, რომ ვიმოქმედებთ კოსმიური აზრის შესაბამისად და არ ამოვვარდებით სამყაროს საშინელი რიტმიდან. გაიხსენეთ თუნდაც ბეთჰოვენის მზვაობრად ტიტანური ნაწარმოებები და მაშინ მიხვდებით, რომ სწორედ ჩვენ ხალხს ერგო პატივი ყველაზე ფანატიკურ მშრომელთა და უდიდეს მუსიკოსთა ფლობისა. გერმანია მარტო ევროპის შუაგული კი არ არის. იგი მდებარეობს სამყაროს რიტმის მთლად სათავეში და მისი პულსის ფეთქვაში. იგი არის თეთრი ადამიანის გულისგული. განა არ უნდა მორიგდნენ ამის მერე, თუკი ყველაფერს ასე შევხედავთ, ის დაპირისპირებული მხარეები, მე რომ წელან შევეხე და მუშტს და შუბლს რომ წარმოადგენენ?!

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ყველანაირად ვერიდები სულიერი შრომის დასაცავი სიტყვის წარმოთქმას. საამისო მიზეზი შეიძლება არსებობდა კიდევ იმ დროში, როცა ფიზიკური შრომის უზენაესობა უმნიშვნელოვანესი აუცილებლობა იყო, რათა ჩვენც და ევროპის სხვა ხალხებიც, მთელი დასავლეთევროპა არ განადგურებულიყო მთლიანად; ისიც კი მეჩვენება, თითქოს იმის დამტკიცებას ვცდილობდე, რომ ძალის წარმოუდგენელი გადამეტების ხანაში აუცილებელია, რომ გონების ვითომცდა უსარგებლო და უმიზნო მცდელობები რაიმენაირად და რაიმე დოზით კვლავ მნიშვნელოვანი გახდეს, თუნდაც როგორც მშვენიერი, მაგრამ მნიშვნელობამოკლებული ეპითეტი, საუკეთესო შემთხვევაში კი – როგორც გაცვეთილი პროპაგანდისტული ხერხი. მაგრამ ასე მარტო ჩემს თემას კი არ ავცდებოდი, არამედ ვულაატებდი მთელი ჩემი ცხოვრების აზრს, შემოქმედებით საქმეთა მთელ სიდიადეს და აღმატებულობას, ხელოვნების მხსნელ ძალასა და ეკლიან გვირგვინს. მაგრამ მე, ისევე, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს, ღრმად მწამს სულისა, მისი მადლისა და უკვდავყოფელი ძალისა.

სინამდვილეში კი სულიერი საქმიანობა ყოველთვის ამაღლვებლად თავისთავადია. ხალხი, რომელსაც დაეკარგა იმის გრძნობა, რომ სულით იცხოვროს, მართლაც რომ ღვთისგან მიტოვებულია; ისინი ხომ ადამიანური შემოქმედების დამადასტურებელ დოკუმენტებში მხოლოდ კომფორტულ, გვერდით გამოვლინებებს ხედავენ; ისინი არიან ნამდვილი ცოცხალი ლეშები, თუნდაც მათი თვითმფრინავები დედამიწას ახელებდნენ, ხოლო მუზეუმის გარეშე დარჩენილი ცივილიზაცია ოქროში იხრჩობოდეს. თავს ნუ მოვიტყუებთ ობივატელის არგუმენტაციით, რომელიც გამოიხატება იმით, რომ ხალხმა უნდა ჭამოს და არა ლექსები იკითხოს. ბოლოს და ბოლოს, მართლა იმაზე ხომ არ არის ყველაფერი დამოკიდებული, ვინც ცხოველის დონეზე დაშვებულია და ასეთნაირად მეტყველებს: “Wos, a Kinstler san S’? Gengan S’, machen S’ an Purzelbam”.\* ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინც პატივს სცემს სულიერ შრომას. მათი ერთობა ნამდვილი განძია შემოქმედი ადამიანისთვის, მათ რწმენას უსწორებს იგი მხარს, როცა ბრბო მის სიახლეს ვერ იგებს, დასცინის და ძირშივე მის მოშთობას ლამობს. ეს ორმხრივი სიყვარულია, რომელიც მიძღვება და გამცემიც. იგი ითავისებს მათ ვნებებს, ლტოლვას და ოცნებებს, აკეთილშობილებს მათ და ასე აბრუნებს უკან. გრძნობათა და აზრთა დინებები თუ ქვედინებები კვებავენ მას; ისიც თავს უყრის მათ ერთ ფორმაში და ასე ქმნის დროის სახეს. მხოლოდ მისი ფორმირების უნარის წყალობით იკვეთება მკაფიოდ მისი ნაკვთები, თავად დრო კი მისი მეშვეობით ხდება ნამდვილი, ამ ცნების უფრო ფართო გაგებით. ამავე დროს გენიოსის დიადი აზრები და უტყვი საქმეები ბევრად უსწრებენ ხოლმე წინ მის თანადროულობას და დრო თავად ცდილობს ხოლმე მათ დაწევას. თუკი დროის უფრო მოგვიანებითი პერიოდი გაუგებს მათ, ამით იგი იმათ გამოყენებასაც მოახერხებს, რომელიც ამ გენიოსს ადრე ეკუთვნოდა. ასე აკავშირებს მისი ძალა წარსულს და მომავალს და ქმნის სულის უკვდავებას.

რა თქმა უნდა, სულიერი საქმე შემოქმედის სიცოცხლეშიც მოიპოვებს ხოლმე გარეგნულ პატივს და ღიღებას. ეს არც თუ იშვიათად დაკავშირებულია დროის ფაქტორთან. ყოველ ნაწარმოებს აქვს როგორც სიღრმე, ასევე – ის, რაც დევს ზედაპირზე. ეს კი არც თუ იშვიათად იმდენად მდიდრულადაა მოწახნაგებული, რომ ასმაგად გარდატეხავს ზეციურ შუქს და უკან ისე აბრუნებს, თითქოს ოსტატურად დამუშავებუ-

\*რაო? ხელოვანო? წადი რა, საქმე ნახე.

ლი ნამდვილი ქვა ყოფილიყოს. სიღრმეებში ჩაღწევას კი მხოლოდ დრო ახერხებს და ეს – იმ სულიერ გმირთა საუბედუროდ, რომლებიც მოტყუებულად გრძნობენ თავს ჭეშმარიტად კუთვნილ დაფნის გვირგვინთან დაკავშირებით. მათი თანადროულობა აიტაცებს და სინარულით ეგებება ხოლმე ყველაფერ ზედაპირულს, თვალში მოსახვედრს, იმდღევანდელს მათ შემოქმედებაში; თანაც, მით უფრო ყოვლისმომცველია ეს აღტაცება, რაც მეტია წარმატებული სულიერი ნაშრომის დაჯიჯგნის საშუალება ჟურნალისტთა მხრიდან. პირველ რიგში, ეს შეეხება პოეტურ ნაწარმოებებს. ამიტომაც არის სიცოცხლეშივე მოპოვებული პოეტური დიდება ესოდენ ეჭვის აღმძვრელი სიკეთე. წმინდა მოაზროვნეთა, აგრეთვე დიდ აღმომჩენთა და სწავლულთა ნაწარმოებებს არ ეშუქება საშუალო და უფერული მასის თავდასხმა. დროის მიერ შეცდომაში შეყვანილთაგან ისინი ძირითადად დაცულნი არიან, ხოლო მათი დიადი იდეები უხმაუროდ და თავმოუბზრებლად შეეზრდება ხოლმე მარადისობას. პოეტს სახელით ცნობენ. ეს უკვე განათლების საქმეა. იციან აგრეთვე მისი პირადული ამბები, თვით ყველაზე პირადულის ჩათვლითაც კი. ანეკდოტი ზომ დიდების გინაა. აი, მოაზროვნეთა, მკვლევართა და მეცნიერთა სახელები კი ძალზედ იშვიათად თუ აქვს ვინმეს გაგონილი. მათი შემოქმედებითი წარმატებანი, იქნება ეს ჩვენი დიდი ფიზიკოსები, მათემატიკოსები თუ ასტრონომები, მათი კვლევის მართლაც რომ გამაოგნებელი შედეგები ყველასთვის უცხო რჩება, გარდა უახლოესი, ვიწროპროფესიული გარემოცვისა. აქ საქმე გვაქვს გაუხმაურებელ გმირულ შრომასთან, რომელიც შორს დგას ყოველგვარ იმწუთიერ პატივთან და მიუწვდომელია ჟურნალისტური მხნრეკელობისთვის, იგი აგურ-აგურ იღვწის იმ ტაძრის ასაგებად, რომელშიც განდიდდება ადამიანის სიდიადე – ჭეშმარიტება.

თუკი მათ მართლაც გულმშვიდად შეგვიძლია შევასხათ ხოტბა, სამაგიეროდ იმ სხვათა, კერძოდ კი მხატვართა და პოეტთა, ფართო და ხმამაღალი დიდება იქვითება იმ, რბილად თუ ვიტყვით, საეჭვო მიმდევართა ხარჯზე, რომლებიც ისევე საბედისწეროდ უკავშირდებიან მათ, როგორც აქილეესი იყო დაკავშირებული თავის ქუსლთან. მათ მიერ ერთი შეხედვით იოლად მოპოვებულმა დიდებამ თუ დიდმა საზოგადოებრივმა რეზონანსმა პროფესიის არჩევანში შემცდარი უამრავი ადამიანი შეიყვანა შეცდომაში და უბიძგა მიბაძვის იოლი გზით შემოსავლისა და დიდების მიღებისკენ. ის თავმომაბზრებელი წერილები, რითაც დილეტანტები თავიანთ სათაყვანებელ კერპებს დროს პარაკვენ ხოლმე, სინამდვილეში აღსავსეა საკუთარი უპირატესობის რწმენით, დიდების წყურვილით და მიზანდასახულობით

(ჩვენში დარჩეს და – გრამატიკული და ორთოგრაფიული თვითნებობებითაც). ამავ დროს, წერილთა ავტორები თავს აჩვენებენ ისე, თითქოს ამ ანგარიშიანი უმსგავსობის დროს მათ მხოლოდ უანგარობა ამოდრავებდეთ. დიახ, და მათი უანგარობის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ისინი არიან ხელოვნების მსახურნი, არადა სწორედ ეს არის ყველაზე გულისამრევი მთელ მათ ლაპარაკში უანგარობის შესახებ. ისინი, რომელთაც ყურმოკვრითაც კი არაფერი გაუგიათ ხელოვნების ჭეშმარიტი სერიოზულობის შესახებ, არ უგრძენიათ ის ტანჯვა-ვაება, რომელშიც იბადება შემოქმედებითი შედეგები, სწორედ ისინი ამტკიცებენ, რომ ამქვეყნად არაფერი უნდათ ისე, როგორც – ხელოვნების ხსნა. მათ ხომ, თავიანთი სრულიად არაყმაწვილური ასაკის მიუხედავად, ჯერ წესიერი არაფერი შეუქმნიათ და ამ ნაკლის დაფარვას სულიერი გაფართხალების მეშვეობით ცდილობენ. იმას კი ვერ გრძნობენ, თუ რა საშინელ ზიანს აყენებენ შრომის პატივს და როგორ ამდაბლებენ სულის ღირსებას. ამას გარდა, თავიანთ სათაყვანებელ კერპებსაც აყენებენ ხოლმე შეურაცხყოფას, როცა მიანიშნებენ, თუ რამდენად უკეთესად შეუძლიათ მათ იგივეს გაკეთება, დამნახავი რომ იყოს ვინმე. ეს კიდევ სხვა ამბავია. დიდოსტატები ხომ იმისთვის არსებობენ, რომ ამგვარ ე. წ. მიმდევართა არეული შინაგანი სამყაროს ყველა გამოხტომა, მთელი ეს უპატივცემლობა, სიმრუდე, უმწიფრობა უდრტვინველად აიტანონ.

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას უფრო მოწყალე, კერძოდ კი იუმორის თვალთი თუ შევხედავთ, ეს ბოგანოები სულიერი შრომის ღირსებასა და პატივს სერიოზულ ზიანს ვერ მიაყენებენ. ზიანზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სულიერი მშრომელი თავადვე უღალატებს საკუთარ მიწერილობას, ანუ თუ ხე ფესვებიდან დაიწყებს ღპობას. არსებობს უმაღლესი კანონი შემოქმედებითი გონებისთვის და მას ეწოდება უპირობობა. ყველაფერი, რაც სულისგან გადმოდის, მიისწრაფვის კვლავ სულისკენ: იგი დაეძებს ჭეშმარიტებას. მიუხედავად სამყაროს კეთილი სურვილებისა, იგი არ ღალატობს საკუთარ თავს და იგივე რჩება მარად და მარად; მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭება მას სულით დაჯილდოებულთა უმაღლესი წოდება. ეს შეადგენს მის სიძლიერეს, ეს ანიჭებს მის ქმნილებას ურყევობას. “ყველანაირი ცოდვა შეიძლება მიეტევოს (გენიოსს), გარდა სულის საწინააღმდეგო ცოდვისა”. იქნება ეს მოუწესრიგებელი ცხოვრება, ლოთობა, ოჯახური თუ სასიყვარულო ინტრიგები, მომთაბარეობა, ადამიანთა უპატივცემლობა, საკუთარი ბრალეულობით გამოწვეული ავადმყოფობა თუ თვით სიგიჟე და ცხოვრებიდან გაქცევაც კი: თუნდაც

სააქაომ, ასე რომ უყვარს რამე განსაკუთრებულთან დაკავშირებით მორალისტობა, არასდროს დაუვიწყოს ეს, საიქიო მინც შეუწდობს. იგი გადააფარებს დავიწყების კალთას გარდაცვლილი დიდი ადამიანის “საქმეთა წარმავალთ” და მიწიერ სარბიელს. სამაგიეროდ, დარჩება გენიალური საქმენი და უკვდავი სახელი. ვილას აღარ იპოვი მათ შორის, მაგარ ბიჭებს (სელონი, ვიონი), ლოთებს თუ ნარკომანებს (პო, ვერლენი, თრაკლი), ეროტიკოსებს (ლიონსი, დემელი, ვედეკინდი), ბოშებს (ლენაუ, რილკე, რემბო), სამყაროსა და ადამიანთა მოძულეთ (შოპენჰაუერი, გრილპარცერი), უკურნებელი სენით შეპყრობილთ თუ შეშლილებს (ვოლფი, ნიცშე), თვითმკვლევებს (კლაისტი, რაიშენდი, შტიფტერი). რას უნდა ნიშნავდეს ეს დამლუპველი კლასიფიკაცია, ადამიანურ სისუსტეთა ეს საშინელი ჩამონათვალი? განა ეს არ წააგავს იმას, რასაც სულელური ჭორები და სულის საწინააღმდეგო მკრეხელობა ჰქვია? სინამდვილეში საიქიოს არ ეკადრება ის, რაშიც სააქაო ესოდენ არის დახელოვნებული დიდ ადამიანებთან მიმართებაში: მათ ადამიანურ თუ ზედმეტადადამიანურ თვისებებში ბოროტგანზრახულად ჩაკირკიტება. მიცვალებულები უძლებენ ამას. ცოცხლები კი შეიძლება უფრო მოწყვლადი აღმოჩნდნენ. მაგრამ ეს არ ამცრობს მათ შემოქმედებას. მაგრამ რაკი მათი შემოქმედება საკუთრივ მათი ცხოვრება და უხრწნელი სიცოცხლეა, მათთვის არსებობს მხოლოდ ერთი სირცხვილი: მსახურების შეწყვეტა სულში, სულის დაღლატი. ცხოვრების წესისა და გენიალობის ერთმანეთისგან დაცალკავების უფლებას კვლავაც იჩემებს ჩვენი კრიტიციისტულ-ფსიქოანალიტიკური ჟინით შეპყრობილი საზოგადოება, ზუსტად ისე, გუგულიან საათს რომ გამოაცლიან ხოლმე შიგთავსს. იდეალური შემთხვევა მაგათთვის იქნებოდა ვთქვათ ილბლიანად დაქორწინებული გიფსის ჩამომსხმელი, ვეროჩიოს ან ბრუნეშაის შემოქმედებითი მიღწევებით. აღრეულ ხანას გააჩნდა საიმისო ძალა, უფრო კი, ალბათ, მხოლოდ – გულუბრყვილობა, გენიალობა და ხასიათი იმისა, რომ ერთიანობაში აღექვა სული და ცხოვრება. მაშინ ადამიანი ჯერ კიდევ იყო რაღაც მთლიანი. ჯერ არ არსებობდა ორგვარი ღირსება, იყო მხოლოდ ცხოვრება და ცხოვრების წესი უმაღლეს ხარისხში! არანამდვილისთვის არ იყო ადგილი ბუნებრივ ყოფაში. მხოლოდ გახლეჩისას ჩნდება სიყალბე და ჩვენ მომსწრე ვართ უბადრუკი, მიზანს დახარბებული, მედროვე სამყაროს დაბადებისა სულში. ღირსება გაყალბდა, დევიზი გადაბრუნდა და ამჟამად ასე იწოდება: უნდა აწარმოო სული, რათა შეძლო ცხოვრება. სული საქონლად, გაცვლა-გამოცვლის ობიექტად იქცა. მისი ემანაციები იხრწნებიან მორალურად უბადრუკი

მასკულტურის ჯურღმულებში. გასართობი თუ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის, ფილმის ვულგარულობაში, სულის მსახურთ, რომელთაც ადრე მისიად თანამდებობაც ჰქონდათ – ხან დაქირავებული მასწავლებლები იყვნენ, ხან პასტორები, ხანაც ჯვარისკაცები – ახლა არავითარი პროფესია აღარ გააჩნიათ, არა, ისინი ფულს მოწოდებით აკეთებენ. ამან კი დილეტანტები დაბადა და მიბაძვის სურვილიც გააჩინა. თუკი უკვლავობას ვერ შესწვდები, ბოლო-ბოლო საქმეს ხომ მაინც წამოიწეებ!

*რა უბადრუკი სურათია! მიმზიდველობა*

*ისევ გაკოტრდა. ტოლს არ უდებს არეულობაც:*

*ჩარჩულ საქმეში გარეულან გენიოსები,*

*კლერკი კი ღმერთად მოვლენია ქვეყნიერებას.*

ამით სულის მსახურებმა მართლაც რომ საბოლოოდ გასცეს სულის ღირსება. ისინი ჩარჩებად იქცნენ, თუმცა პროლექციის ხარისხი ამით სულაც არ გაუმჯობესებულა. მერე კი დადგა ჟამი დიადი შემობრუნებისა. სულიერ გმირთა მანტიაში გახვეულ საქმოსნებს განახლების სიომ ჩამოუქროლა და გადახვეტა. მაგრამ ამას ფეხდაფეხ მოჰყვა უფრო სახიფათო ცვლილება, ძნელად გასაშიფრი და უაღრესად პოზიტიურად შეფუთული. მაშინვე გამოჩნდნენ ქველი ბარდები, რომლებიც ხელისუფლებასა და ახალ თეზისებს ყველაფერში კვერს უკრავდნენ და თავს მოხვეულ სპარტანულ გემოვნებას უკვე თავიანთი უბადრუკობითაც კი ფეხს უწყობდნენ. ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით, ყველა მათგანი გაიშიფრა და გაქრა. ამის მიუხედავად, მათ მოახერხეს და განუზომელი ზიანი მიაყენეს სულის ავტორიტეტს, თანაც სწორედ კეთილგანწყობილთა თუ იმ მკაცრ მიმღებთა შორის, რომლებიც უაღრესად სუფთანი არიან თვითონაც და ასეთსავე უბიწობას და სისუფთავეს ითხოვენ ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროსგან. ადრეც არსებობდნენ და კვლავაც არიან ისეთებიც, რომლებიც გასაცემს უფრო მეტად წარმოიდგენენ ხოლმე, ვიდრე რეალურად აქვთ. ისინი არ კმაყოფილდებიან იმით, რასაც წარმოადგენენ სინამდვილეში. ისინი ცდილობენ თავიანთი სახელები ზეცაზე ამოკაწრონ წყეული ხვეულებისა და ღვარჯნილების სახით. მათ სჭირდებათ სცენა, ისინი ადამიანებს ათავსებენ მრავალმნიშვნელოვან სცენარებში. რადგან კომედიანტები არიან, მოძრაობაც და შესტიკულაციაც გადაჭარბებული გამოხდით, აწარმოებენ არაჩვეულებრივ დუბლიკატებს, აზრს ილუზორული ინტონაციით ცვლიან, ფიგურათა კეთილშობილურ ფორმებს კი – მოცულობითი ფორმატით.

ყველა ამ სულსაცდენილთა გამოსაამჟვარავებლად, რაც არა მარტო სიწმინდის, არამედ ტრადიციის თვალსაზრისითაც მშვენიერი საქმეა, განურჩევლად იმისა, გარემოებათა გამო გადაცდა თუ – შეგნებულად, მაინც ერთად უნდა შეიკრიბოს ყველა, ვისაც კი საქმე აქვს გონებასთან და ვინც, როგორც ერთობი წევრი, პასუხს აგებს მის პატივსა და ღირსებაზე. მაგრამ როგორ გამოვარჩიოთ ისინი შეუცდომლად? ვინ გაბედავს თემიდას როლის შესრულებას? როგორ მივაწვდინოთ ხმა ასეთ ერთობას, სად ვეძებოთ? ორი კვერცხიკი კი არ არის ერთნაირი და ნუთუ ისინი, ვისაც სულთან აქვს საქმე, ერთი საერთო ნიშნით გამოირჩევიან? ვერავინ ხედავს იმ საიდუმლო ნიშანს, რასაც ისინი გულით ატარებენ, მრავალი მათგანი უსახელო მარტოსულია. ისინი მხოლოდ მაშინ შემოდიან სულის ცხრილში მოქცეულ ერთობაში, უკვდავებაში, როცა გარდაიცვლებიან. უალრესად ჯიუტები არიან და რადგან ყოველი მათგანი თავისი გზით მიისწრაფვის საერთო მიზნისკენ, ერთმანეთს ვერც კი ხვდებიან. შეიძლება ერთხელ კი შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაშინვე დაშორდებიან ხოლმე ერთმანეთით იმედგაცრუებულნი და მერე მათი ცეცხლოვანი სულები ძლივძლივობით ინელბენ ამ იმედგაცრუებას, როგორც ეს მოხდა ნიცმეს და ვაგნერის შემთხვევაში. ადამიანურ საქმეთა რა არეოპაგები უნდა იყვნენ ისინი, თუკი მათი საუკეთესო წარმომადგენლები მაინც მოახერხებენ თავმოყრას? ალბათ, თავიანთი წარმოსახვის ძალით, თავიანთი სულით ერთ ძლიერ მიწაყრილს აღმართავენ ადამიანურ ბოროტებათაგან თავდასაცავად; მათ ხომ ნებისმიერ დროში და ნებისმიერ ადვილას შესწევთ საიმისო ძალა, რომ სამყაროს ნამსხვერვეები ერთ მთლიანობად შეაკოწიწონ. მათ ხომ სამყარო ტკივილით შეიმეცნეს და მიხვდნენ, რომ პატარა ჭირიდან დიდი საშინელება შეიძლება წარმოიშვას, ნახევარაზრი კი შეიძლება სამყაროსთვის ნამდვილ უბედურებად იქცეს. რადგან ადამიანის მთელი უბედურება, მთელი ის ტანჯვა, თავადვე რომ აყენებს საკუთარ თავს და თანაც – იმგვარი ვნებით, მართლაც რომ ღირსია, უკეთეს საქმეში გამოიყენებოდეს, იმდენად ბოროტული განზრახვით კი არ არის გამოწვეული, რამდენადაც – სააზროვნო შეცდომებით, წარმოსახვის და სულის სიმხნევის ნაკლოვანებით. სიამოვნებით იქონიებდნენ სიმხნევს, მაგრამ მათ ხომ იციან, რომ ეს არეოპაგი ოცნებად უნდა დარჩეს, რადგან ადამიანის გაუმჯობესება შეუძლებელია. ამიტომაც რჩებიან მარტონი, საკუთარი მუშტის ამარა მთების გადასატრიალებლად და ცათა შესაზანზარებლად; და ამ ცოდნის ტრაგიზმი, ეს იდუმალი “ამაობა” ისევე აწერიათ შუბლებზე, როგორც სანუგეშო “მაგრამ იქ-

ნებ მაინც...”, რითაც ისინი ქმნილების ნაკლოვანებას ამარცხებენ. ამაში ისინი თითქმის ქმნადობის საზღვრებამდეც კი მიდიან ზოლმე. ამაში ისინი გამძლეობას იჩენენ. ვერავითარი ტანჯვა-წვალება მათ ვერ შეაკავებს, იმას დაუჭირონ მხარი, რაც შეიმეცნეს. გალილეის თავისი სიტყვები “Eppur si mouve – და ის მაინც ბრუნავს”, ყველას ნაცვლად შეეძლო ეთქვა. ისინი საკუთარ თავზე იღებენ ყოველგვარ ნაკლს, ცილისწამებას, თანაგრძნობას და სირცხვილს წლების, ათწლეულების განმავლობაში, უცხოებივით დახეტილობენ საკუთარ დროში მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე, სიყვარულისგან გაუგებრად დარჩენილები, მეგობრებისგან შერისხულნი, ტრივიალური ხმაურითა და ყაყანით გარემოცულნი და მუდმივად იმის საშიშროება ემუქრებათ, რომ სადაცაა გადაყლაპავთ გაუგებრობის მორევი. მაგრამ ისინი ღვთისმგობელობას არ ეწვევიან. ისინი ელოდებიან იმ ალავს, რომელზეც გენიამ ისინი დააყენა. თვით წარმატების შემთხვევაშიც კი, დიდების სხივებში მოხანავთ ნაბიჯიც კი არ წაუცდებთ გვერდზე. მარტონი, ყველასგან მიტოვებულნი, საკუთარ თავში პოულობენ ყველაფერს, სწორედ ამგვარ ყოფაში ეწვევით ზოლმე ბედნიერება. მათ მეოცნებეებად უხმობენ, რადგან მათ ყველაზე არასაქმიან გარემოცვას შეცდომით მიაჩნია, რომ ისინი მათნაირი ჩაკეტილი, მკვახვე, მოურიდებელი და მშრალი ადამიანები უნდა იყვნენ, რომ საქმიანები გამოჩნდნენ. მაგრამ ისინი ისედაც საქმიანები არიან, რადგან ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, მხოლოდ საქმისთვის არის განკუთვნილი.

*“თავს ნუ მიუძღვნი ადამიანებს,  
მინებდი მხოლოდ საქმეზე ფიქრებს!”*

ასე აყალიბებს ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ კი გოეთე, იმ კატეგორიულ იმპერატივს, რომელიც მათ ქმედებისკენ მოუწოდებს. მათი ცხოვრების უდიდესი ძალისხმევა გათვლილია არა იმ მიზანზე, რომ როგორმე განიმტკიცონ საკუთარი მდგომარეობა და მოიწყონ კომფორტული ყოფა მყარი საბუშაო ადგილითა და ტკბილი უსაქმურობით. ისინი საბუშაოს დროის ხანგრძლივობას არ კითხულობენ. არ აინტერესებთ, რვასათიანი საბუშაო დღე იქნება თუ თექვსმეტიათი; ეს სხვადასხვა ბანაკთა თუ პარტიათათვის ყველაზე აქტუალური, სადაო და სახმაურო საკითხი მათ არ ეხებათ. ისინი სულ მუშაობენ. ისინი მუშაობენ მოჩვენებითი უსაქმურობის დროსაც, ძილშიც და ღვიძილშიც. მათთან სულ არის ღმერთი, რომელიც აქეზებს მათ, ურტყამს ღეზებს და აიძულებს მათ



იმოქმედონ, შეიმეცნონ, ევნონ და ამ ვნებათა უფალი გახდნენ. ისინი ისევე უღრტვინველად ატარებენ ამ ტანჯვისა და მოთმენის მოთხოვნილებას თავიანთ თავში, როგორც ბავშვები. მათი ერთადერთი საზრუნავია, კარგად იმუშაონ, უდიდესი ბედნიერება კი – კარგი სამუშაო ჰქონდეთ ჩატარებული. ისინი ცხოვრობენ, რათა იმუშაონ, ზუსტად ისევე, როგორც სხვები მუშაობენ, რათა იცხოვრონ. მათი სინდისიერება არ ითმენს ნახევარსაქმეს, მათთვის აუტანელია წარმატების ხიბლი. ისინი ცდილობენ ძირისძირობამდე მიჰყვინენ ყოველგვარ საქმეს. ლეგიონია ყველა იმ პროექტის, გეგმის, ვარიანტისა თუ ცვლილებათა რაოდენობა, წინ რომ უსწრებს ყოველგვარ შედეგს. მათი მოუსყიდველობა ყრუ რჩება ყოვლისმცოდნეთა შეგონებების, არამკითხეთა არგუმენტებისა თუ დროის მოთხოვნათა მიმართ.

მე შევეცადე, თქვენთვის წარმომეჩინა შემოქმედი ადამიანი და იმასაც ვეცადე, რომ სულიერი საქმიანობის ხასიათზე მეთქვა ორიოდე სიტყვა. მე დაგისახელეთ სიჯიუტე და ფანტაზია, აგრეთვე შეურყეველობა, მიზანმიმართულობა, სინდისიერება და მოუსყიდველობა. თუმცა ერთი თვისება მაინც გამოძრჩა, რომლის ეგიდითაც განსაკუთრებულად მოიაზრება მხატვრული სამუშაო: ვგულისხმობ გრაციას. შემოქმედებითი არსებობა ხელოვნებაა, ხელოვნება კი ისევე გრაციოზულია, როგორც – ბავშვების თამაში, როგორც – მგალობელ ჩიტთა თავდავიწყებული ჭიკჭიკი. ამგვარი არსებობა მიისწრაფის არა სამყაროს გაუმჯობესებისკენ, არამედ – მშვენიერებისკენ; ის არ არის ზუცესი, ის არის ბატონი და სილამაზის მეშვეობით სამყაროს უფრო სრულყოფილს, მამასადამე, უკეთესს ხდის; კარგადაც გამოსდის! მისთვის არ არის დამახასიათებელი საკუთარ დამსახურებათა გაზვიადება, ეს “შემომხედეთ, ვინა ვარ”; ამ არსებას არაფერი გაეგება ბაქიაობის, სტუდენტური ცხოვრების. ალბათ, სახელოებდაკაპიწებული მშრომელის პოზაზე უარის თქმას უფრო ღრმა საფუძველი აქვს და ამის ბრალია, რომ სულიერ-შემოქმედებითი მუშაობა, რომლის დროსაც ფანქრის მეტი სხვა არავითარი ხელსაწყო არ გამოიყენება, ფიზიკურად მომუშავეთა შორის ესოდენ მცირედ ფასობს. თუმცა, ამით სულიერ საქმიანობას არაფერი აკლდება.

ყველა ეს ნიჰილისტური მისწრაფებანი, სულის ნაღვანნი, ის ძალა და რწმენა, რითაც ისინი ზემოქმედებენ და რომელიც თავისი ბუნებით მიმართულია ფართო სივრცეებისა და შორეული დროებისაკენ, ეწინააღმდეგება დღევანდელობას და არცთუ უმნიშვნელო, ამწუთიერ მოთხოვნილებებს (რომელიც, რაც უფრო დიდია, მით უფრო ძნელი

დასაძლევია). სწორედ ყველაფერი ეს ქმნის იმ საფრთხეს, რომლის გაუვნებელყოფა შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანთა ერთგულებასა და სიყვარულს, რომლებიც ყველაფერზე წინ კეთილშობილებას აყენებენ.

რატომ არ მოიძებნება ხელოვანთა, მკვლევართა თუ სწავლულთა შორის თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც რწმენითა და სიმართლით არ ემსახურებოდეს თავის საქმეს? იმ დროს, როცა სხვა პროფესიის წარმომადგენელთა შორის ამდენი უკმაყოფილოა, რომელიც იქ შეცდომით მოხვედრილად გრძნობს თავს. რატომ? რატომ უნდა ხოლმე მასწავლებელს პოეტობა, ხელოსანს – მოხელეობა, ყმას კი – ბატონობა? ყველა მათგანი ზევითკენ მიისწრაფის. მათ რაღაც იზიდავთ შეუცნობლად და ეს რაღაც, მათი აზრით, უკეთესი ცხოვრებაა. სინამდვილეში კი ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ სულთან. ეს ადამიანის სადარი მისწრაფებაა და არ არის საჭირო მისგან გადახვევა ან მიჩუმება სულის დაკნინების გზით. ამას საფუძვლად უდევს ის გავრცელებული არგუმენტი, თითქოს სულიერ მუშაუთ რა უჭირთ, მათ ხომ შეუძლიათ შინაგან ლტოლვას მისდინონ, ისინი ხომ იმას აკეთებენ, რაც გაეხარდებათ: მერედა, მოგვეწვია ის უკმაყოფილოებიც, მათაც ასევე შესრულებინათ თავიანთი სამუშაო, მოეხდინათ მისი იდენტიფიკაცია საკუთარ თავთან. მაშინ ისინიც მიაღწევდნენ რამე უსაზღვროდ ნებაყოფლობითს, ნაცვლად შეზღუდული იძულებითისა. ნუთუ, მაშინ დაუდგებოდა რამე წინ შედეგს, პროფესიის მიუხედავად? რას აღარ იღონებს ადამიანი შემოქმედებითი წარმატების მისაღწევად, როდესაც მთელი გატაცებით მიუდგება მას; განა არ იქცევა ყოველი ნამუშევარი ხელოვნების ხელთუქმნელ ნიმუშად? განა ნამუსიანად გამარგლული ყანა, კარგად მოოჭვილი ზარდახმა, მშვენივრად აგებული სასახლე, ყოველი სუფთად და სინდისიერად შესრულებული სამუშაო ამავე დროს ხელოვნების ნიმუში და სამეცნიერო ნაშრომი არ არის? განა არ შეუძლია ყველას თავის სფეროში, რაც უნდა ვიწრო იყოს იგი, ხელოვანად იქცეს და თავის ხელით შექმნილი საგანი მოყვარული გონებით გააკეთილშობილოს? რა ასპექტებია! რა ამალგებაა, ნაცვლად აჯანყებისა! ხალხი, მთელი ხალხი, შემდგარი ხელოვანთაგან! ხელოვანთა იმპერია! სახეებზე ალბეჭდილი სილაღე და მხნეობა, გულებში კი – ღირსეული და დიდებული სრულყოფის შეგრძნება!

არა, ჩემო ძვირფასო ბატონებო, ეს სულაც არ არის ირონია. ეს იდეალია, აღფრთოვანების ცეცხლისგან წარმომდგარი. განა მე არ ვიცი, რომ ეს იდეალია. მე ვიცნობ მოწინააღმდეგეს, რომელიც სულისგან

შეიქმნა და მის უბოროტეს მტრად იქცა. ვგულისხმობ ტექნიკას. იქამდე, სანამ ის ადამიანის მბრძანებელია, ნაცვლად მორჩილი მსახურისა, სანამ დროს ჰპარავს მას, ნაცვლად შექმნისა, სანამ ის მისი სიცოცხლის შესამოკლებელ ხელსაწყოებს იგონებს, სანამ სამშენიველს უჭამს მას და სამშენიველთან ერთად სხეულსაც, სანამ მექანიკა არის კოზირი და ორგანიზებული მასალა, მანამდე ვერ ვიქნებით თავისუფალნი, მანამდე ივლის სულის ღირსება ძაძებში გახვეული. ამასობაში სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა – იმის შეგნება, რომ ეს ღირსება არსებობს, და – იმის იმედი, რომ იგი გაიმარჯვებს. სანუგეშოდ დაგვრჩენია, იმედიანი ძხერა მივაპყროთ სულიერ გმირებს, ნათელმხილველებს და პოეტებს, მხატვრებს და სწავლულებს, მკვლევარებს და გამომგონებლებს. ამავე დროს, ამ უკანასკნელთ ნაკლები ყურადღება როდი უნდა მივაქციოთ, ვიდრე – პირველთ, რადგან მათი საქმიანობა იანუსივით ორსაზოვანია. მათ ხომ თავიანთი აზრებისა და მონაცემების გასაცოცხლებლად სჭირდებათ მატერია. ამას კი თავისი შედეგები მოსდევს ზოლმე, მაგრამ მათი ქმნილებაც ხომ იმავე იდუმალი წყაროდან იღებს სათავეს, საიდანაც – პოეტებისა თუ მოაზროვნეების ქმნილებები; ეს არის ადამიანთა ლტოლვა ქმნადობის, კეთების, გამოგონებისადმი. ეს აკეთილშობილებს მათ შემოქმედებითი არსების დონემდე, მაგრამ, ალბათ, დიდ ტანჯვასაც აყენებს, რადგან ისინი ძალაუნებურად იგებენ, რომ მატერიასთან საქმის დაჭერას თან ახლავს სულის ეთიკის დამახინჯება და გამალეული შეიარაღება, მასალის დამანგრეველობა და წარმავალობა.

დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ ჩვენს თემასთან დაკავშირებით შემოვიფარგლებოდი მხოლოდ დასავლეთეუროპული სივრცით. მაგრამ თვით ამ შეზღუდვის ფარგლებშიც კი რჩება მოუხილველი უამრავი რამ, ამ მიწაზე დოკუმენტურად დადასტურებული, რაც უმაღლეს ადამიანობას, სულის და სილამაზის საშინელ საქმეებს, ცოდნას, სიბრძნეს და ხელოვნებას შეეხება. ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ თეთრი ადამიანის კულტურის ჯამს შეიძლება გაუტოლდეს. არსებობს მთელი ჯარი დიადი აზრებისა, ძლევამოსილი საქმეებისა, დედამიწის მასშტაბს თითქმის აცილებული ნახევარღმერთებისა! ვისგან დავიწყო თქვენს წინაშე მათი გამოხმობა, ან როდის უნდა დავამთავრო? მე შემიძლია მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მიგანიშნოთ, უცაბედ მონახაზზე იმ პოზიციისა, რომელიც თავისი შინაგანი ღირებულებისა თუ გარეგნული რანგის მკაფიო შეცნობის შედეგად საერთო არსს გამოხატავს; მოვიგონოთ თუნდაც სირაკუზელი არქიმედე, მისი ღირსებააღვსილი სიამაყე, ფანატიკური ჟინი

და სიძულვილი უხეში ძალისადმი; როგორ ზის იგი თავის ბაღში და, ახალ აღმოჩენებზე მოფიქრალი, როგორ ხატავს სილაში გეომეტრიულ ფიგურებს; მის მოსაკლავად მოსული რომელი ჯარისკაცის დანახვაზე, სიკვდილთან პირისპირ წამდგარს, სხვა უკეთესი რა უნდა ეთქვა, თუ არა თავისი სახელგანთქმული: “Noli turbare, ფრთხილად, შემთხვევით ნახაზები არ წამიშალო”! ან თუნდაც დიოგენე ავილოთ, ეს ცინიკოსი, ალექსანდრე დიდმა რომ ჰკითხა, რას ისურვებდიო, მან კი, მოთხოვნის უსარგებლობის შესახებ საკუთარი სწავლება რომ დაედასტურებინა, მშრალად უპასუხა: “გაიწიე გვერდზე, მზეს ნუ მიჩრდილავო”! თუნდაც ათენელი სოკრატე ავილოთ, ღვთისმგმობელობის ბრალდებით სასიკვდილოდ შერაცხული, მის გამოსახსნელად მოსულ მეგობარს ავალუბს, რომ ღვთაება აღსკვლიპოსს მისი სახელით მამალი შესწიროს, რადგან შეთქმული ჰქონია თურმე. მერე კი როგორ ვაჟკაცურად სვამს შხამიან ფიალას, რათა თავისი სიკვდილით აჩვენოს ყველას, რომ ღმერთები, იმისდა მიუხედავად, შენ გწამს თუ არა, მინც ყოველთვის უნდა განადიდო, კანონს კი მაშინაც უნდა დაემორჩილო, როცა უსამართლოდ გამოიყენება.

სწორედ ამგვარი ქცევის მაგალითზე ჩანს განსაკუთრებით კარგად, თუ რა დაკარგა ევროპამ, როცა სულის პატივი და ღირსება უარყო, როცა დაიმსხვრა ის, რაც წარმოადგენს ამგვარი ქცევის მკვებავ ნიადაგს, კერძოდ კი – დასავლეთევროპული ტრადიცია. როცა დღეს ჩვენი გულები იმ ყოვლისგამცემი, მთრთოლვარე სიყვარულით ძგერს იმ მამაცთა მიმართ, რომლებიც უმაგალითო თავგანწირვითა და გმირობით აღუდგნენ წინ ბარბაროსთა შემოტევას, იმ სასიკვდილო მცდელობას, ადამიანებს დაასვან მექანიკურ-მატერიალური წესრიგის დამლა, რომელიც სინამდვილეში წესრიგი კი არა, ნამდვილი შავი ჭირია და ისიც ვიცით, თუ რატომ. განსაკუთრებით კარგად ეს სწორედ ჩვენ, სულიერების მსახურებმა ვიცით. ჩვენ ხომ ევროპის გულისგულის მოქალაქეები ვართ და ამიტომაც ყოველთვის ვაგებდით პასუხს ევროპისა და ევროპული სულის, დასავლეთ-ევროპული ადამიანობის წინაშე. სიწმინდის არქეტრაზე ამოტვიფრული უნდა იყოს არა “რობოტი”, არამედ “Humanitas”, ზუსტად ისე, როგორც დღემდე იყო, ის, რაც ამ ღირსეული მხარის საუკეთესო წარმომადგენელთა სისხლით არის დამტკიცებული და ამის მერეც დამტკიცდება, კერძოდ კი – სულის გამარჯვება და დიდება, რაც ჩვენ მომავალშიც უნდა შევინარჩუნოთ, ვატაროთ და სრულვყოთ. რადგან არ არსებობს ამოცანა, რომელიც უმაღლესი ადამიანისთვის უფრო შესაფერისი იქნებოდა, ვიდრე ესაა: ჩვენ უნდა შევედროთ ღმერთს, რათა

მოგვანიჭოს ეს სურვილი და დაგვმადლოს შემოქმედებითი ძალა. მე კი, რადგანაც პოეტი ვარ და ამდენად სულის მსახურად ვთვლი თავს, მინდა ჩემი მოხსენება დავამთავრო იმ სტროფებით, რომლებშიც შევეცადე ხოტბა შემესხა სულიერი შრომისა თუ სულიერი მუშაკის ღირსებისა და პატივისათვის:

მაღალი შუბლი, თლილი ნაკვთები,  
ის გრაალს იცავს მთელი არსებით.  
ჩვენს პროფესიას ესა ჰყავს მოძღვრად:  
სულიერება და სულის ძალა.  
ვიკვლევთ, ვეძიებთ, ვაგნებთ, ვასწავლით,  
ვაგებთ რკინიგზებს, ვაშენებთ გემებს,  
გამძლე კოშკებს და სახლებს ვაშენებთ;  
ვკურნავთ, ვიძლევით ცოდნას და რჩევებს,  
მასალას ვწვდებით ძირისძირამდე.  
ჩვენ ვიმართებით საქმის ექსტაზით  
და ყველა საქმეს ვუყრით საძირკველს.  
და ასჯერ განჩხრეკს ასჯერ ნაგვეში  
ფიქრი ერთსა და იმავე საგანს,  
და გვემის ფასად რაც მიიღება,  
იმას ღიღება ჰქვია სახელად.  
თუ ნუგეშის და აზრის სუნთქვაა,  
ის, რაც უთვალავ ფერად მოგვეცა,  
მაშინ დახსნილნი ბრძოლებს, საზრუნავს,  
თავის არსში და თავის წიაღში  
უკუგვაქციოს, დაე, უფალმა!  
Humanitas კი ნიშნავს ერთადერთს:  
შენს ყოველ საქმეს ადამიანურს  
სამარადისო სული მართავდეს.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### **სიტყვა, მუდამ რომ იმეორებენ**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **პიშინი გერმანულ ენას**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ოდა ანბანისადმი**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ხელოვანი და ხალხი**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ხელოვანი**

პწკარული ნუგეშა გაგნიძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

### **ოსტატი ანტონ პილგრამი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ფესვებთან**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **იმპერატორის აკლდამა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **დიღია ლამე**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **მე-6 ოდა**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **მე-8 ოდა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **35-ე ოდა**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **38-ე ოდა**

პწკარული შორენა შამანაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ნახევარი ხმით**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ჭაბუკებისადმი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **წმინდა ლექსი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **პეპელას**

პწკარული ნუგეშა გაგნიძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

### **აღამიანური ლანდშაფტები**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **იავნანა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **კესანე**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ნარცისები**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

### **ლომისკბილა**

პწკარული ნუგეშა გაგნიძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

### **ნარშავა**

პწკარული ნუგეშა გაგნიძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

**სახლი**

პწკარული ნუგეშა გაგნიძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

**ხე**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ღამე**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**გლეხური კალენდარი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**სოფლის გავლით**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**Iვენახში**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**გარმონი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ძველი ოტაკრინგი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**გრინცივის ვენახის ფერდობი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ჰიმნი კალენბერგს**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ქვაბი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**წიგნი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**კამერული მუსიკა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ბალახში**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**შენტვის იცოდე...**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**წერილი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**მიზანთან**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ტყის ბილიკები**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**ფურისულა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**ვარდის ბუჩქი**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**გველის სურო**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**შემოდგომის სათოველია**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულეურის

**მანიტა**

პწკარული თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის

**ახალგაზრდა გარდაცვლილ ქალს**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულუერის  
**მგზავრის სიმღერა**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულუერის  
**სურათი, დახატული უზენაესის მიერ**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი ვასილ გულუერის  
**ბნელი გამღვიძებელი**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯონხაძის  
**ადრეული გაზაფხული შონბრუნში**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯონხაძის  
**სონეტები I - XV**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გია ჯონხაძის

**დანართი I**

**სიტყუა, მარად განმეორებული**

თარგმანი ბესიკ ადეიშვილის

**ჭაბუკებისადმი**

თარგმანი ბესიკ ადეიშვილის

**ჭაბუკებისადმი**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

**სონეტები I - XV**

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი გიორგი კეკელიძის

**ტყის ბილიკები**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**ფურისულა**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**ანემონი**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**მიწაფართხა**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**შემოდგომის ყვავილი**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**უვიწყარა**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალისადმი**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**ყარიბის სიმღერა**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**მამაზეციერის დახატული სურათი**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**პირქუში ანგელოზი**

პწკარელი დალი სიხარულიძის, ლიტ. თარგმანი ემზარ კვიციანიშვილის

**დანართი II**

**იოზეფ ვაინჰებერი. ლირიკული ლექსის არსისთვის**

თარგმნა შორენა შამანაძემ



იოზეფ ვაინპებერი. ფიქრები პოეზიაზე	247
თარგმნა თამარ კოჭრიკაძემ	
იოზეფ ვაინპებერი. ღირსება და პატივი სულიერი შრომისა	258